# ც

| | |
|---|---|
| ცეცხლაძე | 6463 |
| *ქობულეთი* | *1778* |
| *ოზურგეთი* | *850* |
| *ხელვაჩაური* | *456* |

**ცეცხლაძე** (1831 წ.), საკ. სახ. **ცეცხლა** (პ. ინგორ., სვან. საისტ. ძეგლ., II, 80); „ტფილისის უეზდის სოფელ ენეგეთს მცხოვრებ, საბატონო ყმა, პეტრე ცეცხლაძეს დაებადა ქალი კანონიერ მეუღლე მარინე აბრამის ასულისაგან, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ. სახელი ეწოდა მელანია. ნათლიად იყო ამავე სოფელში მცხოვრები საბატონო ყმა ქიტესა სუხიტაშვილი" (489, №6, 121 ბ, 1831 წ. ფურ. 32); „დიდ ენაგეთში მცხ. პეტრე ცეცხლაძეს 1828 წ. დაებადა ვაჟი. სახელი დაერქვა იაკობ. ნათლია იყო ამავე სოფელში მცხოვრები ზურაბ სუხიტაშვილი" (489, აღწ. №6, 57, ფურ. 26). ცეცხლაძეები აჭარის მკვიდრნი (აზნაურები) არიან.

| | |
|---|---|
| ციბირაშვილი | 48 |
| *თბილისი* | *35* |
| *ოზურგეთი* | *5* |
| *თეთრიწყარო* | *3* |

**ციბირაშვილი**, საკ. სახ. **ციბირა**, გვარში: **ციბირაშვილი** (ალ. ღლ., 229); მისივე ვარიანტული ფორმებია: **ციბა, ციბილა, ციბუა, ციბუნა** (იქვე, 229) (შეხვეტილა). შდრ.: **ციბაძე**.

| | |
|---|---|
| ციმაკურიძე | 529 |
| *თბილისი* | *255* |
| *ბოლნისი* | *75* |
| *საჩხერე* | *48* |

**ციმაკურიძე** (1826 წ.), სავარ. საკ. სახ. **ციმაკური** (ი. მაისურ., 207); **ანტონ ციმაკურიძე** იყო სოფ. ბორბალოს ღვთისმშობლის მიძინების წმ. ელენეს ეკლესიის მღვდელი (1826 წ. 489, 6, №31, №25). **იმერეთში ციმაკურიძეები აზნაურები იყვნენ.**

| | |
|---|---|
| ციციშვილი | 511 |
| *თბილისი* | *306* |
| *გურჯაანი* | *64* |
| *მცხეთა* | *46* |

**ციციშვილი // ბაადურისშვილი // სარდლიშვილი // ნოდარისშვილი // მერაბისშვილი // პაპუნაშვილი // ზაალიშვილი** და სხვ. ციცი იყო საკუთარი სახელი.

**„ციციშვილთა წინაპარნი** ურიასტანიდან არიან მოსულნი. ძველთაგანვე იყვნენ მდიდრები, დასახლდნენ ფანასკენტად წოდებულ ახალციხის მიწაზე. იყვნენ სპასპეტ მხარგრძელ ზაქარიას მეგობრები, მათი შთამომავლები მეფის სამსახურში იდგნენ, ხოლო ზაქარიას შუამდგომლობით თამარ მეფემ თავადობა უბოძა, დაავალა ფანასკენტის და მისი მამულების ზედამხედველობა. ბაგრატის მეფობის უკანასკნელ წლებში ზაქარია ფანასკერტელი იყო წარჩინებული მხედართ წანამძღოლი, რომელსაც უწოდეს ზაზა, თემურ-ლენგის შემოსევისას გმირობის გამოჩენის ნიშნად მეფემ **ზაზა ფანასკერტელი** გადმოასახლა მძოვრეთის ხეობაში, უბოძა იქაური სოფლები, ხოლო მის განაყოფებს მისცა ნიჩბისის ხეობის სოფლები. **ზაზას დარჩა ძე ციცით წოდებული.** „რომელმანცა მეფესა კონსტანტინეს ამანცა ფრიად მსახურა სხვათა და სხვათა ბრძოლათა შინა, და ჯილდოდ ამისა მეფემან უბოძა შვილთა ამისთა და თვის მას გვარად ციციშვილობა. ასე იწოდებიან ქრისტეს აქეთ **1448 წლიდან**'' (12). მძოვრეთის ხეობის მცხოვრებნი იწოდებოდნენ **ზემო ციციანებად**, ხოლო ნიჩბისის ხეობაში მცხოვრებნი — **ქვემო ციციანებად**. **ზემო ციციანთა გვარებია: მოურავისშვილები, ამილბარისშვილები, პაატასშვილები, გიორგისშვილები, ზაქარიაშვილები** და სხვ., ხოლო **ქვემო ციციანთა: დიმიტრისშვილები, მ-დივანბეგისშვილები, ზაზასშვილები** და კიდევ **ზაზასშვილები**. ხოლო ამათში პირველისა ოჯახისა შვილი იყო პირველ ხარისხის თავადად, ხოლო სხვანი მეორე და მესამე თავადის ხარისხისა (საანდაზო ლექსები...12). ც. წარჩინებული ფეოდალური საგვარეულო ქართლში, ყოფილი ფანასკერტელი, საციციანოს მფლობელი XIV საუკუნიდან, რუსეთის მმართველობის დროს ციციანოვებად იწერებოდნენ (**ი. მაისურ.**, 208); ყმები ჰყავდათ: **ციციშვილ-ბაადურისშვილი ზაალს,** სკვირეთში, სომხითში, ქციაში; **ციციშვილ უთრუთას,** ალგეთში, სომხითში; — **ციციშვილ-სარდლიშვილ ზაზას** ალგეთში; **ციციშვილ-სარდლიშვილ პაპუნას,** ალგეთში, სომხითში; **ციციშვილ-ნოდარისშვილ ზაზას,** თრიალეთში, სკვირეთში; **ციციშვილ-მერაბისშვილ მანუჩარს,** სკვირეთში, ქციაში; **ციციშვილ ყაისა და ლუარსაბს,** სკვირეთში, ქციაში; **ციციშვილი სახლთხუცესი ედიშერი, ციციშვილი-პაპუნაშვილ ზაზას** თრიალეთში, **ციციშვილ იესეს** სკვირეთ-

ასპანიძე 668
*ასპინძა 197*
*თბილისი 166*
*ახალციხე 104*

ში, ციციშვილებს-შიგამდეგ ზაზას, ვარამს, რევაზს, **ციციშვილ-ზაალაშვილ ქაიხოსროს,** ლიპარას, ვახტანგს, ადამს, ქციაში (**იას. ლორთქ.**, ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 313-314); „შიგამდეგი ზაზა ციციშვილის ერთი გამომღები ყმა ახალშენში (სამღერეთისა). დასახელებულია „ნასყიდად"...

**მერაბიშვილი მანუჩარ;** ჩვენ იგი ჩავთვალეთ ციციშვილად, რადგან მოთავსებულია ციციშვილებს შორის და მისი ყმები ცხოვრობენ დანარჩენი ციციშვილების აზნაური - შვილებთან ერთად ვეძისში და დიდ დაღეთში. **ციციშვილი-მერაბიშვილი მანუჩარ** იხს. 1729 წ. სიგელში (სიძვ., II, 305; იას. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. I და II, 180).

**ციციშვილების** განაყოფები გადადიან და მკვიდრდებიან ქვემო ქართლში. აქ მოიხსენიებიან: **ციციშვილ-ნოდარაშვილი, ციციშვილ-პაპუნაშვილი, გოგიშვილ-ბადურაშვილი, ციციშვილ-ზაალიშვილი, ციციშვილ-მერაბიშვილი, ციციშვილ-სარდლიშვილი...**

**ციციშვილები** მკვიდრი ქართველები და ქართველთ შვილნი არიან. მათი ადრინდელი გვარია **ასპანისძე** (დღევანდელი ასპანიძეები) მესხეთიდან. **ციცი ასპანისძე — ფანასკერტელმა (ფანასკერტელი) დაუდო სათავე ციციშვილთა ცნობილ ფეოდალურ საგვარეულოს** (ი.ა.).

ამავე ძირისაა: **ციციაშვილი, ციცაგი. ციციგაშვილი** (ციციკაშვილი), **ციცილაშვილი, ციცუაშვილი** (ზოგი გვარი ებრაულია) (დიდი დაღეთი, ახალშენი). **ციცაგები იგივე ციციშვილებია** (ი.ა.).

ᲪᲘᲮᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 981
*თბილისი 350*
*დმანისი 168*
*დუშეთი 157*
ᲪᲘᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ 94

**ᲪᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1852 წ.), საკ. სახ. **ციხუა** (საქ. სიძვ., Iი, 127). აქედან **ციხა, ციხო, ციხია, ციხელი, ციხისელი, ციხოელი, ციხოველი; ციხია** (დოკ., I, 328).

1853 წ. წყლულეთიდან კახეთში (სოფ. მანკოდა) საცხოვრებლად გადადის **შიო ციხაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, 1853, ფ. 339-346).

ამავე ძირისაა: **ციხელაშვილი** (ციხისთავი, წყლულეთი). **ციხელაშვილი — ხოსტაშვილთა** შტო-გვარია.

ᲪᲣᲪᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 175
*კასპი 88*
*თბილისი 60*
*თელავი 19*

**ᲪᲣᲪᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1738 წ.), საკ. სახ. **ცუცუნ-ი** (სცსსა, 1449, №864, ფურც. 40); **ცუცუნაშვილი გიორგი** მოიხსენიება 1738 წ. თავდახს-

ნილობის წიგნში მოწმედ, რომელსაც მებატონე ზაზა სოლაღაშვილი აძლევს ბაღდუა და ბერელა ზურაბიშვილებს (დოკ., I, 280).

| | |
|---|---|
| ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ | 3513 |
| ჭიათურა | 1715 |
| თბილისი | 581 |
| ქუთაისი | 209 |

**ᲪᲣᲪᲥᲘᲠᲘᲫᲔ** (1721 წ.), საკ. სახ. **ცუცქირ-ი**, გვარში: **ცუცქირიძე** (ალ. ღლ., 230); „ქ. საამისა და ედიშერისა ქ. ენაგეთს 1721 წ. **იესე ცუცქირიძე** მოლაშქრე" (ვახუშტი, 118).

**ᲪᲥᲠᲘᲐᲚᲐᲫᲔ // ᲪᲥᲠᲘᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), ადამიანის დახასიათების, თვისების გამომხატველი გვარია. **ცქრიალი** საბას განმარტებით, არის თაგუთა და ჭუათა ჩქარი სირბილი (421), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით: **ცქრიალ-ი** 1. ცქვიტი, მარდი, მოხდენილი მოძრაობა. გოგონა ცქრიალით დადის. 2. იგივეა, რაც ციმციმი, **ცქრიალა.** (ცქრიალასი) ცქვიტი, მარდი, სიცოცხლით სავსე. ც. გოგონა. - ც. თვალები. ც. მიხვრა-მოხვრა. ცქრიალებ-ს გარდუვ. 1. ქრიალით დადის. 2. იგივეა, რაც ციმციმებს. ცაზე ვარსკვლავები ცქრიალებენ.

საღირაშენში მცხოვრები **მიხა გიორგის ძე ცქრიალაძე** 1871 წელს ქორწინებისას თავდედობს თავისსავე სოფლელ აბრამ მჭედლიშვილის ასულ ქეთევანს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); მიხეილ მალხაზის ძე ცქრიალაძე, მისი შვილი იაგორი, ძმა ივანე (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №126, 1873 წ. ფ. 675-689, აღწ. №289); საღირაშენელი **ივანე გიორგის ძე ცქრიალაძე** 1875 წელს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში შვილს უნათლავს თავისსავე სოფლელ იაკობ გიორგის ძე ნინიკაშვილს; ფარცხისელი იოსებ ესტატეს ძე ადოლაშვილის შვილის დარიას მომნათვლელად 1881 წ. მოიხსენიება საღირაშენში მცხოვრები მიხეილ ცქრიალაშვილის ასული სიდონია; იგივე უნათლავს შვილს გოლთეთელ ალექსი ივანეს ძე კიკოლაშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1; იქვე, 1883 წ.); საღირაშენელი ივანე გიორგის ძე ცქრიალაშვილი შვილს ოლღას უნათლავს თავის მეზობელს მიხეილ გრიგოლის ძე ნინიკაშვილს (იქვე, 1885 წ. ფურ. 9); მიხეილ მახარეს ძე ცქრიალაძე, გიორგი ცქრიალაძე, მიხეილის მეუღლე სიდონია, ქალიშვილები: სონია, ქალია, ივანე მეუღლე ლიზა, ქალიშვილი მაშო საღირაშენში მოიხსენიებიან 1886 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, №3, 1631, 1886 წ. ფურც. 1-19). შდრ. **ცუცუნაშვილი, კრიალაშვილი, წკრიალაშვილი, აწკარუნაშვილი, ბლუაშვილი, დავლაშვილი, ზოზიაშვილი, ცოცხალაშვი-**

**ლი, ჯარიაშვილი** და სხვ. (სალირაშენი). ყოველთვის დიდი პატივით იქნება სახელდებული ბატონი **ნიკოლოზ (კოლია) ცქრიალაძე**. აქტიური, გამორჩეული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე (ჩემი უფროსი მეგობარი და მოძღვარი).

| | |
|---|---|
| ცხადიაშვილი | 333 |
| *მარნეული* | *107* |
| *თბილისი* | *80* |
| *ქიათურა* | *52* |

**ცხადიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ცხადა** (შდრ. ცხადა-ბერი); ამავე ძირისაა: **ცხადაია, ცხადაძე, ცხადაშვილი** (ი. მაისურ., 209); **ცხადა** (ტბეთის მატიანე, 61); **ცხადაია** (ძვ. საქ. IV, 39); „ქ. მოლავს სახლთუხუცესი ბერძნიშვილი ოთარი, აქავ ამისი ყმა **გოდერძა ცხადიაშვილი**" (ვახუშტი, 53); „აქავ მარაბდას გოსტაშაბიშვილების ყმები გლახა და ბეცია ცხადიაშვილები, 1781 წ." (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგ., 169); **ნინია ცხადიაშვილი,** მეუღლე თამარი, შვილები: გიორგი, ელენე, ძმა სოსია მოიხსენიებიან დიდ ენაგეთს 1823 წელს (სცსსა ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18). ცხადიაშვილები ქვემო ქართლიდან წასულან იმერეთში.

| | |
|---|---|
| ცხვედაძე | 496 |
| *თბილისი* | *309* |
| *ხარაგაული* | *40* |
| *ქარელი* | *31* |

**ცხვედაძე** (1843 წ.), საკ. სახ. **ცხვედა,** შდრ. **მცხუედი გვიანი** (ჭუმბ., 42), სვან. საკ. სახ. **ხვითანგ** (ალ. ღლ., 231); **ცხვედეთი** (ცხვედიეთი) სოფელია დუშეთის რაიონში (მთიულეთში) (**ილ. მაის.**, 210). 1843 წ. სოფ. ღოლოვანში მოიხსენიებიან დავით, გიგოლა, ბექანა, სიმონ და ანდრო ცხვედაძეები (სცსსა, ფ. 254, №3, 113, საქმე №78, ფურც. 370-382).

ამავე ძირისაა **ცხვედიანი** (ღოლოვანი). ღოლოვნელია ცნობილი არქივარიუსი ქრისტინე ცხვედაძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ამშენებელი ნიკო ცხვედაძე (მადლობა და ბარაქალა მათ ი. ა.).

# ძ

| ძაბილაშვილი 41 |
| --- |
| *საგარეჯო 34* |
| *თბილისი 4* |
| *რუსთავი 3* |

**ძაბილაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ძაბილა** (სტატ. ცნ., XVIII ს., 172); **ძაბილა** (ალ. ღლ., 231).

**ძაბილაშვილი თამაზა** (საქ. სიძვ., I, 354); **ძაბილაშვილი იასე** (იქვე, 354); „ქ. გოსტაშაბაშვილის ამილდანბარისა, 1721 წ. ქ. ღოლოვნას **თამაზა ძაბილაშვილი**" (ვახუშტი, 57).

| ძამაშვილი 817 |
| --- |
| *თბილისი 380* |
| *გარდაბანი 248* |
| *რუსთავი 52* |
| ძამანაშვილი 183 |

**ძამაშვილი** (VI ს.) უძველესი გვარსახელი. ბიზანტიელმა ისტორიკოსმა შემოგვინახა ცნობა იბერთა მეფის **ძამანაძის** შესახებ (**ს. ყაუხჩ.**, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქ-ს შესახებ თბ., 1964, 21); საკ. სახ. **ძამა** (საქ. სიძვ., II, 98); **ძამია** (ძამიასი) 1. ძმა, ძამიკო. 2. მიმართვა ვაჟისადმი. ძამიკო (კნინ-მოფერ.). 1. ძმა (უპირატესად მიმართვისას) 2. იგივეა, რაც ძამია (მნიშვ. 2) (ქეგლ, 543).

**ბიძინა ძამაშვილი,** 1713 წ. გაყრილობის წიგნი, მიცემული კათალიკოზ დომენტის მიერ ამილბარ და სხვა მალალაძეებისადმი (დოკ., II, 17); **ლაზარე ძამაშვილი,** XVIII საუკ. მეორე ნახევარი. მორიგეთა ნუსხა (დოკ., II, 83); სოფ. ზრბითში 1721 წ. მოიხსენიება ბასილა ძამაშვილი (ვახუშტი). **ძამაშვილი მენთეშაშვილთა შტოგვარია.**

ამავე ძირისაა: **ძამანაშვილი, ძამნაშვილი, ძამიაშვილი, ძამუკაშვილი, ძამუნაშვილი, ძმანაშვილი,** (ილ. მაისურ., 211). ძ. მარაბდაში ჩანან 1851 წ.

**ძამანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ძამა** (საქ. სიძვ., II, 98); მისი ფორმებია: **ძამანა, ძამელა, ძამიკა, ძამინა, ძამნა, ძამუ, ძამუა, ძამუკა, ძამულა** (ალ. ღლ., 231).

ამავე ძირისაა უძველესი გვარსახელი **ძამანაძე**. VI ს. ბიზან-

ტიელმა ისტორიკოსმა შემოგვინახა ცნობა იბერთა მეფის ძამანაძის შესახებ (ს. **ყაუხჩიშვილი,** რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, 21); ამავე ძირისაა: **ძამაშვილი, ძამნაშვილი, ძამიაშვილი, ძამოაშვილი, ძამუაშვილი, ძამუკაშვილი, ძამუნაშვილი, ძმანაშვილი** (იხ. **ი. მაისურ.,** 210-211); ედიშერა ძამანაშვილი, 1742 წ. ყმისა და ნასყიდობის წიგნში, მიცემული დათუნა საგინაშვილის მიერ თავის განაყოფ დურმიშხან ეშიკალაბაშის შვილის გიორგისა და სხვათადმი, სოფ. ბოგვში მოხსენიებულია მოწმედ (დოკ., I, 309).

ძამნაშვილი 62
*გარდაბანი 48*
*თბილისი 9*
*თიანეთი 1*

**ძამნაშვილი** (1721 წ,), საკ. სახ. **ძამნა.** შდრ. **ძამა, ძამია, ძამანა, ძამუკა** და მისთ.

„ქ. ვარაზაშვილის ლუარსაბის ყმა 1721 წ. ქ. აბელიას **ძამნა ძამნაშვილი**“ (ვახუშტი, 137).

შდრ. ძამაშვილი (აბელია).

**ძამოშვილი//ძამოაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ძამა** (საქ. სიძვ., II, 98); **ძამას** კნინობითი ფორმებია: **ძამელა, ძამიკა, ძამანა, ძამუ, ძამუა, ძამუკა, ძამულა** (იხ. ალ. ღლ., 231); „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. წრაურთს, 1721 წ. ბერუა ძამოაშვილი“ (ვახუშტი, 159).

ძიძიშვილი 485
*თბილისი 161*
*მცხეთა 61*
*ოზურგეთი 53*

**ძიძიშვილი//ძიძაშვილი** (1685 წ.), საკ. სახ. **ძიძა;** შდრ. საკ. სახ. **ძიძია** (ი. მაისურ., 212).

შიუკა ძიძაშვილი, 1685 წ. ღალის ამოკვეთის წიგნი, მიცემული მუხრანის ბატონის შვილის ბოვნელ ეპისკოპოსის ნიკოლოზის მიერ დოლმაზა შანშიასშვილისადმი (საქ. მუზ., №14, 178 Hd).

მარაბდაში მოიხსენიება 1817 წლიდან.

ძუკაშვილი 22
*თბილისი 6*
*დუშეთი 4*
*მცხეთა 4*

**ძუკაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ძუკა** (კოლხ., 5, ეწერი; ალ. ღლ., 233); შდრ. **ძუკუ, ძუკუნა, ძუკუნია.** „ქ. გერმანოზიშვილი დათუნას ყმა ქ. ზას 1721 წ. **ძამა ძუკაშვილი**“ (ვახუშტი, 133).

ძულიაშვილი 695
*გურჯაანი 199*
*თბილისი 142*
*თელავი 56*

**ძულიაშვილი//ვარსემაშვილი // ვარსიმაშვილი** (1651 წ.), საკ. სახ. **ძულია** (ივ. ჯავახ., სეიძ., I, 48); **ძულია მანასაშვილი** (ვახუშტი, 8), **ძულია ნურუაშვილი** (იქვე, 204); ნ. **ძულია** ყვავილაძე, გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული გოდერძ

ყოინიძისა და სხვების მიერ მურვან მურვანისშვილისადმი (საქ. მუზ., №2957 hd); **ძულია ხატიასშვილი**, 1736 წ. თებერვლის 20-ი (იქვე, 251); **ძულია თათარაშვილი** (261), **ძულია გურასპაშვილი** (309). ნ. **ძულიაშვილი,** 1651 წ. ყმა-მამულის ნუსხა (დოკ., II, 6); **ძულიაშვილი** სკრელი, მამასახლისი, 1705-1729 წ. არზა, პატრიარქ დომენტის მიერ ბეგლარბეგისადმი მიცემული (საქ. მუზ., ფ. hd №2687); „სოფ. ბორბალოში 1781 წ. აღწ. მოიხსენიებიან თევდორე, მამუკა და ძულია ვარსიმაშვილები" (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 168); **1873 წ. აღწერით ბორბალოში მოიხსენიებიან მათე და გიორგი ძულიაშვილი** (სცსსა, ფ. 254, აღწ. №3, 111, ფურც. 1-3); 1886 წელს ბორბალოში უცხოვრიათ: **იოსებ ძულიაშვილს,** მის ძმას დავითს, შვილები: დავითი, გიორგი, ივანე, იოსების მეუღლე ნინო, დედა ვარვარა, დავითის მეუღლე სოფიო. **მიხეილ მათეს ძე ძულიაშვილი** (იგივე ვარსემაშვილი, 1865 წლამდე), დედა ნინო; **გიორგი ვარსემას ძე ძულიაშვილი** შვილი შიო, ძმები: დიმიტრი, ზაქარია, ივანე, თედო, მეუღლე კეკელა, ქალიშვილი მარო, დიმიტრის მეუღლე მაკა (მარიამი), ქალიშვილი ვარვარა, ზაქარიას მეუღლე ეფემია (სცსსა, ფ. 254, №3, 1608, სია №702, ფურ. 1-49).

# წ

**წაბლიაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **წაბლა** (წაბლისფერი). (ი. მაისურ., 213); **წაბლა**, გვარებში: **წაბლაძე, წაბლაშვილი, წაბლიაშვილი** (ალ. ღლ., 234).

სოფ. დიდ თონეთში 1873 წ. აღწერით მოიხსენიება **გიგა წაბლიაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №3, საქ. №127, აღწ. №320, ფურც. 218-224).

| | |
|---|---|
| წამალაძე | 480 |
| *თბილისი* | *162* |
| *დუშეთი* | *108* |
| *ყაზბეგი* | *53* |

**წამალაიძე//წამალაძე//წამალაშვილი,** საკ. სახ. **წამალა** (დოკ. I, 20); **წამალაისძე** მოხსენიებულია **1250-1260** წწ. შიო-მღვიმის სიგელში (№38)...ამისი მოწამენი არიან: **არაისძე, ებაი** და **წამალაისძენი** აი“ (ქრონიკ., II, 153); **წამალაიძე** მთიულეთი (დუშეთის რ.); გადმოსულან ხადადან და მეღუროდან. 1721 წ. აღწ. ზრბითში მოხსენიებული არიან ზურამაზა, დოლმაზა, ზურაბა და ესტატე წამალაშვილები (ვახუშტი, 85); 1774 წ. აღწ. ხადას, მიღურეს მოხსენიებული არიან: წამალაიძე გიორგის შვილი, თევდორე, ადამა, ქიჩო, კაცია, გიორგი, დათუნა.

...აქავ **წამალაიძე ამონის შვილი,** ბია, ელისბარ, მარტია და პაპა; ...ხადას ბენიანთ კარს: **წამალაიძე ჯანუყის შვილი,** ნიკოლა (ვახუშტი, 433-434); წ. თიკუნებია: მახარობლიანი, ყაზბეგიანი, ბიანი, ყატვიანი, ავწიანი, ჯაბიანი (**ს. მაკალ.,** მთიულეთი, 78) // **წამალაძე,** შდრ. „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა ქ. ზას 1721 წ. წამალაშვილი გიორგი“; „ქ. თულაშვილის ასლანის ქ. ზრბითს, 1721 წ. წამალაშვილი ზურა-მაზა, წამალაშვილი დოლმაზა, წამალაშვილი ესტატე“ (**ვახუშტი,** 85, 86). (ვანეთი, ზირბითი, ზა).

| |
|---|
| **წამალაშვილი** 859 |
| *თბილისი 478* |
| *მცხეთა 116* |
| *თეთრიწყარო 86* |

**წამალაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **წამალა**. **ვარამაშვილი წამალა**, გიორგი ვარამაშვილის მამა. 1628 წ. ბატონყმობის წიგნი, მიცემული გიორგი ვარამაშვილის მიერ სახლისუხუცეს ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის, 1626-1650 წწ. „...ქამთა გასათავებული ფიცი და პირობა მოგეცით ჩვენ, ვარამაშვილმა გიორგიმა და მამა ჩემ[მ]ა წამალამა" (დოკ. I, 20); ზურამაზა წამალაშვილი, დოლმაზა წამალაშვილი ესტატე წამალაშვილი და მეორე ესტატე წამალაშვილი მოხსენიებული არიან 1721 წ. აღწერით ზრბითში. მათი მებატონეები არიან თულაშვილები (ვახუშტი, 85); „ქ. ლუარსაბ თულაშვილის ყმა ქ. ზრბითს: ესტატე წამალაშვილი, ზურაბა წამალაშვილი, 1721 წ. (ვახუშტი, 86-87); წამალასშვილი, 1725 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ომან თაზისშვილის მიერ თავის განაყოფ ელისბარ თაზისშვილისადმი (დოკ. I, 212); „ენაგეთელმა სოლომონ წამალაშვილმა იქორწინა 1830 წ. ამავე სოფელში მცხოვრების სვიმონ ფუტკარაძის ქალთან, 14 წლის ზინობიასთან. თავდები იყვნენ ენაგეთში მცხოვრებნი იოსებ ბაკურიშვილი, სვიმონ ვაშაკიძე" (489, №6, №98, ფურ. 28). საღირაშენელ მიხეილ სოლომონის ძე წამალაშვილი 1881 წ. ნათლავს ქალიშვილ დარიას, მიმქმელი ყოფილა ამავე სოფლელი დავით დავითის ძე მოდრეკილაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1); ლუარსაბ წამალაშვილი, საღირაშენი (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე №126, 1873 წ., ფ. 675) -არსენა წამალაშვილი, მისი შვილები: ნიკოლოზი (იგივე კონსტანტინე), წამალა (იგივე სოლომონი), სიკო (იგივე დავითი) (სცსსა, ფ. 254, №3, 1631, 1886 წ. ფ. 1-19).

შდრ. **წამალაიძე** (ენაგეთი, ზა, ზრბითი, საღირაშენი).

**წატურაშვილი** (1523 წ.), საკ. სახ. **წატურა**. იხ. ზაქუმბეგ ალიყულიშვილის გლეხი, 1690-1716 წწ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაქუმბეგ ალიყულიშვილის მიერ ავთანდილ დიასამიძისადმი (დოკ., I, 88); **წატურა** ბოგანო (ვახუშტი, 153). გივი წატურაშვილი, მდივნის ყმა, გორელი, ჰყიდის წისქვილებს და საზღვარგარეთ უნდა წასვლა (იხ. 1697 წ. მარტის 20-ს. სამართალი იოთამ ამილახორისა გივი თუმანისშვილისა და ავთანდილ კაჭკაჭიშვილის საქმეზე (საქ. მუზ., №2268; დოკ., I, 101); ოსია წატურაშვილი, 1704 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მანუჩარ ციციშვილის

მიერ გივი თუმანიშვილისათვის (საქ. მუზ., №79, hd; დოკ., I, 126), წატურაშვილი სოფ. თაფანს მოხსენიებულია 1523 წ. ბარათაანთ გაყრის წიგნში (ქრონიკ., II, 350); მოგვიანებით რუსული გაფორმებით მიხეილ ეფრემის ძე წატუროვი, ოჰანეზ ეფრემის ძე წატუროვი, ვართან ეფრემის ძე წატუროვი (სცსსა, ფ. 254, №3, 1607, 1886 წ., ფ. 46-60); ,,ქ. საგინაშვილის დათუნასი 1721 წ. ქ. ირდასუბანს წატურაშვილი ზურაბა'' (ვახუშტი, 153) ,,ქ. ქაიხოსროსი ციხიას წატურაშვილი (იქვე, 94).

მანუჩარ ციციშვილი 1704 წელს სჩუქნის გივი თუმანიშვილს ყმას დაღეთში ხურო ოსია წატურაშვილს თავისის ცოლშვილითა (დოკ., I, 126); პაპუნა წატურაშვილი 1721 წ. ცხოვრობდა გოლთეთში (ვახუშტი, 116)

შდრ. ცატუროვი იგივე წატურაშვილი (არდასუბანი, გოლთეთი, დაღეთი, ვაშლოვანი, თაფანი, ირდასუბანი, ციხია).

| | |
|---|---|
| წვერავა | 516 |
| წვერაიძე | 37 |
| წვერიანაშვილი | 99 |
| წვერიკმაზაშვილი | 106 |
| წვეროშვილი | 53 |

**წვერაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **წვერა** (რაჭა, ს. ჭიჭინ., სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 234).

,,ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა წვერს, 1721 წ. **ბერუა წვერაშვილი**'' (ვახუშტი, 119).

სავარ. გვარადქცეული სადაუროების სიტყვა: წვერი (სოფ. თეთრიწყაროს რ.-ში), // აქედან წვერაშვილი.

შდრ. **წვერალაშვილი** (იქვე).

**წვერელაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **წვერა, წვერო.** აქედან მეტსახელი **წვერელა.**

,,ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა 1721 წ. წვერს: **,,დათუნა წვერელაშვილი**'' (ვახუშტი, 120); ამავე ძირისაა: წვერავა, წვერაიძე, წვერინაშვილი, წვერიკმაზაშვილი, წვერაშვილი, წვერიაშვილი, წვერიანაშვილი (ალექსი **წვეროშვილი** (,,ფრუშკა'' ცნობილი ფშაველი მოლექსე, მოკაფიავე, **ი. მაისურ.**, 214).

**წელლიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **წელლია.** 1832 წ. სახელმწიფო გლეხს მამუკა კაციელას ძე **მაჩაიძეს** შვილს უნათლავს თონეთში მცხოვრები სახელმწიფო გლეხი **თევდორე წელლიას ძე წელლიაშვილი** (ფ. 489, აღწ. 6, საქ. 150, ფურ. 50); ,,ბექან ზაზუნაშვილის ყმად

მოლავს. 1721 წ. მოიხსენიება თამაზა წელღიაშვილი" (ვახუშტი, 125); წელღია იყო მეტსახელიც. შდრ. წკრიალა (წკრიალაშვილი), ცქრიალა (ცქრიალაშვილი, ცქრიალაძე), წიწაკა (წიწაკაშვილი), წვერიკმაზა (წვერიკმაზაშვილი) (ალ. ღლ., 234-235) (დიდი თონეთი, მოლავი).

**წერელიძე** (1817 წ.), საკ. სახ. **წერელა** (სტატ. ცნ., XVIII ს. 23; ალ. ღლ., 235); წერელიძე სიმონი მოიხსენიება 1817 წ. აღწ. ბორბალოში (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფურც. 269-270).

| | |
|---|---|
| წითელაშვილი | 402 |
| *ზესტაფონი* | *244* |
| *თბილისი* | *70* |
| *ბაღდათი* | *13* |

**წითელაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **წითელა, წითლაური.** (ი. მაისურ., 214); „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა. 1721 წ. ქ. ტბის: **გიორგი წითელაშვილი**" (ვახუშტი, 120).

ამავე ძირისაა:

შდრ. **შავაძე, შავიანიძე, შავიშვილი, შავიძე, თეთრაშვილი, თეთრაული, თეთრაძე...** (ტბისი).

| | |
|---|---|
| წითელაური | 275 |
| წითელაძე | 628 |
| წითელიშვილი | 43 |

**წითლაური//წითელაურ**-ი. სათემო გვარი ფშავში (დუშეთის რ.); საკ. სახ. **წითელა // წითლაური**: დიდ ენაგეთელ არსენ თეოდორის ძე ხუციშვილის ბავშვის **ევას** მიმქმელად 1882 წ. მოიხსენიება გოლთეთელი გაბრიელ ბესარიონის ძე წითელაური (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1) გოლთეთში 1884 წელს მოიხსენიება ზაქარია გაბრიელის ძე წითელაური. იგი უნათლავს შვილს თანასოფლელ გიორგი იოსების ძე ბასილაშვილს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1) (გოლთეთი, ჩხიკვთა).

| | |
|---|---|
| წითლანაძე | 124 |
| წითლაური | 54 |
| წითლაძე | 56 |
| წითლიშვილი | 37 |
| წითურული | 22 |
| წითური | 31 |
| წითურიშვილი | 21 |

**წითურიძე//წითურიშვილი** (1883 წ.), საკ. სახ. **წითელა.** გოლთეთში მცხოვრები ზაქარია გაბრიელის ძე წითურიშვილი 1883 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს ქალიშვილს ელისაბედს. მიმქმელი იყო ფარცხისში მცხოვრები სოლომონ ივანეს ძე ღონღაძე (სცსსა, ფ. 489, 9, თ/წ. №1).

ამავე ძირისაა **წითლაური, წითელაური** (სათემო გვარი ფშავში, დუშეთის

რ.); **წითლიშვილი, წითლიაშვილი, წითელაძე, წითლიძე, წითურიშვილი, წითლანაძე.**

| | |
|---|---|
| ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ | 12499 |
| *თბილისი* | *4496* |
| *დუშეთი* | *1546* |
| *გარდაბანი* | *1016* |

**ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ** (1774 წ.), საკ. სახ. **წიქა. წიკლაური სათემო გვარია,** გავრცელებულია მთიულეთსა და ხევსურეთში. მთიულეთში წიკლაურებს უცხოვრიათ: ათნოხში, ბახანში (პატაშური), ბოსელში, ბურსაჭილში, დგნალში, დიხჩოში, დოლასქედში, დუმაცხოში, ზანდუკში, ლუთხუბში, მაქართაში, საჩალის ჭალაში, სიჯანაანში და თოთიაურთ-კარში, ფახვიჯაში, ჩიბაურნში, ცხვედიანში, ჭოჭოხში, ხოზაში და ჯულისში.

მთიულეთში მცხოვრებ **წიკლაურთა** თიკუნებია (კომლები):

**ლომიანი, თამნიაური, ბუბულაური, ნატიანი, ვაიდაგიანი, კოტორიანი** (ს. მაკალ., 78).

გადმოცემის მიხედვით, ამ გვარის მიმცემი **წიქვაი** და **ბექაი** ხევსურები და ძმები ყოფილან (**ი. ჭყონია,** ქორწინ. ინსტიტუტი, 27); წიკლაურები გარისის მიწაზე 1854 წელს გადმოსულან გუდამაყარის სოფ. **მაქართა-დან;** 1853-1854 წწ. აღწ. წიკლაურიშვილებად ჩაწერილან (სცსსა, ფ. 254, №2, 188, ფურც. 374-376); 1873 წ. აღწ. სოფ. ღვევში მოიხსენიებიან მახარობელ, გიორგი და ივანე წიკლაურები, 1886 წელს მოიხსენიება ბეწიკა წიკლაური (დღეს ბეწიკაანი), ბერო წიკლაური (სცსსა, ფ. 254, №3, 112, საქმე 74, ფ. 177-181; 1613, ფ. 23-40); ფარცხისელ გიორგი ანდრიას ძე ბეგიაშვილს შვილს უნათლავს სოფ. ამლიველი გიორგის შიოს ძე წიკლაური (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1885 წ.). წიკლაურებიდან რამდენიმე შტო-გვარი მომდინარეობს.

ამავე ძირისაა **წიკლაშვილი** (ამლევი, ღლევი).

| | |
|---|---|
| ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲚᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ | 258 |
| *თბილისი* | *87* |
| *ახალგორი* | *49* |
| *კასპი* | *37* |

**ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲚᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სასულიერო წოდება **წინამძღვარი.** „წინამძღუარი ეწოდების კრებულის უფროსსა. გინა მგზავრთა ეტიკსა გინა ბრმის წინამაყურებელსა. ხოლო სამღდელო მონასტერთა წინამძღუართა განყოფილებანი ესრეთ არიან: ერთისა მონასტრისა კრებულის უფროსსა ეწოდების წინამძღუარი, ხოლო შვიდთა და რვათა მონასტრის წინამძღუართა ზედამდეგსა, რათა იგი განაგებდეს-მამასახლისი, ხოლო მრავალთა

მამასახლისთა ზედამდეგსა-მოძღუართ-მოძღუარი და მრავალთა მოძღუართ ზედამდეგსა-მოძღვართაპეტი (მოძღუარპეტი) ეწოდება" (საბა, 437).

ცნობილი არიან წინამძღვრები: ამბაკო, გრიგოლ, დომენტი, ბუნიათიშვილი, იობი, იოვანე, იოანე ენისელთ მოურავის ძე, იოსებ გაბაშვილი, მარკოზ წერეთელი, სვიმონ, ჭიჭინაძე იესე და სხვ.

ამჟამად ძირითადად ცხოვრობენ წინამძღვრიანთკარში (მცხეთის რ. ცნობილია ილია წინამძღვრიშვილი). უცხოვრიათ აგრეთვე სოფლებში: გუდარეხში, ბედენში.

წიქარიძე 627
*გორი 284*
*თბილისი 196*
*ჩოხატაური 35*

**წიქარიძე** (1873 წ.), საკ. სახ. **წიქარი** (ალ. ღლ., 235); **წიქარ-ი** (პ. ინგორ., სვან., 2, 146); **წიქარა** (ტბეთის მატიანე, 60, 111, 231, 257).

შიო და გიორგი წიქარიძეები მოიხსენიებიან სოფ. ვაშლოვანს 1878 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 3, №112, საქმე №70, ფურც. 25-51). ამავე ძირისაა: **წიქარაშვილი, წიქარაძე, წიქარიშვილი.**

წიქარიშვილი 109
წიქარაძე 345
წიქარიშვილი 2830

წულაძე 902
*ლანჩხუთი 273*
*თბილისი 218*
*ბათუმი 135*

**წულაძე**. (1871 წ.), საკ. სახ. **წულა,** გვარებში: **წულაძე, წულაია, წულეისკირი** (ალ. ღლ., 236); ზაქარია ბეჟანის ძე წულაძე მოიხსენიება1871 წელს სოფ. ფარცხისში (მეტრ. წიგ., ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო №1, 1871 წ.); ფარცხისელი მიხეილ სვიმონის ძე წულაძე 1873 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავს შვილს მიხეილს, მიმქმელი იყო ზაქარია ბეჟანის ძე წულაძე, დიაკონი იასე გრიგოლის ძე ზაქარიაშვილი (ფ. 489, აღწ. 9, №6, თ/წ. №1); აქვე გიორგი ბეჟანის ძე წულაძე ნათლავს ვაჟს თევდორეს (იქვე). ივანე ბეჟანის ძე წულაძე ნათლავს ქალიშვილ ანას (იქვე); ფარცხისში მცხოვრები ზაქარია გლახას ძე წულაძე 1875 წელს დიდი ენაგეთს წმ. გიორგის ეკლესიაში შვილს უნათლავს გოლთეთში მცხოვრებ გიორგი იორდანეს ძე ბასილაშვილს (იქვე); სოფ. ფარცხისში იგივე ზაქარია წულაძე 1885 წელს ნათლავს შვილს სოფას. მიმქმელი იყო ლევან დიმიტრის ძე თეთრაძე (იქვე, 1885, ფარცხისი).

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ 2272
*თბილისი 452*
*ქობულეთი 391*
*ხელვაჩაური 363*

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐ 21
ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ 65

**ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ** (1605 წ.), საკ. სახ. **წულ...** (**წულა**+ბლსრთ-**უკ**). ამავე ძირისაა **წულუ...** **წულუკიანი** (ილ. მაისურ., 216); **წულუკი** ბ... ებში: წულუკია, წულუკიძე, წულუკიანი (... ღლ., 236); **ნაწულუკო** სოფელია ზუგდი... რაიონში.

**წულუკიძე,** გიორგი მეფის დროის თავ... **ნი** 1605 წ. (საანდაზო ლექსები...133); ბ... გიორგი წულუკიძე, 1778 წ. (დოკ., II, 280) დათია წულუკიძე, 1800, (იქვე, 286); წ. სეი... 1815 წ. (იქვე, 291); წ. დავით (1817 წ. 294).

წ. ამბროლაურის რაიონის სოფ. კაჰაე... დან 1941 წელს გადმოსახლდნენ ასურეთში (ასურეთი).

**ᲬᲣᲜᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **წუნდ...** შდრ. **წოწო, წრიპაწუტი, წრიპინა, წრუპა, წრუტა, წრუწო, წრუ...** (ალ. ღლ., 236). „ქ. საკარის მსახლობელი **ივანა წუნდელაშვილი**" (ვახუშტი, 312). (საკარისი).

# ჭ

| | |
|---|---|
| ჭაბუკაშვილი | 130 |
| ქართლი | 46 |
| ახმეტა | 33 |
| თბილისი | 23 |
| ჭაბუკაძე | 24 |
| ჭაბუკიანი | 970 |

**ჭაბუკაშვილი** (1721 წ.), შდრ.: **ჭაბუკი**-ახალგაზრდა ვაჟი (საბა). საკ. სახ. **ჭაბუკა** (დოკ., II, 10).

ჭაბუკა ღანუკელი, 1568 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ლეონ მეფის მიერ ანდერმან და სხვა ჩოლაყასშვილებისადმი (დოკ., I, 357); შერმაზანა ჭაბუკაშვილი, XVIII ს. პირველი ნახევარი, ამილღაბარ გოსტაშაბიშვილის ყმების ნუსხა (დოკ., II, 30).

ამავე ძირისაა გვარები: **ჭაბუკაძე, ჭაბუკიანი.** (ენაგეთი, დ/თაღეთი).

**ჭავაძე** (1881 წ.), საკ. სახ. **ჭავ-ი(ა)** (თუშ., ალვანი, ახმეტის რაიონი, ალ. ღლ., 236); იაკობ ივანეს ძე ჭავაძე მოიხსენიება სოფელ ჩხიკვთაში 1881 წ. (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. 1). (ჩხიკვთა).

| | |
|---|---|
| ჭალიძე | 372 |
| თბილისი | 184 |
| გორი | 70 |
| დმანისი | 35 |

**ჭალიძე,** საკ. სახ. **ჭალა** (ა. გვენც., კახეთი, ალ. ღლ., 236); კლდეისი.

**ჭამელაშვილი** (1829 წ.), სავარ. მეტსახ. **ჭამელა,** შდრ. საკ. სახ. **ჭამია (ჭამიაშვილი).**

| | |
|---|---|
| ჭამელაშვილი | 69 |
| თბილისი | 53 |
| გარდაბანი | 10 |
| დმანისი | 1 |

თონეთში მცხოვრებ გიორგი ჭამელაშვილს დაებადა ქალი, მონათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ. სახელი ეწოდა მარიამ. ნათლიად იყო გულუა ჩიჯაძე (489, აღწ. 6, №76, ფურ. 11, 1829 წ.) (თონეთი).

**ᲭᲔᲚᲘᲫᲔ, ჭელა,** მეტსახელი, შემონახულია კვირიკაშვილის გვარის სახინჯარში; **ჭელაანი** (ალ. ღლ., ქიზიყის ტოპონიმია, 1982, 44); **ჭელიშის საყდარი.** ნ. „...ალექსანდრე და მამიამა (მამუკამა) შემოგწირეთ... (გელათს) ჭელიშის საყდარი" (ქრონ., II, 451); **ჭელიში** (ქრონ., III, 562).

**ჭელიძის** გვართან დაკავშირებით ზ. ჭუმბურიძე წერს: „ამავე ხელობის (საუბარია მჭედელი.-ი. ა.) აღმნიშვნელი უნდა იყოს გვარი **ჭელიძე**, რომელიც მიღებული ჩანს **მჭედლიძე**-საგან.ამ ვარაუდის დასასაბუთებლად შეიძლება მოვიხმოთ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგარის დავთარი (1578 წლისა), სადაც გურიაში სოფელ ბახვის მცხოვრებთა შორის დასახელებულია ბევრი მჭედლიძე (ზაქარია, ხუტია, გიორგი, მიქელა, ოზბეგი, მალაღური, სხვა ხუტია, დეისმამა, უზუნა, სხვა გიორგი, იმრიდონი, ნასყიდა, გიორგა, ივანე, იოვანე, ხუტა, მამისბედა, ზავლა მჭედლიძენი). ამჟამად კი სოფელ ბახვში მჭედლიძე არავინაა, მაშინ როცა ჭელიძეები მრავლად სახლობენ. ცხადია, ისინი ძველი მჭედლიძეების ჩამომავალნი არიან, თორემ ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ მხარეში მჭედლიძეები ყველა ამოწყვეტილიყო და საიდანღაც ჭელიძეთა მრავალრიცხოვანი გვარი გაჩენილიყო.

ამრიგად, თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მჭედლიძის გვარს სახე უცვლია (ორი თანხმოვანი **მ** და **დ** დაკარგულა) **ჭელიძედ** ქცეულა. ასევე უნდა იყოს მიღებული **მჭედლიშვილისაგან ჭელიშვილი** (დასახ. ნაშრ. 307, 308).

1941 წ. ჭელიძეები ამბროლაურის რ-ნის სოფ. ნამანევიდან გადმოსახლდნენ მინიშნებულ სოფელში (ასურეთი). რაჭაში ჭელიძეები ცხოვრობენ სოფლებში: ახალსოფელი, ბაჯი, ბოგეული, გორისუბანი, ზნაკვა, კაჩაეთი, ნამანევი, სადმელი, ტბეთი, ქვედა შავრა, ღარი, ღები, ძირაგეული, ჭელიაღელე, ხოტევი, ჯვარისა.

ᲭᲕᲘᲜᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 25
*გარდაბანი 13*
*თბილისი 2*
*მარნეული 2*

**ᲭᲕᲘᲜᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), საკ. სახ. **ჭვანტია** (კოლხ., 30, დიხაზურგი, ალ. ღლ., 237); **ჭვანტე** (არქ., 1909, გურიფული, კოლხ., დედ., I, იქვე, 237).

„**ერტისელმა ჭვინტიაშვილმა** 1820 წელს იქორწინა კუმისელ იმერლის კილოსანის ბერის ასულ ნინოზე. თავსმდებნი ყოფილან კეთილშობილი ფრანგისტან

თურქესტანოვი და ერტისში მცხოვრები პეტრე ყორღელიძე“ (ფ. 489, №6, 5, თ/წ. 1); **სოსია ჭვინტიაშვილი,** ძმა გიორგი ჭვინტიაშვილი, და მარიამი დედა თინათინი, დეიდა ქეთევანი, დისშვილი თევდორე, მეუღლე ნინო, ვაჟი პავლე, მეორე დისშვილი რევაზი; **ტეტია ჭვინტიაშვილი,** მეუღლე ხორეშანი, ქალიშვილები: ელისაბედი, მარიამი, ეკატერინე მოიხსენიებიან 1823 წ. აღწ. სოფ. ერტისში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 93-98).

ჭიპაშვილი 811
*ხარაგაული 297*
*თბილისი 285*
*რუსთავი 53*

**ჭიპიაშვილი** (1721 წ.) **ჭიპ-ი,** მეტსახელი (რაჭა, ზნაკვა, ალ. ღლ., 238); **ჭიპა,** მეტსახელი (ქსნის ხეობა, ლარგვისი, იქვე); „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა წვერს, 1721 წ. **პაპუნა ჭიპიაშვილი**“ (ვახუშტი, 199).

ამავე ძირისაა: **ჭიპაშვილი, ჭიპიკაშვილი** (ჭიპი+ზლსრთი-**იკ**-ა, ი.მაისურ., 220) (ენაგეთი)

ჭილლაძე 2896
*საჩხერე 1245*
*თბილისი 448*
ჭილვარია 312
ჭილლაშვილი 103
ჭილიტაშვილი 52

**ჭილლაძე** (1701. წ.), სავარ. საკ. სახ. **ჭილლა** (ილ. მაისურ., 221), **ჭილა, ჭილო** მეტსახელი (ალ. ღლ., 238).

ნ. **ჭილლაძე გიორგი,** დათუნა, შიო, პაატა, თანდილა, მამუკა, 1701-1730 წ.წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ეზია წერეთლის მიერ ახვლედიანის ქალის მარეხისადმი (საქ. მუზ. №8268 Hd).

ამავე ძირისაა: **ჭილვარია, ჭილლაშვილი, ჭილიტაშვილი** (კლდეისა).

**ჭეშმარიტაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ჭიშმარიტა, ჭეშმარიტი.**

„ქ. საკარისის ორსავეში **ჭიშმარიტაშვილი**“ (ვახუშტი, 375) (საკარისი).

**ჭიჭინაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჭიჭინა** (გ. ბოჭორ., კახ. 161, ალ. ღლ., 239); „ქ. ქოსროხანიშვილისა კწანისს 1721 წ. ჭიჭინაშვილი ბეჟუა“ (ვახუშტი, 23). შდრ. **ჭიჭინაძე, ჭიჭინავა** (კწანისი).

ჭიჭინაძე 2348
*თბილისი 788*
*ზესტაფონი 346*
*ქუთაისი 266*
ჭიჭინავა 69

**ჭიჭინაძე,** საკ. სახ. **ჭიჭინა** (გ. ბოჭორ., კახ., I, 239); **ჭიჭა,** „მოსახლე ჭიჭა ამ დროს კვის ბერი იყო“ (დოკ., I, 407); შდრ. **ჭიჭი** (ალ. ღლ.,

სახელ.), ამავე ძირისაა: **ჭიჭაშვილი, ჭიჭეიშვილი, ჭიჭიაშვილი, ჭიჭიკოშვილი, ჭიჭინავა, ჭიჭინაშვილი, ჭიჭოშვილი, ჭიჭუეიშვილი** (ილ. მაის., 221).

**ჭიჭინაძეები** ხსენებულ სოფელში გადმოვიდნენ 1941 წელს სოფ. იწა-დან (ასურეთი).

| |
|---|
| ჭოტიაშვილი 21 |
| *თბილისი 2* |
| *თელავი 19* |

**ჭოთიაშვილი // ჭოტიაშვილი** (1721 წ.), **ჭოტი** მეტსახელი, სტუდ. კოლექცია (კოლხ., 42, კურზუ); **ჭოტა,** გვარში: **ჭოტაშვილი** (ალ. ღლ., 239); **ჭოტია,** მეტსახელი (ქვ. გომი, კასპის რ. ალ. ღლ., 239); ,,ქ. არის საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო, წინწყაროს 1721 წ. **ძამუა ჭოტიაშვილი**'' (ვახუშტი 103) (წინწყარო).

# ხ

ხაბაზაშვილი 96
აბმეტა 43
თბილისი 24
გორი 11

**ხაბაზაშვილი//ხაბაზიშვილი** (1721 წ.) — **ხაბაზი**, გვარადქცეული ხელობა-მოსაქმეობის სიტყვა; **ხაბაზი**-პურის მცხობელი, მეპურე (ქეგლ); „ქ. აზნაურშვილი ბაგრატიშვილი ბაგრატის მამულში ქ. წობას **ქიტუა ხაბაზიშვილი**" (ვახუშტი, 170). ამავე ძირისაა: **ხაბაზი** (467 სული. ცხოვრობენ — ქობულეთი — 381, ბათუმი — 34, ქედა — 31). შდრ.: **ხაბაზიშვილი** (341 სული) (წობა, დლევანდ. ალექსეევკა).

**ხადური//ხადურიშვილი** (1883 წ.), საკ. სახ. **ხადა**+საგვაროვნო დაბოლოება-**ური**; **ხადურიანთკარი** სოფელია ყორნისის რაიონში. შდრ.: **ხადურა ხადურაშვილი.**

გერმანელებით დასახლებულ სოფელ ასურეთში დროებით მყოფი სახაზინო ყმა გაბრიელ ივანეს ძე ხადური და სჯულიერი ცოლი მისი ეკატერინა ივანეს ასული ნათლავენ შვილს მიხეილს. მიმქმელი იყო ასურეთში მცხოვრები სახაზინო ყმა გიორგი დავითის ძე დავითაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, 1 ბ, თ/წ. №1, 1883 წ) (ვაშლოვანი, ასურეთი).

**ხადურიშვილი** (1873 წ.), ივანე და იოსებ ხადურები, დლევანდელი ხადურიშვილები სოფ. ვაშლოვანში მოიხსენიებიან 1873 წ. აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 3, №112, საქმე №70, ფურც. 25-51) (ვაშლოვანი).

**ხაველაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ხავილა, ხაველა** (ქსნის ხეობა, ლარგვისი, ალ. ღლ., 241).

„ქ. ბატონიშვილის სვიმონისა, 1721 წ. ქ. ნახიდურს... **ასლამაზა ხაველაშვილი**" (ვახუშტი, 19) (ნახიდური).

ხანდამაშვილი 24
გურჯაანი 14
თბილისი 9
თეთრიწყარო 1

**ხანდამაშვილი // ხანის-შვილი // ყაზანფარაშვილი** (1721 წ.), **ხანი** ა) ძვ. მბრძანებელი, მეფე; ბ) საპატიო წოდება ირანში

**ხანდამიშვილი 42**
*თბილისი 23*
*გურჯაანი 6*
*თეთრიწყარო 13*

(ქართ. დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 632); **ხან-ი** (თურქ.) (ისტ.) მეფე, მთავარი, ზოგიერთი თურქი და მონღოლი ხალხისა (ქეგლ, 575); **დამ** (ძვ) იგივეა, რაც **იდან**. **ხანი,** მებატონე, ერისთავი (საბა), იხ. ბანბაკ ბერდუჯის (ბორჩალოს) ხანი, ლორეს ხანი, ქარმანხანი (ხანა, ხანე სტროფი, იმერხეული), ე. ი. თანამდებობის აღმნიშვნელი სახელი **ხან** და ნაწილაკი **დამ**. იგივე მნიშვნელობისაა, რაც გვარი **ხანისშვილი**. იხ. **გიორგი, თევდორე ხანიშვილი,** ოქმი გივი ამილახვრისა იასაულისადმი, 1735-1742 (დოკ., I, 246); ნ. ,,...აქავ ჩინჩხურელის ხანდამაშვილის პაპუნაის ყმა კოლიაშვილი პაპუა, ამისივ ბოგანო თამაზა, ქ. **ხანდამაშვილი აზნაურშვილი პაპუა,** ამისივ ბოგანო მარქარა. ქ. **ხანდამაშვილი ქამალა,** ამის ყმა დავითაშვილი კირაკოზა. ქ. **ხანდამაშვილი ბერუა,** ამის ყმა მირზაშვილი თურაზა. ამისი ბოგანო ავეტიზა. ქ. **ხანდამაშვილი ბაინდურა,** ამისი ყმა კოკაშვილი ანეზა. **ხანდამაშვილი ზალია,** ამის ყმა იელუბაშვილი სულხანა, ქ. **ხანდამაშვილი ზავრადა,** ამის ყმა ჯანუა. ამისივ ბოგანო გამხია. ქ. **ხანდამაშვილი რამაზა,** ამის ყმა ასლანაშვილი მამუა (ვახუშტი, 192); **ხანდამასშვილი ფარსადანი,** 1775 წ. მარტის 10-ს ყმობის წიგნი ოვანესა ამაზას-შვილის მერ საამ (?) ყაფლანისშვილისადმი (დოკ., II, 90, 382). **ხანდამაშვილი,** 1780 (იქვე, 112); **ხანდამაშვილები იყვნენ აზნაურები.** ცხოვრობდნენ და ყმები ჰყავდათ ჩინჩხურში და თაგუთში. იყვნენ აგრეთვე უყმო ხანდამაშვილები. მაგ., ხ. ბერუა, რევაზა, ოთარი და მამუკა (დბანისის ლორაშენი (ისს. ლორთქ., ქვემო ქართლი, ნაწ. III და IV, 21); ხ. ალავერნა, აზნ. 1701/11 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა თაგუთში, ყმები ჰყავდა თაგუთში და ლორაშენში; ხ. ასლანა, 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების უყმო აზნაური ჩინჩხურში, ხ. ბადურა, აზნ. 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა დბანისში, 1701/11 წ. აღწ. ცხოვრობდა ჩინჩხურში, ყმები ჰყავდა თაგუთში, ჩინჩხურში, **აზნაურები** ყოფილან: **ხანდამაშვილი** ბექუა, ბერუა, ბერუა, ბერუა, გურგენა, ზალია, ზავრადა, იორამ, მამუკა, ოთარი, რევაზი, ქამალა, ყაითმაზ, ბიძინა, მანთაშა, პაპუა, **ხანდამაშვილი ჩინჩხურელი** პაპუა, რამაზა, ფარახანა, **ხანდამაშვილი-ყაზანფარაშვილი** იორამ, ყუგაზა,

დაუა, თამაზ, შიოშ, ჯანოა (იას. ლორთქ., ქვ. ქართლ., III, და IV, გვ. 485-486); „მთიულეთის 1804 წ. აჯანყების დროს ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს წარჩინებულმა თავადაშვილებმა: გენერალ-მაიორმა თ. ორბელიანმა, ზურაბ ორბელიანმა და თ. იოსებ მელიქიშვილმა. გენერალი ტალიზინი ქება-დიდებით იხსენიებს თ. თეიმურაზ მუხრან-ბატონს, ლუარსაბ სუმბათაშვილს, თ. იოსებ შემიზოვს და აზნაურს ყაფარ ხანდამაშვილს" (ალ. ფრონელი, მთიულეთი, 1804 წ. გვ. 129).

შდრ. **ხადაშვილი, ხადიშვილი.** მოგვიანებით რუსული-გაფორმებით **ხანდამოვი** (ფარცხისი).

**ხანიაშვილი 379**
*თბილისი 126*
*სიღნაღი 90*
*ყვარელი 59*

**ხანიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხანია** (ხევ., ს. მაკალ., 168); „ქ. თეიმურაზ იარალიშვილის ყმა სამაჩვეთს 1721 წ. **ხანიაშვილი**" (ვახუშტი, 67) (სამაჩვეთი). შდრ. **ხანიშვილი.**

**ხანსულთანაშვილი** (1721 წ.), შედგ. სახელია **ხან-ი** // თურქ. (ისტ.) მეფე, მთავარი, ზოგიერთი თურქი და მონღოლი ხალხისა (ქეგლ); სულთან-ი (სულთნისა) არაბ. მეფის ტიტული ზოგ მაჰმადიანურ ქვეყანაში. შდრ. **ამირბეგაშვილი, ხოჯაბეგაშვილი** და მისთ. (მარაბდა).

**ხარატიშვილი 1904**
*თბილისი 643*
*ქუთაისი 186*
*ხარაგაული 139*

**ხარატიშვილი//ხარატასშვილი** (1673 წ.) — **ხარატი** (არაბ.) ოსტატი. მოგვიანებით ხელობა-საქმიანობის სიტყვა ხარატი, რომელიც ჩარხზე ხისაგან ან ლითონისაგან ჩარხავს (ახარატებს) სხვადასხვა ნაკეთობას (ქეგლ), // ხარატი.

„ქ. მდივნის ოთარისა, 1721 წ. ქ. გვარეთს: ...ხარატიშვილი მელიქა" (ვახუშტი, 45); ელიზბარ ხარატასშვილი, ზურაბა ხარატასშვილი, შერმაზანა ხარატასშვილი, ნასყიდობის წიგნი ქალაქის მოურავის მანუჩარისა, დაწერილი 1673 წ. 1 იანვარს (საქ სიძვ. III, 3); „ქ. თომა კენჭაშვილის ყმა ქ. ზას 1721 წ. დემეტრა ხარატაშვილი" (ვახუშტი, 139).

**ხარაზიშვილი 341**
*გორი 102*
*საგარეჯო 68*
*გურჯაანი 57*
შდრ. **ხარაზი 467**

**ხარატი 136**
**ხარატიძე 82**
**ხარატოვი**, იგივე
**ხარატიშვილია 52**

შდრ. **ხარაზისშ-**

**ვილი, ხელოსნიშვილი, მენაბდე, მჭედლიშვილი, მებუკე** და მისთ. (გვარეთი, ზა).

ხაზარაძე 483
*ქუთაისი 192*
*თბილისი 113*
*წყალტუბო 58*

**ხაზარაძე** (1828 წ.), საკ. სახელადქცეული ეთნონიმი **ხაზარი**. „ხაზარნი"-იაფეტის შთამომავალნი (კ. კეკ. ეტიუდები, 179), **ხაზარა** (ს. მაკალ., ფშ., 148), **ხაზარნი** (ქართლ. ცხ., I, 12. 19. 65...); ამავე ძირისაა **ხაზარია** (ი. მაისურ., 224); „ზემო ენაგეთს მცხოვრებ დავით ხაზარაძეს 1828 წელს დაებადა ვაჟი, სახელი დაერქვა გიორგი. ნათლია იყო ამავე სოფელში მცხოვრები სვიმონ გიორგისშვილი" (489, აღწ. №6, 57, ფურ. 27) (ზემო ენაგეთი).

ხაზარბეგიშვილი (ხაზარბატონიშვილი) 33

ხარებაშვილი 1135
*თბილისი 335*
*ყვარელი 192*
*საგარეჯო 124*
შდრ. ხარებავა 2717
ხარებაძე 50

**ხარებაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხარება** (ქრონიკ., II, 16); **ხარება** (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 31). „ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ქ. მონასტერს, 1721 წ. **დათუნა ხარებაშვილი**" (ვახუშტი, 141)... შემაზა ხარებაშვილი (იქვე, 144); მერაბა ხარებაშვილი, სოფ. კუმისელი ნასყიდობის წიგნი ჰეჯუბაშვილის ხახუასი, სოფ. წარასყურიდან, 1728 წ. (სიძვ., I, 513); **ხარებაანი** (საქ. სიძვ., I, 347). „ხარება და გოგია", ქართული ხალხური სიმღერის გმირები.

შდრ. **ხარაბაძე, ხარბედია, ხარებავა** (მონასტერი).

ხარხელაური 285
*თბილისი 85*
*თიანეთი 52*
*მცხეთა 37*

**ხარხელაური** (1860 წ.), სავარ. მეტსახელი **ხარხელა**. შდრ. **ხარაბა** (გვარში ხარაბაძე), **ხარლამპი, ხარსილა, ხარჭამა** (ხარჭამაძე), **ხარშილა** (ხარშილაძე), გედიკია (იგივე ვეხნია) ხარხელაური 1860 წელს სოფ. ლასტისციხეში გადმოსულა საცხოვრებლად ტიფლისის ოლქის სოფ. მოხისიდან (დღევ. ქარელის რ.) (სცსსა, ფ. 254, №254, №3, 241, ფ. 593-596, 1873 წ.) (ლასტისციხე).

ხატიაშვილი 2601
*თბილისი 893*
*სიღნაღი 613*
*თელავი 322*

**ხატიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხატია** (დოკ., I, 141). **ხატია** თათანაშვილი, ციცი ციციშვი-

ლის აზნაურის ყმა (დოკ., I, 41); ხატია თეიმურაზ რამაზიშვილის ყმა (იქვე, 141); ბექუა ხატიასშვილი, 1736 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იესე სოლაღას-შვილის მიერ ქაიხოსრო ორბელისშვილისადმი (დოკ., I, 252); „აქვე მარაბდას ნიკოლაოზის ყმა თამაზა ხატიაშვილი და მისი ძმა სტეფანე, 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 169); „ქ. ქავთარაშვილის სულხანის ყმა ახალშენს 1721 წ. ხატიაშვილი ამოვარდნილი“ (ვახუშტი, 123, მარაბდა, ახალშენი).

**ხატუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხატუა**, მიტუანთ **ხატუა** (დოკ., I, 117); შდრ. **ხატა, ხატია, ხატინა, ხატისა, ხატოა, ხატულა, ხატურა.** „აქავ მარაბდას საამაშვილების ყმა ხატია ხატუაშვილი შეუძლებებლი, 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., 170).

ამავე ძირისაა: **ხატიაშვილი, ხატიძე, ხატოიძე, ხატელიშვილი, ხატისაშვილი.** შდრ. მეფისაშვილი, მამისაშვილი, ღვთისიაშვილი, უფლისაშვილი და მისთ. (ენაგეთი, მარაბდა).

ხაღულაშვილი 126
*თბილისი 73*
*გარდაბანი 35*

**ხაღულაშვილი** (1781 წ.), „ქ. ვაშლოვანს... 1781 წ. **მოსია ხაღულაშვილი**“ (ივ. ჯავახ. საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 166); 1873 წ. იქვე სოლომონ და ბაბულა ხაღულაშვილები (სცსსა, ფ. 254, 3, №112, საქმე №70, ფურც. 25-51) (ვაშლოვანი).

ხახანაშვილი 160
*თბილისი 75*
*გორი 12*
*ქუთაისი 9*

**ხახანაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხახანა. ხახანა** მონასელიძე, ქაჯანას ყმა (დოკ., I, 74); ხახანა ჯინჯიხაშვილი, მძოვრელი (იქვე, 254), ხახანაშვილი-1700-1719 წ. თუმანიანთ ყმების მამულების ნუსხა (დოკ., I, 112); „ქ. ფიტარეთს წინამძღვრისა, 1721 წ. ოქროპირ ხახანაშვილი“ (ვახუშტი, 171).

ამავე ძირისაა: **ხახანიკაშვილი, ხახაშვილი, ხახოშვილი, ხახოძე, ხახუა, ხახიაური** და მისთ. არიან ებრაელებიც (ფიტარეთი).

ხახაშვილი 80
*თბილისი 28*
*გორი 23*
*თიანეთი 19*

**ხახნიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხახანა (ხახნია)** (საქ. სიძვ., III, 356). ხ. კნინობითი ფორმაა: **ხახნია, ხახუ, ხახუა.** შდრ. მეტსახელი **ხოხნია** (იტყვიან კაცზე ვინც ბევრსა ჭამს). შდრ. საკ. სახ. **ხახა** (ალ. ღლ., 242). „ქ. ციციშვილი ბაადურიშვილის ზაალის ყმა ქ. დიდალეთს,

1721 წ...ბერია ხახნიაშვილი“ (ვახუშტი, 33).

ამავე ძირისაა: **ხახიძე, ხახიაშვილი, ხახიტაშვილი, ხახიკაური, ხახაშვილი, ხახანაშვილი, ხახალეიშვილი, ხახულარი** (დიდი დაღეთი).

**ხახაშვილი // ქავთარაშვილი** (1866 წ.), საკ. სახ. **ხახა,** ხევსურ., ხახმატი (ალ. ღლ., 242); **„ელიზბარ ხახაშვილი // ქავთარაშვილი** 7 წლის წინათ გოხნარაში გადმოსულა დუშეთის მაზრის სოფ. ვაშლობიდან. აღნიშნულია 1873 წ. აღწერის უწყისში (სცსსა, ფ. 254, №3, 113, 1873 წ. 87, ფ. 475-477).

იხ. **ქავთარაშვილი** (გოხნარა).

ხახუტაშვილი 576
*ყვარელი 159*
*თბილისი 107*
*თელავი 70*
შდრ. ხახუტაიშვილი 676

**ხახუტაშვილი** (1716 წ.), საკ. სახ. **ხახუტა** (ისტ. დოკ., I, 66), **ხახუტა** (დოკ., I, 40); **ხახუტაი** (საეკლ., საბ. I, 38); **ხახუტია** (კოლხ., 45, სენაკი, ალ. ღლ. 242); ხახუტა ადამია, ხახუტა შარიქაძე, ხახუტა, ხოხონა ჯიშკარიანის ძმა (დოკ., I, 438, 431, 40); **ზაქარია ხახუტაშვილი,** 1817 წ. განთავისუფლების წიგნი, მიცემული გოგია ბეგიაშვილის მიერ პეტრე წიფლაშვილისადმი (დოკ., II, 250); გიორგი, ოთარი, ქიტუა ხახუტასშვილები, ნასყიდობის წიგნი, 1716 წ. (საქ. სიძვ., I, 80); „ქ. არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. ავაზანს 1721 წ. გოგია ხახუტაშვილი, გიუა ხახუტაშვილი“ (**ვახუშტი,** 169); გოგია ხახუტაშვილი (იქვე, გვ. 332). ამავე ძირისაა: **ხახუტაიშვილი.** (ცხოვრობენ აჭარაში) **ხახუტაშვილები** ტბისში მოიხსენიებიან 1721 წ. (ტბისი, ავაზანი).

**ხეგეთაშვილი,** სავარ. მეტსახელი **ხეგეთა,** შდრ. **ხებალახა** (ხე), **ხეგვიმრა, ხევანი, ხევარდი, ხეკამა, ხეკეტი, ხეჭრელა** და მისთ. (თონეთი).

ხელაძე 3109
*ვანი 882*
*ქუთაისი 817*
*თბილისი 407*

**ხელაძე** (1882 წ.), საკ. სახ. **ხელა** (იერუსალ., 85); **ხელო** (თუშ., ს. მაკალ., 163).

პატარა თონეთში 1882 წელს მოიხსენიება ესტატე გარსევანის ძე ხელაძე, რომელსაც ცოლად შეურთავს ჩხიკვთელი ივანე ფილიპის ძე გაგელიძის ასული ელისაბედი. სასიძოს თავდებნი ყოფილან: ზაქარია იოსების ძე ადამაშვილი, იაგორ იოსების ძე შავშიშვილი, ისაკ მურადის ძე გოხაძე (პ. თონეთიდან), სასძლოს

თავდებნი: შიო ფილიპეს ძე გაგელიძე, ქრისტესია დავითის ძე ყრიალაშვილი, გლახა გიორგის ძე ყრიალაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1) (პატარა თონეთი).

**ᲮᲔᲚᲤᲔᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახ. **ხელფეხა,** შდრ. **ხელგრძელა** (ფშ., მაღაროსკარი), **ხელცაცია** (გ. ბოჭორ., კახ., 164, ალ. ღლ., 243).

შდრ. გვარები: **თავქალაშვილი, ცხვირაშვილი, წელღიაშვილი** და მისთ.

**გიორგი ხელფეხისშვილი, დარჩია ხელფეხისშვილი, თამაზა ხელფეხისშვილი, კაცია ხელფეხისშვილი,** მოიხსენიება სოფ. ტბისში ნასყიდობის წიგნში 1731 წ. (საქ. სიძვ., I, 87); „ქ. გოსტაშაბაშვილის ამილახორისა, 1721 წ. ქ. ტბისს:...ბოგანო ხელფეხისშვილი მოლაშქრე" (ვახუშტი, 53) (ტაგნაგეთი, ტბისი).

**ᲮᲔᲠᲒᲔᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ხერგე**. შდრ. მეტსახელი: **ჯორიბუა, ხვედა, ხვედელა, ჭურღულა,** ზგდი მნიშვნ. „ყურწაჭრილი ცხვარი" (ქეგლ).

„ქ. დურნუკს (1781 წ. საბატონიშვილო სამშვილდელი ივანე ხერგეშვილი, აქავ სამშვილდელი გოგია **ხერგეშვილი**" (ივ. ჯავახ., საქ. ისტ. ეკ. ძეგლ., I, 168).

**ხერგეში** (1721 წ.), საკ. სახ. **ხერგიან, ხერგიონ** (ალ. ღლ., 243); **ხეურგო** (პ. ინგორ., სვან., 2, 17).

შდრ. **ხერგი**. 1. ადიდებული წყლის მოტანილი ხეები (ზოგჯერ ყინული, ქვები და სხვ.). 2. ერთ ადგილზე მოგროვილი წაქცეული ხეები (ტყეში). // გადახირული ხეები გზის შესაკვრელად (ქეგლ, 579); „ქ. ხოსროხანიშვილისა კწანის 1721 წ. ვარდის **ხერგეში,** დათუნა **ხერგეში,** ჩიტა **ხერგეში**" (ვახუშტი, 23) (კრწანისი).

| | |
|---|---|
| ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲔ | 190 |
| *თბილისი* | *121* |
| *გორი* | *15* |
| *მცხეთა* | *4* |

**ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲔ//ᲮᲝᲡᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ//ᲮᲝᲡᲠᲝᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1312 წ.), შდრ. **ხერხიანი,** მარჯვე, ყოჩაღი, მოხერხებული. ხერხიანად გააკეთა საქმე (ქეგლ). საკ. სახ. **ხოსანა** (საქ. სიძვ., II, 450); ხოსროხანი, იგივე ქაიხოსრო, ვახტანგ VI-ის ძმა, იხსენიება 1712 წლის სიგელში (საქ. სიძვ., III, 518); 1312 წ. ცაიშის საყდარში (სამეგრელოში) დაცულია ძვირფასი განძი ჩვენი ძველი ხელსაქმის ხელოვნებისა, ოქროს ძაფებით ნაკერი სამღვდელთმთავრო ოლარი (იმ დროს მღვდელთმთავრები ოლარით იმოსე-

ბოდნენ), რომელზედაც შესრულებულ ასომთავრულ წარწერაზე ვკითხულობთ: „ანჩის ხატს და საყდარსა მისსა მოვახსენე და შევსწირე წა ესე ოლარი და დაუდევ ანჩელსა ებისკოპოსზა მე თამარ ერგემლის ძისაჲ ასულმან სალოცავად სულისა ჩემისაჲთვის და რაოდდენიცა ებისკოპოზნი იხმარებდეთ, ლოცვასა მომიხსენებდეთ (ქრონიკ., II, 175); 1464 წლის შუახანებში დაწერილ მცხეთის გუჯარში აზნაურებად მოიხსენიებიან **ალნია, გოგაი (გოგი) და ჯავშან ხერხეულიძეები**. გუჯარში სწერია: „... მე...მეფეთა მეფემან გი (გიორგი) და საყუარელმან ძემმან ჩემმან ალექსანდრე შემოგწირეთ. კახეთს ახალშენთა ხერხაულისძეთა ჯავშანისი და გოგაის სახლი და მამული და ესე ორნი კუამლნი ძმანი აზნაურნი ჯავშანა და მისი ძმა ალნია და გოგი შემოგვიწირავს... მათითა... მამულითა... წყლითა... (ქრონიკ., II, 284); ნავროზ ხერხეულიძე მოიხსენიება მღვდელი ლიაძის მიერ 1566 წელს ურბნისის ტაძრიდან ჩამოტანის ტყავის სიგელში... სიგელს ხელმოწერით ადასტურებს მეფის კარის მწიგნობარი ნავროზ ხერხეულიძე (ქრონიკ., II, 108).

**ხერხეულიძეები** ალათანგი, შვილები პაატა, ნასყიდა, ძმა ბექან 1622 წ. უბოძებენ ქუბასშვილებს გაპარული იმერლების დაჭერისათვის ჯილდოდ სალორისის ოთხის დღის მიწას (სალორისი მდებარეობდა ალგეთში, ასურეთის ხევის სადინთან, დიდებას ჩრდ. კოჯრის (სამხრ. დასავ. იხსენიება 1622 წ. მებატონე ხერხეულიძე 1655-1697 წწ. (საქ სიძ., II, 377, 391); 1721 წელს სოფელ დიდებას მებატონედ მოიხსენიება რევაზ ხერხეულიძე, რომლის ყმა-გლეხები ყოფილან ალელიშვილები (ვახუშტი, 139).

**ხერხეულიძეები**-მათი ყმების საერთო ჯამი 1721 წ. აღწ. შეადგენდა 4 გამომღები და 2 ამოვარდნილი ყმა. „...ყველა ხერხეულიძეების (რევაზი ხოსროხანიშვილი) ყმების საერთო ჯამი გამოთვლილია: 5 გამომღები, ნამდვილად კი არის: 4 გამომღები და 2 ამოვარდნილი ყმა (**იას. ლორთქ.**, ქვ. ქართლ., წ. I და II, 186); დამოუკიდებელ უყმო აზნაურებშია ჩათვლილი **ხერხეულიძე-ხოსროხანიშვილი**, ე. ი. შვილი ხოსრო ხოსროხანისა, სამეფო გვარეულების შუა მოხსენიებულია ხოსროხანი, იგივე ქაიხოსრო, ძმა ვახტანგ VI-სა, იხს. 1721 წ. სიგელში (საქ. სიძვ., III, 518); გოგებაშვილის თქმით, ხერხეულიძეები ზემო ქართლიდან გამოსახლებული მარაბდელები იყვნენ. **თ. ჟორდანიას** აზრით, ხერხეულიძეები მესხები იყვნენ. გ.

ლეონიძის შეხედულებით, ვინაიდან 1622 წლის სიგელში იხსენიებიან: „ხერხეულიძე ბატონი ალათანგი, მისი ძმა ბეჟანი, ალათანგის შვილები: პაატა, ნასყიდა, ესენი კიკეთის მებატონეები არიან... მაშასადამე, ცხრა ძმანი ხერხეულიძენი კიკეთიდან ყოფილან და თავის მამულის სიახლოვეს უბრძოლიათ მარაბდაში". ...ეყრდნობიან რა არჩილის ცნობას, რომ ალათანგი მარაბდის ომში ყორნისელთა ლაშქარს მეთაურობდა, მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ იგი მდინარე ფრონის ხეობის სოფელ ყორნისიდან იყო და ზემო ქართლის სადროშოს სარდლობდა, ხოლო აქ ხერხეულიძენი შესაძლოა გადმოსახლდნენ თავიანთი პირველსაცხოვრისიდან მესხეთის მომხდურთა მოძალების გამო, ამასთან ნაბოძები ყმა და მამული გააჩნდათ კიკეთის მიდამოებშიცო... (ხელოვნება, 1978 წ. №11, გვ. 99): ისტორიკოსი ვახუშტი „საქართველოს ისტორიის" შესავალში „აწინდელთა მთავართა გვართათვის" ხერხეულიძეების „აწინდელ" ქართლის მთავართა შორის ასახელებს. მისი თქმით, **ხერხეულიძე ზემო ქართლის მთავარია, მაგრამ წარმოშობით მესხეთიდანაა, უწინ ცხოვრობდა სამცხეში და „არს მოსვლა მისი შემდგომად გაყრისა"** (**ვახუშტი**, საქართველოს ისტორია, ნაწ. I. ტფ. 1885, გვ. 19); 1724 წელს პეტერბურგში მეფე ვახტანგს აჯილდოებენ წმიდა ანდრიას ორდენით. ვახტანგის ამალაში სხვა თანამხლებ გამოჩენილ თავადებთან და ახლობლებთან ერთად იყვნენ თავადი ხერხეულიძეები (П. Б. Буткова, материалы для новой истории кавказа с 1722 по 1803 годы, часть первая, Санктпетербург, 1869, გვ. 65); მეფე ერეკლე 1783 წლის 18 ივნისს რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ ქართველ და კახელ თავადთა შორის მოიხსენიებს ხერხეულიძეთა ერთ გვარს; გარეთუბანში მცხოვრებმა თ. ომან ხერხეულიძის შვილმა დავითმა 1826 წ. იქორწინა აზნაურის ონანა ყორღანოვის ქალ ელისაბედზე და გვირგვინი უკურთხა ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიის დეკანოზმა პეტრე არდაზიანოვმა. თავდებნი ყოფილან აზნაურები ფარსადან ხეროდინაშვილი, იობი საგინაშვილი (489, №6, 31, ფურ. 62).

**ხეჩატურაშვილი** (1721 წ.,), საკ. სახ. **ხეჩატურა** (ქრონიკ., II, 368).

„ქ. გოსტაშაბაშვილის ამილღანბარისა, 1721 წ. ქ. ანდრიას **ხეჩატურაშვილი**" (ვახუშტი, 56).

| | |
|---|---|
| ხეჩიკაშვილი | 259 |
| კასპი | 162 |
| თბილისი | 78 |
| გორი | 18 |

**ხეჩიკაშვილი** (1666 წ.), საკ. სახ. **ხეჩა** (საამილახვრ. დავთ., 23), **ხეჩატურა** (ქრონიკ., II, 368), **ხეჩია** (ფშ., ს. მაკალ., 148), **ხეჩიკა** (დოკ., II, 11), **ხეჩუკა** (საქ. სიძვ., III, 185); **ხეჩიკაშვილი** მამასახლისი ზასელა, 1666 წ. ნასყიდობის წიგნი (საქ. სიძვ., II, 132); ხეჩიკაშვილი ერაპეტა (საქ. სიძვ. I, 361). ამავე ძირისაა: **ხეჩიაშვილი, ხეჩინაშვილი, ხეჩუაშვილი.** მოიხსენიებიან 1721 წ. (ღორისთავი, წინწყარო.); შდრ. ზმნა **ხეჩა, ხეჩვა, დახეჩვა.**

| | |
|---|---|
| ხეჩუაშვილი | 335 |
| თბილისი | 203 |
| კასპი | 48 |
| ბოლნისი | 40 |

**ხეჩუაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხეჩუა** (...ქ. ვარდისუბანს ბოგანო ფარემუზა, ამისი ძმა **ხეჩუა** (ვახუშტი, 177); ასლანა **ხეჩუაშვილი** (საქ. სიძვ., I, 303). მამაჯანა ხეჩიკაშვილი (ვახუშტი, 103) (წინწყარო, არდისუბანი). ყველა ზემოთ მოხმობილი **ხეჩ ძირით გაწყობილი გვარი ქართულია და მათი მატარებლები ქართველები არიან (ი.ა.).**

**ხვედელიანი, ხვედა,** მეტსახელი, ქსნის ხეობა, ლარგვისი; ხიზაბავრა, ასპინძის რ. (ალ. ღლ., 243); **ხვედაი** (თუშ., ს. მაკალ., 163); **ხვედელა,** მეტსახელი. კარალეთი, გორის რ. (ალ. ღლ., 243); შდრ. **ხვედელიძე,** საკ. სახ. **ხვედელი;** შდრ., მეტსახ. **ხვედა, ხვედელა** (ალ. ღლ., სახელ); **გადმოცემით ძველი გვარი ჯაფარიძე ყოფილა** (ინფორმატორი გიზო ხვედელიძე, 1979, ი. მაისურ., 229).

**ხვედელიანები** ასურეთში ამბროლაურის რ-ნის სოფ. იწადან გადმოვიდნენ 1941 წელს. ცხოვრობენ იწასა და სხიერში.

**ხიდაშელი // ხიდეშელი // ხიდიშელი** (XV ს.), გვარადქცეული სადაურობის სიტყვა **ხიდეში, ხიდაშლები** სოფელია ონის რაიონში.

,,ონის აღმოსავლეთით, 5 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ნაკიეთის ჩრდილოეთით, სავენახე ადგილს ერქვა და ახლაც ჰქვია **ხიდეში**. ამ ადგილზე მე-15 საუკუნეში მოსულა ვინმე მაღალი წოდების კაცი **ნანიბი,** დასახლებულა და ამ ადგილის მფლობელი გამხდარა (მაშინ აქ სოფელი არ ყოფილა). ნანიბს ცხრა ვაჟი ჰყოლია. მალე ეკონომიკურადაც გაძლიერებულა და სახელი გაუთქვამს. თუ საიდან მოვიდა ეს კაცი, ამის შესახებ ორგვარი გადმოცემაა: ერთის მიხედვით, **ნანიბი სვანეთიდან გადმოსულა,** მეორე გამოცემით — **ბაქსანის**

**ხეობიდან**. თუ რა გვარისა იყო იგი, ამის შესახებ ცნობები არ არსებობს.

**ნანიბსა** და **უწერელ გამყრელიძეებს** შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. მუდმივ თავდასხმებს მორიდებია ნანიბი, ხიდეში დაუტოვებია და საცხოვრებლად ზევით ძეგლევში წასულა. იქ ასვლისთანავე ციხე ააგო და გვარად **„ხიდეშელი“** მიიღო (ძველი ადგილის „ხიდეშის“ მიხედვით „ელ“ სუფიქსის დართვით). სადაც ნანიბი დასახლდა, ადგილს **ხიდეშელთქედი** დაარქვეს.

ისტორიულ ვითარებათა გამო ერთი კომლი ხიდეშელი იმერეთში (სვირში) წასულა საცხოვრებლად, სადაც გვარის სახელწოდებამ მცირე ტრანსფორმაცია განიცადა: **„ხიდიშელი“ „ხიდაშელად“** იქცა. ამან ზოგი შეცდომაში შეიყვანა: „ხიდაშელი“ „ხიდამშენიდან“ არის მიღებულიო, მაგრამ ეს არაა სწორი...

ამჟამად ხიდეშლები არიან: საკაურის ხეობაში სოფ. ხიდეშლები 80 კომლამდე, ცხინვალში-30 კომლი, წესში-6 კომლამდე, სვირში-50 კომლი, ხაშურში-8 კომლი, ლაგოდეხში-10 კომლი, ცხოვრობენ აგრეთვე თბილისსა და ასურეთში. ხიდეშელები გვარის მოყვარული ხალხია. ამას მოწმობს ამ გვარის წარმომადგენელთა გენეალოგია, შედგენილი და გამრავლებული **შალვა** და **ნოდარ (შალვა) ქიშვარდის ძე ხიდეშელების** მიერ. უყვართ შრომა. ქალები კარგ მეოჯახეებად არიან ცნობილი. მათზე ლექსიც კი შეუქმნიათ: **„ჰარი ჰარულიო, თარი თარულიო, ვაშლი თურაშაულიო, ქალი ხიდეშელაურიო“** (გაზ. „განთიადი“, 1983 წ. 21 ივნისი, ხიდეშელთა ნაკვალევზე, კონსტანტინე ხიდეშელი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი).

„იშვიათი ეთიკის მონადირედ“, „სოფლის მეთოფედ“ იყო ცნობილი **ილიკო ხიდეშელი**. მას სოფლის ნახირის მხეცებისაგან დაცვა მონადირის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა“ (საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის ბეულეტენი, აგვისტო, №3, 1962 წ. გვ. 8).

ასურეთში გადმოვიდნენ ქლუხორის სოფ. ხიდაშლებიდან 1957 წელს. (ასურეთი).

**ხიზანიშვილი//ხიზანაშვილი** (1723 წ.), საკ. სახელად ქცეული სიტყვა **ხიზანი**, ლტოლვილი (ნ. შეეხიზნა, ხიზვნა). ხიზვნა მტერთა და სენთა დარიდება (საბა). ხ. (ზგდი. მნიშვ.) დროებით სხვას შეკედლებული პირი; მემამულის მიწაზე მოსახლე თავისუფალი გლეხი,

რომელიც გადასახადს ყმის თანაბრად იხდიდა; ოჯახის წევრები (ძეგლ). ნ.ხიზან-ი, მთიულ. ფასანაური; **ხიზანა** (დოკ., II, 5). **ხიზანა** ხოსრუაშვილი, 1669 წ. აპრილის 1-ს ყმის ნასყიდობის წიგნი (დოკ., I, 46). ხიზანა ვახტანგაშვილი, 1678 წ. ოქტომბრის დამლევი (იქვე, 58); ხიზანა მონასელიძე, 1684 წ. თებერვლის 1-ს (იქვე, 75); მარაბდას: „აქვე ამასთანავე ხიზანი ზურაბიშვილის ყმა თევდორე,-ამასთანავე ხიზანი საака, აქავ ხიზანი როსტომ საგინაშვილის ყმა ელიაშვილი გოგია, აქავ ხიზანი თურქისტანიშვილის იოსების ყმა უკან-გორელი ბაირალაშვილი ნიკოლოზ და ა. შ. (**ივ. ჯავახ.**, სიძვ., I, 169-171); **ხიზანასშვილი ოთარა** მოიხსენებ. 1723 წ. მაისის 20-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი. „...მას ჟამს როდეს(ა)ც დამეჭირდა, მოგყიდე ჩემი ალალი ნასყიდი ლამის მიწა ტანისხიდს ოთელანთაგან მოსყიდული, თავი გარდიგარდმო ხიზანასშვილის მიწის მიდგმამდე“ (დოკ., II, 23); ბერი, ღვთისავარ, ხიზანა ხიზანას-შვილები, 1785 წ. ოქტომბრის 26-ს. სითარხნის წიგნი, მიცემული კონსტანტინე მუხრან-ბატონ სახლთუხუცესის მიერ ხიზანა ხიზანიშვილისადმი (საქ. მუზ. ფ. №2601); „ქ. მარაბდას ქავთარიშვილის იოთამის ყმა 1781 წ. გოგია ხიზანიშვილი“ (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ); ავთანდილ, ალალუა, იოანე, დავით, იოსებ ხიზანიშვილები, 1800 წ. თებერვლის 23-ს თავხსნილობის წიგნი ავთანდილ ხიზანიშვილის მიერ ნინია და კიკოლა ბერუასშვილებისადმი მიცემული დედანი (დოკ., II, 203); „ქ. ზაზუნაშვილის გიორგისა ქ. ერწოს: ხიზანიშვილი, 1721 წ.“ (ვახუშტი, 126); „აქავ მარაბდას ნიკოლოზ ქავთარიშვილის ყმა გოგია ხიზანიშვილი, 1781 წ.“ (ივ. ჯავახ., იხ. საქ. ეკ. ისტ., ძეგლ. I, 169) (ერწო, მარაბდა).

**ხითარაშვილი** (1721 წ.), მეტსახელი **ხითარა (ერქვა სოფ. მუხათში იაგორა ახუაშვილს)**. „ქ. მარტაშენს ქაიხოსრო ჩაჩიკაშვილის ყმები, 1721 წ. ზალუა ხითარაშვილი, ამისივ: მამაჯანა ხითარაშვილი, ბუჭუა ხითარაშვილი“ (ვახუშტი, 160); „ქ. დონდარაშვილის ზურაბისა ქ. აწუფის, 1721 წ.ბაინდურა ხითარიშვილი“ (ვახუშტი, 155) (მირტაშენი, აწუფი).

| | |
|---|---|
| ხიმშიაშვილი | 1714 |
| *შუახევი* | *627* |
| *თბილისი* | *185* |
| *ბათუმი* | *176* |

**ხიმშიაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ხიმშია** (საქ. სიძვ., II, 62). **ხიმშია** ამილახვარი (იხ. მცხეთის გუჯარი №106, 1405; ქრონიკ., II, 214); „აჭარაში და განსაკუთრებით მის ზემო ნაწილში გავლენიანი იყო და მთელი მხარის ბატონად

და პატრონად ითვლებოდა **ხიმშიაშვილის** გვარი. ეს გვარი, როგორც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, მონათესავეა არაგვის პირის (დუშეთის მაზრა) **ხიმშიაშვილებისა**. მათს წინაპარს XVII საუკუნეში კაცი შემოჰკვდომია არაგვის ხეობაში, მეფის რისხვას გაჰქცევია და აჭარაში შეხიზნულა" (**თ. სახოკია,** მოგზ., 144; **ილ. მაისურ**; 230); ზემო აჭარული დიალექტოლოგია ამბობს: „**ხემშიაშვილების** ძველები კახეთიდან მოსული ყოფილან. დამოსახლებულან სოფელ ნიგაზეულში. ისინი ძალუან ფუხრათ ცხოვრობდნენ თურმინ. ბოლოხან იმფრათ დალარიბებულან თურმის, ომ მეტანდნენ შვიდი დღის ჭათ, გაახვევდნენ ჩვრეში და ყანი მუშაობი დროს ხეზე ჩამოჰკიდებდნენ, მუშაობის დანთავრებიხან მივდოდა კაცი და ხეზე მიაკაკუნებდა: **ხევ, მშიავო!** ხე, რასაკვირველია, ჭათ რაფერ მიცემდა?! თვითონ ჭათ არ ჩამეილენ და, რომ არ დეილიოსო.

გეგონეს ეს მეზობლებმა და **ამ კაც „ხემშია"** დაარქვეს, მის **შვილეფ კი-ხემშიაშვილები"** (ქართული დიალექტ. I, 400).

„**თავად ხიმშიაშვილთა** წინაპარნი ძველადვე არიან თავადნი აჭარისანი და ოდეს დაიპყრეს თურქთა ახალციხე და მიიღეს მუნ მრავალთა მაჰმადის ჰსჯული ამათნი გვარნი რაოდენნიმე აიყარნენ მუნიდგან და მოვიდნენ კახეთს დროსა დიდისა ლეონ მეფისა წელსა 1605-სა და დაეშენნენ საგურამოს თავს ძაგნაკორასა ადგილსა და არიან მუნ ქამიდგან თავადნი რაოდენივე სახლად განყოფილნ და სხვანი არიან აჭარას და ახალციხეს ბეგებად წოდებულნი ხიმშიაშვილები" (საანდაზო ლექსები... 42)1;

**ხიმშიაშვილი ავთანდილა** (საქ. სიძვ., I, 346); **ხიმშიასძე**-წერილი სელიმ-ლა ყოფიანისა მიშკარბაშ იოსებთან, 1803 წ. (საქ. სიძძვ., III, 99); ბერუკა, თაჭაზ დავით, რამაზ, სულხან, ლონენა, შერმაზინ ხიმშიაშვილები-გახაჩენი ხიმშიაშვილის სულხანის და მისი სახლის კაცების დავის გამო, 1788 წ. (საქ. სიძვ., III, 200-201); „ქ. ზურაბიშვილის ბეჟანისა ქ. ლიყურეთს 1721 წ. ოქროა ხიმშიაშვილი" (ვახუშტი, 61).

შდრ. **ხამშიაშვილი** (ზირბითი, ლიყურეთი).

| | |
|---|---|
| ხმალაძე | 2522 |
| *თბილისი* | *814* |
| *სიღნაღი* | *146* |
| *ასპინძა* | *136* |

**ხმალაძე//გიორგისშვილი** (1818 წ.), გადმოცემით ხელობა-მოსაქმეობის მიხედვით შერქმეული გვარია (ხმლების მკეთებელ-მწრთობელი) (**ილ. მაისურ.**, 231). ქუთაისელ ხმალაძეთა შესახებ იხ. მ. კობერიძის სტატია „21 შვილი ჰყავდა:" (სოფ.

ცხ., 12.IX, 1972, 3); საკ. სახ. **ხმალა** (დავთ. II, 390); **ხმალა** გვარში: **ხმალაძე** (ალ. ღლ., 244); ერტისელი იოსებ ხმალაძე 1818 წელს ნათლავს შვილს თამარს. მიმქმელი იყო შარმაზან ირემაშვილი (სცსსა, 489, 6, 1 ბ, №24, ფურ. 145); ამავე სოფლელმა, **იმერელმა ხმალაძემ, იგივე იოსებ გიორგისშვილმა,** 1818 წ. იქორწინა ერტისში დროებით მცხოვრებ ბორბალოელ იმედა პეტრიაშვილის ასულ მარიამზე. ჯვარი დასწერა მღვდელმა პავლე გიორგიშვილმა (სცსსა, ფ. 489, 6, 1 ბ, 1818 წ.) სოსია ხმალაძე, მეუღლე მარიამი, ვაჟი გიორგი, ქალიშვილი თამარი, თინათინი, დისშვილი ელენე მოიხსენიებიან 1823 წ. აღწ. სოფ. ერტისში სცსსა, ფ. 254, 802, ფურც. 93-98); „გიორგი ხმალაძე, მოიხსენიება 1858 წ. აღწერაში" (სცსსა, ფ.. 254, №1, 2043, ფურც. 269-270) (ბორბალო, ერტისი).

| |
|---|
| ხომასურიძე 1476 |
| *თბილისი 514* |
| *გორი 155* |
| *საჩხერე 148* |

**ხომასურიძე** (1818 წ.). 1818 წელს ფარცხისში ნიკოლოზ პეტრეს ძე ადოლაშვილის მეჯვარედ მოიხსენიება ამავე სოფლელი **შიო დავითის ძე ხომასურიძე** (სცსსა, ფ. 489, აღწ 9, თ/წ. №1); ფარცხისელი **ივანე მიხეილის ძე ხომასურიძე** ნათლავს ქალიშვილს მარიამს. მიმქმელი ყოფილა თბილისში მცხოვრები **გიორგი გრიგოლის ძე ბაიდარაშვილი** (სცსსა, ფ. 489 აღწ. 9, თეთრი წყარო, 1, 1818 წ.) (ფარცხისი).

**ხოსიკაშვილი//ხოციკაშვილი** (1453 წ.), საკ. სახ. **ხოსიკ** (ისტ. დოკ., I, 84); **ხოსიკ-ი** (თუშ., ს. მაკალ., 163; **ხოსიკა** (დოკ., I, 431).

შდრ. საკ. სახ. **ხოსრო** (ხვასრო). **ხოსრო** (სპ.)-"სახელგანთქმული", „დიდებული" (შდრ. ქაიხოსრო (ირან.) ეს სახელი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი აღნიშნავს „პრინცს", „თავადს", მეორე-"სახელგანთქმულს, ცნობილს, დიდებულს"); ხოსიკაშვილი მოიხსენიება 1453 წ.(ქრონ., II, 269); ხოციკაშვილი სპირიდონი, მოიხსენიება პატარა თონეთს 1843 წ. (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურც. 323-329); ამავე ძირისაა: **ხოსროშვილი, ხოსრიაშვილი, ხოსიაშვილი, ხოსიკურიძე** (ზ. ჭუმბ., 167; ილ. მაისურ., 233) (გოლთეთი, პ/თონეთი).

**ხოსიტაშვილი//ჯიმშიტაშვილი** (1674 წ.), საკ. სახ. **ხოსიტა,** – ხოსიტა, დათუნა მეკონდახეს ძმა, 1669 წ. მაისის 17-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბასილ კობაძის მიერ მეკონდახე დათუნასადმი (დოკ., I, 46); ხოსიტა ელიოზის ძე გედევანის შვილი (იქვე, 6,

28); დემეტრა და ებიტა ხოსიტაშვილი, 1674 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მაზიტა და სხვა უგუნურიშვილების მიერ კ-ზის სასახლისუხუცეს ღალაძისადმი). (დოკ., , 50); ალექსანდრე ხოსიტაშვილი 1870-იან წლებში მოიხსენიება, როგორც ღვევის ხეობაში წერა-კითხვის მცოდნე, ნდობით აღჭურვილი პირი, ,,ამორჩეული'' (სოფლის რჩეული); **ხოსიტაშვილების მეორე გვარია ჯიმშიტაშვილი.** მათი გვარებია ასევე **ნავროზაშვილი,** ციხელაშვილი... იხ. ყმების ნასყიდობის წიგნი, 1678 წ. მიცემული ესტატე ხოსიტაშვილის მიერ თავის განაყოფ ზურაბ, სულხან და ყალანდარ ჯიმშიტაშვილებისადმი (საქ. მუზ., №125 დ; დოკ., I, 57); ,,ქ. იოთამიშვილის ორბელისა და გივის ყმა ქ. კრეფას, 1721 წ. როსტომა ხოსიტაშვილი'' (ვახუშტი, 128); ,,ქ. იარალიშვილის ვახტანგისა ლიყურეთს 1721 წ. ხოსიტა ხოსიტაშვილი'' (იქვე, 66). (კრეფა, ლიყურეთი, იარაბდა, ღვევი).

**ხოსონაშვილი//ხერხეულიძე** (1721 წ.), საკ. სახ. **ხოსონა** (საქ. სიძვ., II, 450); **ხოსონაშვილი//ხერხეულიძეთა** დამატებითი, მეორეული გვარია. **ხერხეულიძე-ხოსონაშვილი,** როგორც მებატონე, მოიხსენიება 1721 წ. აღწ. სოფ. დიდებას (**იას. ლორთქ.,** ქვ. ქართლი., ნაწ. III და IV,30); შდრ. ხერხეულიძე-ხოსონაშვილი (დიდება).

| | |
|---|---|
| ხოსროშვილი | 531 |
| *თბილისი* | *174* |
| *დუშეთი* | *84* |
| *რუსთავი* | *60* |

**ხოსროშვილი** (1817 წ.), **ხოსრო** (სპ). ,,სახელ-განთქმული'', ,,დიდებული'' (შდრ. ქაიხოსრო); საკ. სახ. **ხოსრო** (ხვასრო); მისი კნინობითი ფორმებია: **ხოსია, ხოსიტა, ხოსროა, ხოსროვ, ხოსროვა, ხოსროველა, ხოსრუა, ხოსუა.**

ხოსრო ალიბეგა, ხოსრო ბატონი, ხოსრო მეფე, ხოსროვი დოლმაზაშვილი (საქ. სიძვ., II 50, 264, 375, 437); ხოსრო ენისელთ ნაცვალი (დოკ., I, 367) ხოსრო ლევან მეფის ძე, პატრონი (იქვე, 367); ხოსრო შანშიაშვილი (იქვე, 76); **ეგნატე ხოსროშვილი** 1818 წელს ნათლავს პეტრეს ქალიშვილს ქეთევანს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 6, I ბ); ამავე ძირისაა: **ხოსიაშვილი, ხოსიეიშვილი, ხოსრიაშვილი, ხოსროაშვილი, ხოსრუაშვილი.** (კოდა).

**ხოსროხანაშვილი//ხოსროხანიშვილი** (1721 წ.), რთული შედგენილი გვარია. საკ. სახ. **ხოსრო** (ხვასრო), პლუს ხანა. სავარ. **ხანი**-თურქთა ენით მებატონე, გინა ერისთავი არს (საბა, 452); **ხოსროხანაშვილი** მოიხსენიება, როგორც მებატონე, რომელსაც ყმები ჰყავდა კწანისის სამშვილდესა და სამშვილდეს (ვახუშტი, 13, 23; იას. ლორთქ.,

ქვ. ქართლ., ნაწ. III და IV, 233) (კრწანისი (სამშვილდისა), სამშვილდე).

**ხოშნადარაშვილი** (1721 წ.), რთული შედგ. საკ. სახელი **ხოშია** (სახ. არქ., 489, ალ. ღლ., 245). **ნადირა** (სტუდ. კოლექცია, ალ. ღლ., 168).

შდრ. **მდივანბეგიშვილი, ყულიჭამასშვილი, ბეგიშვილი, ალაჯანასშვილი, ალამურასშვილი, ახიჯანაშვილი, ყარაბუდაღისშვილი** და სხვ. (თაფანი).

| | |
|---|---|
| **ხოჯაშვილი** | 110 |
| *თბილისი* | *55* |
| *თიანეთი* | *18* |
| *ქუთაისი* | *14* |
| **ხოჯავა** | 505 |

**ხოჯაშვილი//ხოჯივანიშვილი//ხოჯევანიშვილი//ხოჯვანიშვილი** (1721 წ.), **ხოჯა** სხუათა ენაა, ყუერულს ჰქვან და დიდვაჭარსაც (საბა); **ხოჯა** (სპ.), (ძვ). საპატიო პირი, წარჩინებული, თავი კაცი (სპარსეთის შაჰის კარზე) (ქეგლ); **ხოჯა**-მასწავლებელი, დამრიგებელი, სასულიერო პირი, მოლა; **ხოჯა**-მეგრ. **ხოჯი**-ხარი; საკ. სახ. **ხოჯი** (ალ. ღლ., 245).

სიტყვა **ვანი,** ძველ ქართულში ნიშნავდა **ბინას, სახლ-კარს, სადგომს.** დავანება ნიშნავდა დაბინავებას, ხოლო სავანე უნდა რქმეოდა დასასვენებელ ადგილს, სასტუმროს, დიდ საქარავნო გზებზე ღამის გასათევ ქარვასლას ან სადგურს (**ზ. ჭუმბურ.,** 445); შდრ. (სომხ.) ხოჯევანქი (ხოჯის მონასტერი).

გადმოცემით **ხოჯივანიშვილის** საგვარეულოს წინაპარი სახელად **იოვანე** მასწავლებელი ყოფილა. მესხეთში თურქთა ბატონობის დროს ხოჯას (იოვანეს) ეძახდნენ, რაც გვარის წარმოშობას დაედო საფუძვლად, **ხოჯვანიშვილი // ხოჯევანიშვილი. ხოჯაშვილი გიორგი, ხოჯაშვილი მოსესა,** შვილის გაყიდვის წერილი, შედგენილი 1757 წლის 22 იანვარს (საქ. სიძვ., III, 426); **ავთანდილ ხოჯაშვილი და სულხან ხოჯაშვილი იყვნენ მებატონეები,** რომლებსაც ჰყავდათ ყმები: ლიპს, ავაზანს; ბერუა, ბოგანო ავთანდილა, ავაზანს სარქისა" (ვახუშტი, 13, 88); „მაწევანის უყმო აზნაურის გვარი 1721 წ. ხოჯაშვილია" (იხ. ლორთქ., ქვ. ქართლ., ნაწ. I და II, 179).

შდრ. **ხოჯავა, ხოჯასშვილი, ხოჯელანი, ხოჯიშვილი, ხოჯუაშვილი, // ხარაძე, ხარაიშვილი // სავანელი** (ლიპი, მოხისი, ჯიგრაშენი).

| | |
|---|---|
| **ხრიკული** | 281 |
| *თბილისი* | *103* |
| *ახალგორი* | *89* |
| *კასპი* | *64* |

**ხრიკული** (1881 წ.), საკ. სახ. **ხრიკულა,** გვარში: **ხრიკულაშვილი** (ალ. ღლ., 245); 1871 წელს სოფ. გოლთეთში მოიხსენიება ზურაბ იოსების ძე

ხრიკული (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ. წ. 1, 1871 წ.); გოლთეთელი ვასილ ზურაბის ძე ხრიკული ყოფილა საღირაშენში მცხოვრებ ალექსანდრე კეკელიშვილის შვილის ნათლია (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თეთრი წყარო 1, 1881 წ.) (გოლთეთი). შდრ.: **ხრიკულ ხრიკული** (პირველი სახელია მეორე კი გვარი).

**ხუბიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხუბაკა** (ალ. ღლ., 246); ხუბულა (**ხუბა+ბლსრთი-ულ-ა**) (ი. მაისურ., 234); „ქ. ნამანგლელევიშვილის როსტომისა და გუგუნას ყმა 1721 წ. ქ. საღირაშენს იშხანა ხუბიაშვილი" (ვახუშტი, 120) (საღირაშენი). შდრ.: **ხუბუა** (1166 სული), **ხუბულავა** (937), **ხუბულაშვილი** (159), **ხუბულია** (244).

**ხუდავერდაშვილი // პერლახაშვილი // ფერშანაშვილი // ფერიხანაშვილი** (1817 წ.), **ხუდავერდა** (თურქ.)-ღვთის ბოძებული, ღვთის მიერ მოცემული. როცა ოჯახს ბავშვი არ რჩებოდა ხუდავერდას არქმევდნენ. ხუდავერდას სინონიმებია: **ბაკურ** (ირან.) „ღვთის შვილი", „ძე ღმერთისა" // **ბაკურაძე ახვერდ-ა**, ღმერთის ბოძებული, **ალავერდი** (თურქ.) ალაჰ-ღმერთი, ვერდი-მიცემა, მოგცემს, შდრ. ბოგდან, ბაღდადი, ხოდედან (სპარს.) ღვთის ბოძებული, დურხუნი (თურქ.)- „დაე იყოს". ჰერიქნას (სომხ.) იყოს, დარჩეს, ესეც ადამიანია, შდრ. მნაცაკანიანი, მნაცაკანოვი, ასტვაცატუროვი (ღვთის ბოძებული) // **დარჩიაშვილი // ღვთისიაშვილი** და სხვ.

**ხუდავერდა,** საკ. სახ. „აქავ მუხათს **ხუდავერდა,** 1781 წ." (**ივ. ჯავახ.**, საქ. ეკ. ეკ. ისტ. ძეგლ. I, 177); „დავის გარდასაწყვეტი წიგნი, მიცემული ზურაბ და სხვა მაღალას-შვილების მიერ ხუდავერდა ვარდანაშვილისადმი" (დოკ., I, 269); „ისაია ხუდავერდასშვილი, გორელი" (დოკ., I, 269); ხუდავერდაშვილები მუხათში მოიხსენიებიან 1817 წლიდან, ადგილზე გაჩენილი გვარია (შდრ. **ხუდავერდა**) (მუხათი). დღეს ეს გვარი აღარაა, შემორჩენილია საფლავის ქვაზე ზედწარწერები.

**ხრამელაშვილი** (1823 წ.), სავარ. მეტსახელი **ხრამელა.** შდრ. **ხრაკუნა, ხრამუნა, ხრიკულა**... სოსება ხრამელაშვილი, მეუღლე მარინე, ვაჟები ესტატე, პეტრე, მოიხსენიება სოფ. კოდაში 1823 წლის აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 43-65) (კოდა).

**ხუდიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხუდა, ხუდია, ხუდადა, ხუდაშა, ხუდინა, ხუდუა** (დოკ., I613). **ხუდა** (ხუდ)-ხდომა, წილთრგება (საბა, 459, 453); **მამუკა ხუდიასშვილი,** XVIII ს. პირველი

ნახევარი. ამილღაბარ გოსტაშაბიშვილი ყმების ნუსხა (დოკ., II, 30); ,,ქ. გოსტაშაბაშვილის ამილღანბარისა 1721 წ. ქ. ქოთიშს; **ხუდიაშვილი მამუკა**'' (ვახუშტი, 56).

ამავე ძირისაა **ხუდაშვილი, ხუდადაშვილი, ხუდინაშვილი, ხუდუაშვილი** (ქოთიში).

| | |
|---|---|
| ხუროშვილი | 1621 |
| *თბილისი* | *418* |
| *გორი* | *251* |
| *მცხეთა* | *230* |

**ხუროშვილი** (1817 წ.), საკ. სახ. **ხურო** (ალ. ღლ., 246). ზგდი. მნიშვნ. მშენებელი, ხელოსანი (ქეგლ); დავითა ხურო (ნ. ბერძ., მასალ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., III, 3).

ივანე ხუროშვილი მოიხსენიება სოფ. ვაშლოვანს (სცსსა, ფ. 254 №1, 477, ფურც. 36); ხუროშვილი იყო კოდისა და მისი მეზობელი სოფლების მღვდელი. ამავე ძირისაა: **ხუროძე**.

შდრ. **დურგლიშვილი** (ვაშლოვანი).

| | |
|---|---|
| ხუროძე | 340 |
| *თბილისი* | *116* |
| *მარტვილი* | *39* |
| *ზუგდიდი* | *33* |

**ხუსიაშვილი** (1831 წ.), საკ. სახ. **ხუსია** (ალ. ღლ., 246); პატარა თონეთში მცხოვრებ ხუსიაშვილს კანონიერ ცოლთან თევდორე მახარაშვილის ასულ ნენესთან დაებადა ქალი სოფია. განათლა მღვდელმა აბრამ თეთრაძემ. ნათლიად იყო თონეთში მცხოვრები გიორგი საზანდარიშვილი (489, აღწ. №6, 121 ბ, 1831 წ. ფურ. 36) (პატარა თონეთი).

| | |
|---|---|
| ხუტიაშვილი | 71 |
| *თბილისი* | *44* |
| *გორი* | *10* |
| *თელავი* | *3* |

**ხუტიაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ხუტია** (ქრონიკ., II, 338)ლ **ხუტია** (კოლხ., 104, მუხური, ალ. ღლ., 246); ,,ქ. მდივნის ოთარისა, 1721 წ. ქ. ქვემო ოძის, ...გიორგი ხუტიაშვილი'' (ვახუშტი, 45) (ქვემო ოძისი).

| | |
|---|---|
| ხუციაშვილი | 39 |
| *თბილისი* | *17* |
| *მცხეთა* | *9* |
| *კავპი* | *4* |

**ხუციაშვილი** (1688 წ.), საკ. სახ. **ხუცია** (დოკ., I, 190); **ხუცია** აღაიანელი, 1630 წ. დეკემბრის 25-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული გიორგი და ხუცია აღაიანელების მიერ შერმაზან და სხვა სუმბულიძეთადმი (დოკ., I, 22) ხუცია (იქვე, 1634 წ. 23); მაღალაშვილი ხუცია, 1721 წ. (იქვე, 180); **ბერიკა, სეხნია ხუციასშვილი** მოიხსენიებიან 1688-1696 წწ., იესე, პაპუნა, ცელქია ხუციაშვილი, 1714 წ. (დოკ., I, 613); ყიასა ხუციაშვილი, მოიხსენიება თოხლიაურში, XVIII ს. I მეოთხედ-

ში (ივ. ჯავახ., საქ. ეკ. ისტ. ძეგლ., I, 11); შდრ. სახელები: **ხუც-ი, ხუცეს-ი, ხუცესა, ხუციკა, ხუცო, ხუცურა** (ალ. ღლ., 247).

შდრ გვარები: **ხუცაიძე, ხუციანიძე, ხუცინასშვილი, ხუციშვილი, ხუცისშვილი, ხუციძე, ხუცურაული, ხუციბერე, ხუცუნაშვილი.**

**ხუც** ძირი უძველესია, იგი დადასტურებულია საყოველთაოდ გავრცელებულ ხუცესში და საკ. სახელებში: **ხუცა, ხუცია, ხუცინა, ხუციკა, ხუცო, ხუცინა, ხუცურა, ხუცაური:** მღვდლის მნიშვნელობა **ხუცეს**-მა და **ხუცმა** მოგვიანებით მიიღო, თავდაპირველად იგი უფროსს, მთავარს, მოთავეს ნიშნავდა (ი. **მაისურ.**, 236) (მარაბდა). **ხუცურაული ბეგაშვილ-ბეგიშვილის (ბეგ ბატონი) ფარდია.** შდრ. ხუცურა – ხუცურაული.

| | |
|---|---|
| ხუციშვილი | 11062 |
| *თბილისი* | *3678* |
| *რუსთავი* | *637* |
| *გორი* | *600* |
| ხუცურაული | 685 |

**ხუციშვილი** (1643.), **ხუცესი,** იგივეა, რაც **მღვდელი,** ხუცესი-მოხუცებული, ხუცესი-ხევისბერი (ხევსურეთში, ფშავში); **ხუცეს**-დიაკონი, იგივეა, რაც მღვდელ-დიაკონი. ხუცეზ-მონაზონი (ძვ.) მწირველი, ბერი. მღვდელ-მონაზონი (ქეგლ); **ხუც**-ნ. ბოქაულთ უხუცესი, მანდატართ უხუცესი (საბა). **ხუცი,** საკ. სახ. (ტბეთის მატიანე, 160, 347; პ. ინგორ., სვან., 2, 159: (ალ. ღლ., 247); **ხუცესი** (საეკლ. საბ., 1, 92).

ხუცესი ირემაშვილი, მცოვრელი გლეხი (დოკ., I, 132). ხუციაალაიანელი, კათალიკოზის მემზურე (იქვე, 22). ხუცო-მაღალაშვილი (158), ხუცო-უჯარმელაშვილი (79).

**ბერია ხუცისშვილი,** დეკანოზი-1717-1731 წ. თავდახსნილობის წიგნი, მიცემული ავთანდილ სოლაღაშვილის მიერ პაპა და გარსევან გიორგიშვილებისადმი (დოკ., I, 177); გამახარე, გიორგი, ზურაბა, იესე, ნიკოლოზი, ოთარა, ხუცია ხუცისშვილები (დოკ., I, 613); ბერუკა ხუციშვილი, ფარსადან ხუციშვილი ბარათაშვილის ყმა, ენაგელი-1643 წ. თებერვლის 22-ს. ყმისა და მამულის საჯილდაოდ წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ ფარსადან და სხვა ბარათაშვილთადმი (დოკ., I, 27); ხუცის სოფელი არსებობდა სომხითში, ტაშირში, ყაიყულში, ხუცის სოფელი, ხუცის ტამალია, სოფ. თრიალეთში (ის. ლორთქ., ქვ. ქართლი, ნ. III და IV, 489). **პაპუა ხუციშვილი, 1721 წ. აღწ. მეფის უყმო აზნაური შამირზას სოფელში** (იქვე, 489). საამ ხუციშვილი 1701-11 წ. და 1721 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მამულ ფიტარეთში (იქვე). „ქ. დრიანეთს ხუციშვილი სვიმონ (იქვე, 170).

შდრ. **ხუციშვილი//მღვდლიაშვილი//ტერტერაშვილი.** „ხუციშვილების გორი: სუჯეთ გორი და ჩუენი უწინა და იმაზე ჩამოვდივართ ჩვენა და ხუციშვილი დაგქუინეს“ (მოხევეთა საუბრიდან, ქართული დიალექტოლოგია, I, 45). „ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ქ. მონასტერს 1721 წ. ხუციშვილი გოდერძა“ (ვახუშტი, 141). „ქ. ვარაზაშვილის ლუარსაბის მამულში ქ. მცოვრეთს 1721 წ. ხუციშვილი ბერუა“ (იქვე, 137). „ქ. ნოდარ სუფრაჯის ყმა ქ. ოშეთს, 1721 წ. ხუციშვილი ივანა“ (იქვე, 112; „დიდ ენაგეთში მცხოვრებ მართლმადიდებელი სარწმუნოების მქონე თევდორე ხუციშვილს 1828 წელს დაებადა ქალი, სახელი დაერქვა მართა. ნათლია იყო კოდაზე მცხოვრები დავით მჭედლიშვილი“ (489, აღწ. №6, 57, ფურ. 27); ზოგიერთ ხუციშვილს გრიგორიანული სარწმუნოება მიუღია და რუსული დაბოლოებით ხუციევად ჩაუწერიათ, მაგალითად, 1873 წელს ენაგეთის ახალშენს კონსტანტინე ფალავანდიშვილის მიწაზე სახაზინო გლეხებს შორის მოიხსენიებიან: დავით დემეტრეს ძე ხუციევი, შვილები:აბელა, გიორგა, დავითის ძმა იაკობ ხუციევი, იაკობის შვილები ივანე, ვასილი, სანდრო, არსენ თევდორეს ძე ხუციევი, შვილი თევდორე, არსენას ძმები დიმიტრი, ალექსი; საკუთარ მიწაზე მცხოვრებ სახაზინო გლეხად მოიხსენიება გიორგი სვიმონის ძე ხუციევი, ძმები: ანტონი და ზაქარია, **მართლმადიდებლები, ქართველები** (სცსსა, ფ. 254, №3 საქმე 115, №136, ფურ. 189-220); სოფ. ღოუბანში 1874 წ. მოიხსენიება დიმიტრი თევდორეს ძე ხუციშვილი, ხოლო დიდ ენგეთში, რომელსაც 1885 წელს შვილს უნათლავს ვარდისუბნელი გრიგორ იოსების ძე ინაშვილს ასული სოფა (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); დიდ ენაგეთში მცხოვრები დიმიტრი თევდორეს ძე ხუციშვილი ნათლავს შვილს მარიამს. მიმქმელი ყოფილა გოლთეთელი გაბრიელ ბესარიონის ძე წითელაური (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1884 წ.); ხუციშვილთა გვართან დაკავშირებით ზ. ჭიჭინაძე წიგნში „ქართველი გრიგორიანები“ წერს: **„ხუციშვილები, ქართველები არიან და ცხოვრობენ საქართველოს მრავალ კუთხეში. გვარის ძირია ქართული სიტყვა ხუცი. ძველად ამ გვარის რამდენიმე წევრმა ჯავახეთში (ხიზაბავრა) კათოლიკობა მიიღო, ახალქალაქს რამდენიმე მცხოვრებმა გრიგორიანობა მიიღო“. ხუციშვილების ერთი ნაწილი აზნაურები იყვნენ.**

ხუციშვილის ძირისაა: **ხუცაურიძე, ხუცაიძე, ხუციანიძე, ხუციაშვილი, ხუციბერიძე, ხუცინაშვილი, ხუცუნაშვილი, ხუცურაული.**

სოფლებში 1721 წლიდან მოიხსენიებიან (ამლევი, ბედენი, გუდარეხი, დრიანეთი, ენაგეთის ახალშენი, ვაკე, ზრბითი, მარაბდა, მონასტერი, მცოვრეთი, ოშეთი, პ/თონეთი, სამშვილდე, ტბისი, ჯორჯიაშვილი).

**ხუხაძე // შიოშვილი** (1823 წ.), საკ. სახ. **ხუხა** (ალ. ღლ., 247); შდრ. **ხუხ-ი, ხუხაია, ხუხია, ხუხუ... ხუხაძე,** იგივე **შიოშვილი**

| | |
|---|---|
| ხუხუა | 712 |
| *მარტვილი* | *178* |
| *ზუგდიდი* | *172* |
| *თბილისი* | *125* |
| ხუხიაშვილი | 88 |

კიკოლა, ანუ ნიკოლოზი, მეუღლე დარეჯანი, შვილები შიო, გიორგი, ზაქრო, ვანო, გრიგორი, სალომე, დისშვილი გიორგი მოიხსენიება სოფ. დიდ ენაგეთს 1823 წლის აღწერაში (სცსსა, ფ. 254, 1, 802, ფურ. 5-18).

ამავე ძირისაა **ხუხიაშვილი, ხუხუა** (დიდი ენაგეთი).

# ჯ

ჯაბახიძე 225
*გორი 119*
*თბილისი 72*
*თეთრიწყარო 13*

**ჯაბახიძე,** სავარ. საკ. სახ. **ჯაბა** (გ. ლეონ. სახელები). შდრ. **ჯაბათ-ი, ჯაბალა, ჯაბანა, ჯაბანუ,** და მისთ. (ალ. ღლ., 247 (დ/თონეთი).

**ჯავრისაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯავარი** (ალ. ღლ., 248). **ჯავარი** (არაბ.)-მარგალიტი (ძვ.), პატიოსანი ქვა, ძვირფასი თვალი, იაგუნდის **ჯავარი,** მომხიბლაობა, მოხდენილობა, შნო, ლაზათი, ლამაზი ქალის **ჯავარი** (ქეგლ).

შდრ. (სომხ.) **გოჰარ** (მარგალიტი), (ქურთ.) **გოჰყური,** არ ძვირფასი ქვა // საყურე. გ შეცვლით ჯ-ი, მიიღება **ჯოჰარი,** რომელმაც აწარმოვა ქართული სიტყვები — გვარი და ჯვარი. შდრ. ქართული **მარგალიტაშვილი, მარგალიტაძე.**

„ქ. ნოდარ სუფრაჯის ყმა ქ. ოშეთს 1721 წ. **ივანა და ოსიყმა ჯავარისაშვილები**" (ვახუშტი, 113) (ოშეთი).

**ჯავახი** (1721 წ.), **ჯავახ** (დოკ., II, 8); **ჯავახ-ი** (დოკ., I, 95); **ჯავახა** (ქრონიკ., II, 320; **ჯავახოს** (ქართლ., ცხ., I,9, 10, ალ. ღლ., 248); „ქ. მდივნის ოთარისა, 1721 წ. ქ. გვარეთს, ...**ჯავახი პაპუნა**" (ვახუშტი, 45).

**ჯავახი** კუთხურობის აღმნიშვნელიცაა (გვარეთი).

ჯავახიშვილი 6893
*თბილისი 2312*
*თელავი 736*
*გორი 554*
ჯავახი 112

**ჯავახიშვილი** (1781 წ.), **ჯავახ-ი,** გვარადქცეული ეთნონიმი, შემდგომში საკუთარ სახელადაც გვხვდება. „როგორც ეტყობა, XIII საუკუნის დამდეგს სამძივართა საგვარეულოში (უკეთ, ამ საგვარეულოს იმ შტოში, რომელიც დამკვიდრებულია თეძმის ხეობაში) შემოდის სახელი **ჯავახი** და შეიძლება უკვე XIV საუკუნის პირველ ნახევარში ისინი

იწოდებოდნენ ჯავახიშვილად“ (**ლ. მუსხელიშვილი,** არქეოლოგიური ექსკურსიები, 1941, გვ. 74); სახელი **„ჯავახი“** XIV საუკუნეზე უფრო ძველია: **ჯავახ აფაქის ძე** მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში (**ე. მეტრევ.,** მასალ., 81, 123); **„თავადი ჯავახიშვილი.** ეს პირველ იყვნენ მოსახლე აბულეთსა შინა კერძოდ **ჯავახეთისა** და ესენი იტყოდნენ **ქართლოსიანთა გვარობასა ჯავახოსისგან შთამომავლობასა,** ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა ბაგრატისასა, ოდეს მეფე იქმნა ბაგრატ წელსა 1360 და დროსა ამისასა მოვიდა ლანგ-თემურ და ბრძო მეფისა, მაშინ **ჯავახოს** სახელწოდებით დიდად გაისარჯა და მრავალგან ბრძო თათართა და შემდგომად მეფემან ამანვე გადმოსახლნა ჯავახოს და სახლეულნი მისნი და დააშენნა გაღმა მხარს ფხოელის ადგილსა შინა და უბოძა ხეობასა მას შინა ადგილნი და სოფელნი. ხოლო ესენი არიან ერთ დროს **ციციშვილებთან** გადმოსრულნი და მუნიდგან იწოდებიან **თავად ჯავახის შვილებად** და აწ არიან მოსახლედ **1) თეიმურაზის შვილები, 2) ვახუშტის შვილები, 3) დიმიტრის შვილები, 4) ქაიხოსროს შვილები, 5) იოსების შვილები** (საანდაზო ლექსები... 24); **ჯავახიშვილი ერთ-ერთი წარჩინებული გვართაგანია ძველ საქართველოში:** იხ. ჯავახიშვილ-გამრეკელი (ქ. ცხ., II, 320), ჯავახისშვილი ჯავახი (იქვე, 344, 345, 384); **ქართლელი ჯავახიშვილების წინაპარნი გამრეკელ-თორელნი ყოფილან,** XII საუკუნეში გადმოსახლებულან ჯავახეთიდან ქართლში, სოფ. ხოვლეში. XVII საუკუნემდე ეს გვარი უტარებიათ, შემდეგ კი წინანდელი ადგილსამყოფელის მიხედვით **ჯავახიშვილად** წოდებულან (იხ. ჟურნ. „დროშა“ №4, 1951; დ. გამრეკელი, ი. ჯავახიშვილის ბიოგრაფიისათვის, ლიტ. საქ. №5, 1969). ამავე ძირისაა: **ჯავახაძე, ჯავახია.**

ვახუშტი „მთავართა გვართათვის“ წერს: „ხოლო გვარნი მთავართა მათ ძველთანი ესენი არიან: ...**ჯავახისშვილი, ბურსელი** და სხვანი მრავალნი, რომელნი ერისთობით იწერიან და გვარნი არ წარიწერებიან ცხადად საცნობლად“ (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 13). (ალგეთი, კოდა, მანგლისი, ჩხიკვთა, წინწყარო, სამღერეთი, ახალშენი, აღირიცხებიან 1721 წლიდან).

ჯალადიშვილი 110
ჯალალი 89
ჯამარიშვილი 26

**ჯალალაშვილი** (1843 წ.), **ჯალალ** (არაბ.) „დიდება“, „სახელი“, „ძლიერება“, შდრ. **დიდებულიძე,** ჯალალ-ედინი.

სოფ. კოდაში მოიხსენიება 1843 წელს (კოდა).

**ᲯᲐᲛᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲛᲔᲮᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯამარი** (თუშ., გ. ცოცან., ალ. ღლ., 248).

1843 წ. აღწ. სოფ. წვერში მოხსენიებულია გლახა **ჯამარაშვილ-მეხინაშვილი** (ჯ. სონღულ., მასალ., გვ. 129) (წვერი).

ᲯᲐᲛᲐᲡᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ 96
ᲯᲐᲛᲐᲡᲞᲘᲨᲕᲘᲚᲘ 713

**ᲯᲐᲛᲐᲡᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯამასპ**-ი (დოკ., I, 316); „აქ. აბაშიშვილის დავითისა 1721 წ. ქ. დიას გოგია ჯამასპაშვილი" (ვახუშტი, 117); „ქ. გერმანოზიშვილის ოთარის ყმა ქ. ზას 1721 წ. თამაზა ჯამასპაშვილი (იქვე, 135); „ქ. ზაალიშვილის პატარა ზურაბისა ქ. ლიყურეთს, გიორგი ჯამასპაშვილი" (იქვე, 58) (დია, ზა, ლიყურეთი).

**ᲯᲐᲜᲑᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯანბა,** (დოკ., I, 74). მიღებულია საკ. სახელიდან **ჯანა.** შდრ., **ჯანუა, ჯანგულა, ჯანბექი, ჯანასლან** და სხვ.

**პაპუნბეგ ჯანბუაშვილი** 1740 წ. მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპა შიოშისშვილის მიერ ქაიხოსრო და სხვა ზაალისშვილებისადმი (დოკ., I, 289) (სამღერეთი).

ᲯᲐᲜᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ 96
*თეთრიწყარო 70*
*თბილისი 25*
*კასპი 1*

**ᲯᲐᲜᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **ჯანგება.** შდრ. **ჯანგიშერ, ჯანბეგა ჯანჯალა ჯანგულა, ჯანგველა, გვარში ჯანგველაძე.** (772 სული. აბაშა – 280; თბილისი – 158; სამტრედია – 60).

**ჯანგება,** – იტყვიან ჯანით მიეგო, გაეგო, თავი დასდოო.

„ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ღოუბანს, 1721 წ. **ზურაბა ჯანგებაშვილი**" (ვახუშტი, 140).

ᲯᲐᲜᲒᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 882
*თბილისი 375*
*დუშეთი 228*
*თიანეთი 78*

**ᲯᲐᲜᲒᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1871 წ.), საკ. სახ. **ჯანგირა** (დოკ., (375); **ჯანგირ**-ი (ფშ., მაღაროსკარი, ალ. ღლ., 248); **ჯაჰანგირ** (სპარს.) „ქვეყნის მპყრობელი" შდრ. (აზერბ.) ჯაჰანგირ ჯაჰანგიროვი.

1871 წელს დუშეთის ოლქის სოფ. დიხჩოდან (დღევ. დუშეთის რ.) სოფ. ლასტისციხეში საცხოვრებლად გადმოსულა პაპია ჯანგირაშვილი (სცსსა, ფ. 254, №3, 241, ფ. 593-596, 1873) (ლასტისციხე).

ჯანვერდაშვილი 26
თბილისი 16
გორი 1
კასპი 1

**ჯანვერდაშვილი** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯანვერდი** (საქ. სიძვ., III, 355); შდრ. **ჯანგვა, ჯანგველა, ჯანგიშერ, ჯანგულა, ჯანდიერი,** და მისთ. **ჯანი**-სულია, **ვერდი**-მიცემა. შდრ. **ახვერდაშვილი, ხუდავერდაშვილი, ალავერდაშვილი.**

„ქ. სოლაღაშვილის იესეს ყმა ტაგნაგეთს, 1721 წ. ...**გოდერძა ჯანვერდაშვილი**" (ვახუშტი, 141) (ტაგნაგეთი).

ჯანიაშვილი 2610
თბილისი 839
სიღნაღი 5428
გურჯაანი 175

**ჯანიაშვილი** (1523 წ.), საკ. სახ. **ჯანიკო, ჯანოს** მოფერებითი (კნინობითი) ფორმაა **ჯანა, ჯანია.** შდრ. ჯინვარდინი, **ჯინა, ჯარამხანი // ჯარა** და მისთ.

**ჯანა ღანუკელი,** 1569 წ. ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მცხეთის სვეტისცხოვლის ეკლესიისადმი (დოკ., I, 7); ჯანა ჯიმითელი, 1601 წ. მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი (დოკ., I, 13); ჯანაანი ბარაუნთათ გლეხები (იქვე, 10); **ჯანია ამაზაშვილი** (იქვე, 48), ჯანია გოგიჯანაშვილი (იქვე, 371); დავით X-ის განჩინებით ბარათაშვილთა გაყრისას (1523 წ.). გერმანოზსა და მის ძმებს...შეხვედრია ენაგეთს... ერთ წილად ჯანიაშვილი (ხელნ. ინსტ., Ad 1299); ელიზბარა ჯანიაშვილი მეჯვრისხეველი, 1695 წ. ბატონყმობის წიგნი, მიცემული ელიზბარა ჯანიასშვილის მიერ ხითარაანთ ზურაბასადმი (დოკ., I, 94); თამაზ ჯანიაშვილი ნაზირი 1751 წ. ოქმი თეიმურაზ II-სა ზაზა თარხნიშვილის ჯალაბის დარეჯანისათვის (დოკ., I, 353); 1843 წ. აღწ. სოფ. წვერში უცხოვრია გლახა ჯანიაშვილს, ხოლო წყლულეთში მახარობელ ჯანიაშვილს -(ჯ. სონღულ., მასალები... 1964, 129). (ენაგეთი, წვერი, წყლულეთი). **ჯანია სამეგრელოში არის გვარი. შდრ.; ჯანია 25 სული (ზუგდიდი 20, თბილისი 1, ქუთაისი 1).**

ჯანიკაშვილი 396
სიღნაღი 162
თბილისი 117
რუსთავი 48

**ჯანიკაშვილი** (1661 წ.), საკ. სახ. **ჯანიკა, ჯანიკო** (დოკ., I, 36; კოლხ., 105, ნაბაკევი, გალის რ., ალ. ღლ., 249). **ჯანიკო,** შდრ. **სულიკო.**

**ჯანიკასშვილები,** პაპუნა გოსტაშაბიშვილის ყმები იხსენიებიან 1661 წ. ყმისა და მამუ-

ლის მოცვლილობის წიგნში, რომელსაც პაპუნა გოსტაშაბიშვილი აძლევს თათუა ასანბეგისშვილს (საქ. მუზ. №2236 Hd; დოკ., I, 39); იქვე იხსენიებიან მიტიჩაი, პაპიაი, სარქისაი ჯანიკასშვილები (იქვე, გვ. 615); ჯანიკაშვილები მოხსენიებული არიან აგრეთვე 1671 წლის 12 თებერვალს ერთ-ერთ გაცვლის წიგნში, რომლითაც ვგებულობთ, რომ პაპუნა გოსტაშაბიშვილი ჯანიკაშვილების სამ კომლს აძლევს ასანბეგიშვილებს და სამაგიეროს მათ ართმევს სოფ. ტბისში (საქ. სიძვ., I, 68) (ენაგეთი).

ᲯᲐᲜᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ 98
*თბილისი 51*
*ქუთაისი 20*
*ბათუმი 8*

**ᲯᲐᲜᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1477 წ.), საკ. სახ. **ჯანუა** (დოკ. I, 280); შდრ. **ჯანო, ჯანუ, ჯანობი, ჯანიკო, ჯანიკა...** „ქ. საგინაშვილის დურმიშხანისა, 1721 წ. ქ. ჩხიკვთას **გიუა ჯანუაშვილი**" (ვახუშტი, 151); „ქ. თაყაშვილის გიორგისა, ქ. ეშვის წყაროს ლეუა ჯანუაშვილი, 1721 წ." (იქვე, 76); „ქ. ყორღანაშვილის თაყასი ვანათს: პაპუნა ჯანუაშვილი (იქვე, 93). (ჩხიკვთა, ეშვის წყარო, ვანათი (ვანეთი). **ჯანუა** მეზვრიშვილი, პირობისა და თავდებობის წიგნი, მიცემული გოგებაანთ კაციასა და ბერო როსტიაშვილის მიერ ვიღაც „ბატონ" ბექანისადმი (დოკ., I, 280); მიტიჩა ჯანუაშვილი 1477 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ და სხვა პალატის-შვილთა მიერ გოგიტა არდაშერასშვილისადმი (დოკ., I, 5).

აქედანაა გვარები: **ჯანაშვილი, ჯანიაშვილი, ჯანიკაშვილი, ჯანუაშვილი, ჯანშაშვილი, ჯანაძე;** შდრ. **ჯანაანი,** სოფ. რუისპირის მახლობლად (თელავის რ.) და სხვ.

აღნიშნულ სოფლებში მოიხსენიებიან 1721 წ. (ჩხიკვთა, მარაბდა).

ᲯᲐᲜᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 47
*გარდაბანი 39*
*თბილისი 7*
*დედოფლისწყარო 1*

**ᲯᲐᲜᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯანყულა,** „ქ. ტაბახმელას **ჯანყულა მამიაშვილი**" (ვახუშტი, 148); (შდრ. **ჯანანა,** გვარში: **ჯანანაშვილი, ჯანჯალა,** გვარში: **ჯანჯალაშვილი.** (ი. მაისურ., 241); **ჯანფიტა, ჯანსულა... ჯანგულა (ჯანგულაშვილი).**

· **ჯან** (ინდ.-სპარს.) **სული, ყულა** (თურქ.) **მონა** (სულის მონა). შდრ. კულუხ-ი (ისტ.) ღვინის საბატონო გადასახადი. „ქ. სოლაღაშვილის ზურაბის ყმა, 1721 წ. ქ. გუდელის: ...**პაპაჯანა ჯანყულაშვილი**" (ვახუშტი, 146, გუდელი).

ჯარიაშვილი 721
თბილისი 277
გარდაბანი 160
დუშეთი 144

**ჯარიაშვილი** (1875 წ.), საკ. სახ. **ჯარია** (ალ. ღლ., 249); **ჯარია** (ა. შან., ხევსურ., 207); ჯარიაშვილი, სართიჭალა (საგარეჯოს რ.); საკ. სახ. ჯარია (დღ. სახელ, ი. მაისურ., 241).

ტაბახმელაში მცხოვრები გიორგი პაპაშვილი 1875 წელს ცოლად ირთავს დიდ ენაგეთში მცხოვრებ სიმონ ჯარიაშვილის ასულ სოფიოს. თავდებნი ყოფილან ქალის მხრიდან დიდ ენაგეთელები. დავით ივანეს ძე სუხიტაშვილი, პავლე გიორგის ძე უსტიაშვილი, ივანე გრიგოლის ძე ამურველაშვილი (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, №6, თ/წ. 1) (დიდი ენაგეთი).

ჯაფარიძე 7378
თბილისი 2684
ქობულეთი 957
მესტია 444

**ჯაფარიძე**. სახელი **ჯაფარა** საქართველოში შემოიტანა ლიპარიტის (ბაღუაშის ძის) მტერმა არაბმა ამირა (ემირმა) ჯაფარმა 1047 წ. (ქრონიკ., I, გვ. 195); საკ. სახ. **ჯაფარ** (ქართლ. ცხ., I, 263); **ჯაფარა**, განჩინება შანშე ამილახვრის და მისი განაყოფის დავითაშვილის ზაალის დავის გამო, 1797 წ. (საქ. სიძვ., III, 177); **ჯაფარა** (ჯაფარასი), ქართ, იგივეა რაც **ჩხიკვი**. (ქეგლ. 586); **ჩხიკვ**-ი, გარეული ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. აქვს ფერადზოლიანი ფრთები//ჯაფარა (იქვე, 535); ნ. **ჯაფარ ჯაფარიძე**, ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბე[ქ]ან ჯაფარიძის მიერ ქველი წირითლისადმი",...ანი და მიზეზდაუდებელი საფიც[ა]რი მოგ[ა]რთვით ჩვ[ე]ნ, ჯ[ა]ფ[ა]რ[I]ძემ ბექა[ნ] და ჯ[ა]ფ[ა]რმა და სვ[I]მო[ნ]ა" (დოკ., I, 446).

ნ. ბექან, ლომკაცი, ნინია, სვიმონ, შოშია, ჯაფარ ჯაფარიძეები (იქვე, 615) (ასურეთი). თავდაპირველად იწერებოდნენ **მჯა+ფარ= მჯაფარიძე**.

ჯაფარაშვილი 247
თბილისი 77
ბორჯომი 7
ყვარელი 7

**ჯაფარაშვილი** (1884 წ.), საკ. სახ. **ჯაფა** (დოკ. I, 13); ლოუბნელი ზაქარია გიორგის ძე ყულბერაშვილი ცოლად ირთავს მაწევანში მცხოვრებ მიხეილ გიორგის ძე ჯაფარაშვილის ასულ ბარბარეს (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1884 წ. შდრ. **ჯაფიაშვილი**.

**ჯაფიაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ჯაფა** (დოკ., I, 13); **ჯაფა** (არაბ.) – მძიმე შრომა. 1873 წ. აღწ. მონაცემებით სოფ. წყურვილეთში ცხოვრობს **გიგოლა ჯაფიაშვილი** (სცსსა, ფ. 254, №3, 131), საქმე №358, ფ. 105-110, 1873 წ.) (წყურვილეთი).

ჯაფიაშვილი 392
გორი 148
ქარელი 117
თბილისი 51

ᲯᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 1339
თელავი 436
თბილისი 362
თეთრიწყარო 267

**ᲯᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1698) საკ. სახ. **ჯაშა,** გვარში **ჯაშაშვილი** (ალ. ღლ., 249); **ჯაშინა** (დოკ., I, 33). **ჯაშია** ქალის ზედმ. სახ. (სოფ. მუხათი).

ნ. **ჯაშინა** (თუთნასშვილი), 1647 წ. დეკემბრის I-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბეჟან თაყასშვილის მიერ თავის ძმისწულ მამასახლისის ალიბეგასადმი (დოკ., I, 33); ჯაშიშაანი როსტომა (1740 წ. ივნისის 12-ს, იქვე, 293).

ნ. **ჯაშიაშვილი ელიკა,** 1698-1712 წ. ვენახის წყალობის წიგნი, მიცემული დიდი მოურავის შვილისშვილის ავთანდილის მიერ არუთენა მანველაშვილისადმი (საქ. მუზ. №2908).

1873 წლის კამერალური აღწერით ენაგეთის ახალშენში მოიხსენიებიან: **მიხეილ დავითის ძე ჯაშიაშვილი,** შვილები გიგოლა, არტემა, კუნწულა, კუნწულასშვილი გიორგი, მიხეილის ვაჟები: სანდრო, კიკოლა ბაკა, არუთინა: **იაგორ ჯაშიაშვილი,** შვილები არსენა, ბაგრატა, იაგორის ძმები შაქარა, კონია, თათუხა, სოსიკა, გიორგი; დავით გასპარას ძე ჯაშიაშვილი, მისი ძმები გარსევან, ნინია, ჯიმშერ სარქის ჯაშიაშვილები; **სოლომონ დავითის ძე ჯაშიაშვილი,** შვილი ვანო (ვანოს შვილი ბაგრატა), ხეჩო, გიორგი, აბელა, ზაქარია, მიხა; **ალექო დავითის ძე ჯაშიაშვილი,** შვილები: გეო, გიორგი, დემეტრე (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220); აქაური ჯაშიაშვილები მოსულები არიან გურიიდან და მათი ადრინდელი გვარი ყოფილა ჯაში. ამავე ძირისაა: **ჯაშ-ი, ჯაშაშვილი, ჯაშანაშვილი, ჯაშინას-**შვილი (კოდა, **ჯორჯიაშვილი**).

ᲯᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔ 311
ქარელი 121
რუსთავი 54
თბილისი 53

ᲯᲐᲮᲕᲔᲚᲐᲫᲔ 46
თბილისი 20
გორი 7
რუსთავი 7

**ᲯᲐᲮᲕᲔᲚᲐᲫᲔ//ᲯᲐᲮᲕᲔᲚᲘᲫᲔ,** სავარ. საკ. სახ. **ჯახველი. ჯახვა+ბლსრთ-ელ**), შდრ. საკ. სახ. **ჯახვა** (ალ. ღლ., სახელ., ილ. მაისურ., 242). (ორბეთი).

ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 231
გურჯაანი 1173
თბილისი 35
კასპი 6

**ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲗᲕᲐᲣᲠᲘ** (1873 წ.), საკ. სახ. **ჯაჯანა** (საქ. სიძვ., III, 411); **დიმიტრი თვაური (იგივე ჯაჯანაშვილი), დავით თვაური (იგივე ჯაჯანაშვილი), იაკობ თვაური (იგივე ჯაჯანაშვილი)** მოიხსენიება 1886 წ. აღწერით ღვევის

სასოფლო საზოგადოებაში (სცსსა, ფ. 254, 3, 1609, ფურ. 118-132).

**ᲯᲐᲯᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1886 წ.), საკ, სახ. **ჯაჯა** (არქ., 1886, ჭოხი, გამ., 10, ალ. ღლ., 250); **ჯაჯა** ქორს ნიშნავს სამეგრელოსა და გურიაში (ზ. ჭუმბ., 52); ნიკოლოზ ჯაჯეიშვილი მოიხსენიება დიდ თონეთში 1886 წ. (სცსაა, ფ. 254, №3, 1608, 1886 წ. ფურც. 82-146). შდრ. **ქორიძე** (დიდი თონეთი).

ᲯᲔᲑᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ 142
*თბილისი 65*
*გორი 58*
*ქარელი 5*

**ᲯᲔᲑᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** საკ. სახ. **ჯებისა** (შდრ. **ჯება, ჯებე, ჯებინა**) აქედან **ჯებისაშვილი.**

**ᲯᲔᲒᲐᲫᲔ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯეგე** (ალ. ღლ., 250); ჯეგა//გათელვა. ,,აქ არის ყაფლანიშვილის მამულში მსახლობარი საერთო დაბალში ქ. ბალახაური 1721 წ. ოთარი ჯეგაძე" (ვახუშტი, 159) (ბალახაური).

ᲯᲔᲒᲐᲫᲔ 53
*თბილისი 43*
*მცხეთა 9*
*დმანისი 1*

**ᲯᲔᲕᲐᲫᲔ** (1843 წ.), საკ. სახ. **ჯევა** (**ჯავა**+ჭანური საგვაროვნო დაბოლოება-**იშ**); //**ჯივაიში** (ი. მაისურ., 243). გულუა ჯევაძე მოიხსენიება დიდ თონეთში 1843 წ. (სცსსა, ფ. 254, 1, 2043, ფურც. 310-322) (დიდი თონეთი).

**ᲯᲔᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,** საკ. სახ. **ჯერან** (ალ. ღლ., სტუდ. კოლექცია, 250); **ჯერანა** (საქ. სიძვ., 1, 14).

შდრ. **ჯეირანაშვილი, ჯერენაშვილი. ჯეირანი//ქურციკი** (კლდეისი).

**ᲯᲘᲚᲐᲕᲓᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** (1823 წ.), სავარ. საკ. სახ. **ჯილვარდი** (ალ. ღლ., 318); მათე ჯილავდრიშვილი, მეუღლე ანა, შვილები მელიქა, აბელა, სიმონა, დავითა, ყაზარია. ქალიშვილები ნინო, მარიამი, მაია, მათე ჯილავდრიშვილი, მეუღლე დარეჯანი, შვილები ვართანა, გეუა, სარქისა, ქალიშვილები მაია, მიფაკა, დისშვილები გიქორა, მოსე, და მარტა, დისშვილი სტეფანე, მეუღლე ქეთევანი მოიხსენიებიან სოფელ კოდაში 1823 წელს (სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, №ᲜᲐ3, 1823 წ. ფურ. 7-10) (კოდა.) შდრ. გვარი **ჯილავდარი** 88 სული (გორი 58, თბილისი 23, კასპი 6).

ᲯᲘᲛᲨᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 37
*თბილისი 29*
*ახმეტა 1*
*ახალციხე 1*

**ᲯᲘᲛᲨᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), **ჯიმშერ** (სპ.) პარალელური ფორმაა ჯიმშედ სახელისა. აქედანაა გვარი **ჯიმშელეიშვილი** (**ზ. ჭუმბ.**, დედაენა ქართ., 379); **ჯიმშერ** (საქ. სიძვ., II, 47); ,,ქ. სოლაღაშვილის ავთანდილის ყმა ქ. დრეს, 1721 წ. ზურაბა ჯიმშერაშვილი, (ვახუშტი, 149); ,,აქ ბოცოეთს მსახლობელი **სიყმია ჯიმშერაშვილი** 1721 წ." (ვახუშტი, 332) (დრე, ბო…კოეთი).

1721 წ. აღწ. სოფ. დრეში გამომღებ ყმათა შორის მოიხსენიება ელიზბარა და მამუკა ჯიმშერაშვილები (სცსსა, ფ. 254, №1, 2043, ფ. 333. 1841 წ.).

**ჯიმშერ,** იგივე **ჯავანშერ,** ახალგაზრდა ლომი, ბოკვერი. იხ. **ჯიმშიაშვილი.** (დრე).

ᲯᲘᲛᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 129
*ზესტაფონი 36*
*თბილისი 19*
*ქუთაისი 16*

**ᲯᲘᲛᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯიმშერ**-ი. მისი კნინობითი ფორმებია: **ჯიმი, ჯიმითა, ჯიმოთე, ჯიმუა, ჯიმშარი, ჯიმშელი, ჯიმშიერ, ჯიმშია**...

**ჯიმშერ** (სპ.) „ახალგაზრდა ლომი" (**ჯივან**-შერ). პარალელური ფორმაა ჯიმშედ სახელისა. აქედანაა გვარი ჯიმშელეიშვილი. „აქ ბოცოეთს ყაფლანიანთი: **დათუნა ჯიმშიაშვილი,** 1721 წ." (ვახუშტი, 168) (ბოცოსჯვარი).

ᲯᲘᲛᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ 610
*თიანეთი 281*
*თელავი 134*
*თბილისი 81*

**ᲯᲘᲛᲨᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯიმშიტ**-ი (საქ. სიძვ., II, 130); **ჯიმშიტა** (საქ. სიძვ., III, 549); „...ჩხიკვთას უყმო აზნაურის გვარი **ჯიმშიტაშვილია**" (ისს. ლორთქ., ქვ. ქართ., ნაწ. I და II, 179) (ჩხიკვთა).

ᲯᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 117
*თბილისი 81*
*თეთრიწყარო 15*
*ბოლნისი 11*

**ᲯᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), სავარ. მეტსახელი **ჯირა.** „აქ ქირმანის ხანისა დურნუკს 1721 წ. **ჯირაშვილი** ბერუა, **ჯირაშვილი** როსება, გიუა **ჯირაშვილი**" (ვახუშტი, 25).

დღეს **ჯირაშვილების** ნაწილი სომხებად ეწერებიან (დურნუკი).

ᲯᲘᲥᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ 578
*გურჯაანი 303*
*თბილისი 131*
*თელავი 20*

ᲯᲘᲥᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ 148
ᲯᲘᲥᲣᲠᲘ 499
ᲯᲘᲥᲣᲠᲘᲫᲔ 153

**ᲯᲘᲥᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ//ᲯᲘᲥᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1873 წ.), საკ. სახელადქცეული ეთნონიმი **ჯიქი**; ლეჯიქესაჯიქაო (სოფელია ჩხოროწყუს რაიონში (ი. მაისურ., 245); **ჯიქი, ჯიქნი** (კეკ., ეტიუდ. I, 179); **ჯიქი,** ზგდი მნიშვნ. „დიდი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან" (ქეგლ); სოლომონ და ხრისტო ჯიქურიშვილები (იგივე ჯიქურები უნდა იყვნენ. ი. ა.). მოიხსენიებიან 1873 წ. აღწერით სოფ. ვაშლოვანში (სცსსა, ფ. 254, 3, №112, საქმე №170, ფურც. 25-51) (ვაშლოვანი).

ის. **ჯიქია, ჯიქიშვილი, ჯიქიძე, ჯიქურაული, ჯიქურაშვილი, ჯიქური, ჯიქურიძე.**

ᲯᲛᲣᲮᲐᲫᲔ 810
*თბილისი 438*
*ამბროლაური 110*
*ქუთაისი 62*

**ᲯᲛᲣᲮᲐᲫᲔ** (1873 წ.), სახელ-ეპითეთი **ჯმუხი, ჯმუხა/ /ჯმუხაძე.**

1873 წ. აღწერით სოფ. ღოლოვანში მოიხსენიებიან გაბრიელ, ბესარიონ და მიხეილ ჯმუხაძეები (სცსსა, ფ. 254, №3, 113, საქმე №78, ფურც. 370-382); 1886 წ. აღწერით ღოლოვანში ცხოვრობდნენ: კიკოლა, მიხეილ, გაბრიელ, გიორგი და ბესარიონ ჯმუხაძეები (სცსსა, ფ. 254, №3, 1613, ფურც. 171-196): 1871 წელს სოფ. ღოლოვანში მოიხსენიებიან: ნიკოლოზ გიორგისძე ჯმუხაძე, დიმიტრი სოლომონის ძე ჯმუხაძე. შდრ. საპირისპირო ძლიერიშვილი, ცხვირაშვილი, გონჯიაშვილი, მსუქნიძე, მსუქნიშვილი.

**ჯმუხაძეები** ასურეთში საცხოვრებლად გადმოვიდნენ 1941 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფ. ნიკორწმინდიდან (ასურეთი, ღოლოვნა).

**ᲯᲝᲔᲨᲕᲘᲚᲘ** (1688 წ.), წარმომდგარია საკ. სახ. **ჯოია** (დოკ., I, 220); სამებისა **ჯოესშვილი, ჯოია ჯოესშვილი**, ქაიხოსრო ბარათაშვილის გლეხები ერტისში, 1708 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო ბარათასშვილის მიერ სიონის ეკლესიისადმი (დოკ., I, 135); **ჯოია ჯოეშვილი** 1727 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შიო შალუტაშვილის მიერ ბეჟანისა და მისი შვილის ლუარსაბისადმი (იქვე, 223); „ქ. ბატონის ტფილელისა ქ. ერტის, 1721 წ. ჯოეშვილი სამებისა (მეორე)" (ვახუშტი, 47); სოფ. ერტისში მცხოვრები ნინია ჯოეშვილი 1826 წელს ნათლავს შვილს ბარბარეს, მიმქმელი ყოფილა თავისსავე სოფლელი იაკობ ზაზიაშვილი (489, 9, №31, №25, ფურ. 155); „ერტისელ ნინია ჯოეშვილს დაებადა ქალი, მონათლა მღვდელმა გიორგი აზარიაშვილმა. სახელი უწოდა ბარბარე. ნათლიად იყო ერტისში მცხოვრები იაკობ ზაზიაშვილი (489, №6, საქმე №31, ფურ. 154, 1826 წ.).

**ერტისში ჯოეშვილები მოიხსენიებიან 1688 წლიდან** (ერტისი, კოდა, ტბისი).

ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 96
*თბილისი 63*
*თეთრიწყარო 28*
*ახალგორი 1*

**ᲯᲝᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ // ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯოია**, ცხოვრობდა ტბისში, აქედანაა გვარი **ჯოიაშვილი.** „ქ. საჩინოშვილის ფარსადანასი ქ. ტბისს, 1721 წ. **ჯოია**" (ვახუშტი, 75): **ჯოია** (დოკ., I, 223).

,,ვახუშტით **ჯოიას** უცხოვრია სოფ. ტბისის ეკლესიის გვერდით, სულ მარტოდმარტო. ეტყობა იგი აქ ეკლესიის განძს იცავდა. ერთხელ, ლაშქრობიდან მომავალ მეფე ერეკლეს ამ ეკლესიის მახლობლად დაუსვენია. მამაცი მეფის წვეულებით გახარებულ **ჯოიას** ერეკლესათვის საკუთარი ოქროს ჯამი მიურთმევია. მეფეს სიამოვნებია ასეთი ძღვენი და უთქვამს:

სამაგიეროდ რასა მთხოვ, გლეხოო?

— არაფერს, — უთქვამს ჯოიას, — ერთი მეზობელი დამისახლე, რომ ადამიანი მყავდეს გვერდითო.

ცხადია, ჯოიას მარტოდმარტო იქ ვერ გაუძლია, ალგეთის პირას უფრო დაბლა ჩამოუნაცვლებია და ხალხის გვერდით დიდ ენაგეთში დასახლებულა'' (**ელენე ჯორჯიაშვილი,** არსენა ჯორჯიაშვილი, გამომც. ,,საქართველო'', თბ., 1967, გვ. 5).

,,ურიცხვი მტრების მუდმივი თავდასხმებითა და ომებით იავარქმნილ მხარეს XIX საუკუნის ბოლოს მეორე არსენა მოევლინა. სწორედ ამ საუკუნეში ალგეთის ხეობის ხალხის ცხოვრება წინაპართა თავგანწირვის, სიმამაცის ბურჯებზე აშენდა და ეს ბურჯები იქცა ახალი თაობის აღზრდის სულიერ წყაროდ. **ჯორჯიაშვილების** ძველთაძველი გვარიც, რომელიც მათივე წინაპარ **,,ჯოიას''**-გან იღებს სათავეს, ამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და თვითონვე იყო ამ ბურჯთა ერთი ლოდთაგანი'' (**ელენე ჯორჯიაშვილი,** დასახ. ნაშრ. 7).

,,ენაგეთში მცხოვრებ **გაბრიელ გაბრიელის ძე ჯოიაშვილს** 1830 წ. დაებადა ქალი, სახლი განათლა და მონათლა მღვდელმა ანტონ ცამაკურიძემ. სახელად უწოდა მელანია. ნათლიად იყო ენაგეთში მცხოვრები გლეხი ივანე გოდერძიშვილი'' (489, 6, №98, ფურ. 26); **სოლომონ კაციას ძე ჯოიაშვილი,** შვილები: პავლე, სოლომონი, ზაქრო, გიორგი, იასე სიმონის ძე ჯოიაშვილი, შვილი სოსიკა, იასეს ძმები ივანე, მიხა, დიმიტრი, გიგლა მოიხსენიებიან ენაგეთის ახალშენს 1873 წლის აღწერით (სცსსა, ფ. 254, №3, საქმე 115, №136, ფურ. 189-220); დიდ-ენაგეთელი სახელმწიფო ყმა გრიგორ იოსების ძე ჯოიაშვილი, მეუღლე ელისაბედ იოსების ასული 1881 წელს ნათლავენ შვილს ეკატერინეს. მიმქმელი ყოფილა ივანე სუხიტაშვილის ქვრივი ელისაბედ სვიმონის ასული (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თწ. 1); დიდ ენაგეთში მცხოვრები სახაზინო ყმა იასე იოსების ძე ჯოიაშვილი, მეუღლე ნინა ნიკოლოზის ასული 1883 წელს დიდი ენაგეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ნათლავენ გიორგის. მიმქმელი ყოფილა ივანე გიორ-

გის ძე კასრაძე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1); დიდ ენაგეთელი სვიმონ იაკობის ძე ჯოიაშვილი თავის ასულ ქეთევანს ათხოვებს თავისივე სოფლელ დავით სოლომონის ძე ღარიბაშვილზე (სცსსა, ფ. 489, აღწ. 9, თ/წ. №1, 1884 წ.); დავით შიოს ძე ჯოიაშვილი 1885 წელს მოიხსენიება მიხეილ ზაქარიას ძე კიკოლაშვილის თავდებად (იქვე, 1885 წ.).

ჯორჯიაშვილთა გვარში ცნობილია არსენა ჯორჯიაშვილი. არსენას გარდა, ბევრი კარგი ვაჟკაცი გაიზარდა ამ გვარიდან. ზოგი ჯორჯიაშვილებს დღეს სოფელში ჯორჯიაანთს ეძახიან.

არსენა ჯორჯიაშვილის უკვდავსაყოფად სოფ. ბოგვს 1934 წლიდან ჯორჯიაშვილი ეწოდა.

1906 წლის 31 მარტამდე ცნობილი იყო გვარი **ჯოიაშვილი.** 1 აპრილს მეფის ჟანდარმერიამ გენერალ გრიაზნოვის მკვლელის გვარად დაასახელა **ჯარიაშვილი,** ორი დღის შემდეგ შეცვალა გვარით **ჯავიაშვილი,** ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მონათლა **ჯორჯიაშვილად.** ასეთნაირად გაჩნდა **ჯოიაშვილიდან ჯორჯიაშვილი**. ჯორჯიაშვილთა რამდენიმე ოჯახი გადასულა მეტეხში და იქ დაწერილან **ბოგველებად** (ჯორჯიაშვილების სოფელს ადრე ბოგვი ერქვა ი.ა.) (დიდი ენაგეთი, ენაგეთის ახალშენი, კოდა, ჯორჯიაშვილი).

| | |
|---|---|
| ჯორჯაძე | 166 |
| *თბილისი* | *140* |
| *თელავი* | *18* |
| *გურჯაანი* | *3* |

**ჯორჯაძე** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **ჯორჯა.** შდრ. **ჯორა, ჯორბენა, ჯორდანე, ჯორყურა, ჯორჯა, ჯორჯაძე.**

„ქ. ავთანდილ სუფრაჯის ყმა ქ. ოშეთს 1721 წ. ჯორჯაძე" (ვახუშტი, 114) (ოშეთი).

**ჯორჯაძე** (1721 წ.), საკ. სახ. **ჯორჯა,** გვარში: **ჯორჯაძე** (ალ. ღლ., 252) (ახალშენი).

**ჯოჯიაშვილი** (1873 წ.), საკ. სახ. **ჯოჯ-ი** (კოლხ., 110, გალი); **ჯოჯილ** (საქ. სიძვ., III, დამატ. 3);

**ჯოჯო** [ადამა ცაუცასიცა] ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი; ბინადრობს კლდოვან ადგილებში. იტყვიან ტანდაბალ და გონჯ ქალზე. „ნინიკა ჯოჯიშვილი, მოიხსენიება დიდ თონეთში 1873 წ. აღწერაში" (სცსსა, ფ. №3, საქ. №127, აღწ. №319. ფურც. 175-209) (დიდი თონეთი).

**ჯყალამაშვილი** (1721 წ.), სავარ. საკ. სახ. **ყალამა.** შდრ. **ყალამი** (ფუნჯი), კალამი, ყალამქარი (სპარს.)-ყალმით (კალმით) ნახატი: „ქ. შერმადინიშვილის ბეჟანის ყმა ქ. კრეფას 1721 წ. **თანდილა ჯყალამაშვილი**" (ვახუშტი, 130) (კრეფა). **ჯ** აქ ართრონიული და იყოს.

# დანართი 1

## ბარათაანთ გაყრის წიგნში (1523 წ.) მოხსენიებული გვარსახელები*

**ხოჯა**[1] აზიზაშვილი, ხოჯა **მარქარა**[2], მაზმანაშვილი, გალიკაშვილი, შაღუბათასშვილი, მირიზანაშვილი, **ფარაზიზა**[3], **ასლამაზა**[4], **ხიზანა**[5], ელია, ბერუკა, თამაზა, ბექანა, სურამელა, თოფჩაშვილი **მიქელა**[6], გიორგი სვანიშვილი, ადუა, კაკუტა, მემარნიშვილი, **უსუფა**[7], ასატურა, **ალავერდა**[8], ბარამიშვილი, იაკობ, **ხარაზი**[9], ხოჯა **მარტიროზ**[10], ვერიჯან ოქრომჭედლიშვილი, ფარსელა, მუსეზა, მიხიაშვილი, მიტიჩა, ფირაიზა, ხანდამისშვილი, **ისმეილა**[11], იბრეიმა, შაყულაშვი-

---

* გვარ-სახელები მოგვყავს იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს დედანშია მოცემული.

[1] **ხოჯა** სხუათა ენაა, ყუერულს ჰქვიან და დიდვაჭარსაცა (საბა), სასულიერო პირი-მღვდელი მასწავლებელი. აქედან შემდგომში გვარი **ხოჯაშვილი**. ხოჯაშვილი ავთანდილ, სულხანა, 1721 წ. აღწ. მებატონეები ქციაში.

[2] **მარქარა** (სომხ.) „წინასწარმეტყველი", ამავე წელს **მარქარაშვილები** (გვ. 125) (იხ. მარქარა, მამასახლისი, 1701/11 წ. აღწ. ყაფლანიშვილების მემამულე წრაურთაში არიან ყმა გლეხებიც. არის მარქარას სოფელიც ყაიყულში (იას. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III-IV, 404).

[3] **აზიზი** (არაბ.) „ძვირფასი, საყვარელი, წმინდა" (ქართ.), ნაზი, სათუთი, ნებიერი. შემდგომში მამაკაცისა და ქალის საკ. სახელი, გვარი **აზიზასშვილი**, მოურავი, ყაიყულის შუკების სოფლისა (იას. ლორთქიფანიძე, ქვ. ქართლი, ნაწ. III-IV, 404).

[4] **ასლამაზა** ქართული საკ. სახელი, აქედან გვარი **ასლამაზაშვილი**, ასლამაზიშვილი (ალ. ღლ., 76).

[5] **ხიზანა** (ი) (სპ.) ლტოლვილი, შეხიზნული (საბა, 456); აქედან გვარი **ხიზანაშვილი**, ხიზანიშვილი.

[6] **მიქელა** **მიქაელ** (უცხ.) ერის მთავარი, გინა ღმერთი ძლიერობს (საბა, 214), აქედან გვარი **მიქელაძე, მიქელაშვილი, მიქელაია, მიქელაიშვილი, მიქელბაია, მიქელთაძე**.

[7] **უსუფა** (უსუპი) თათრული სახელი – **უსუფაშვილი**.

[8] **ალავერდ-ი** (არაბ. თურქ.) (ძვ.) ღვინის სმაში სიტყვა, რომლითაც სუფრის ერთი წევრი მეორეს სთავაზობს რაიმე სადღეგრძელოს (თურქ. ღმერთმა მოგვცა). შემდგომში საკ. სახ. ალავერდა-ალავერდაშვილი, **ალავერდიშვილი**.

[9] **ხარაზი** (არაბ.) წუღა-მაშიის მკერავი (საბა, 452); აქედან გვარი ხარაზაშვილი, ხარაზი, ხარაზია, ხარაზიშვილი (ხარაზოვი).

[10] **მარტიროზა** (სპ) სომხური სახელი მარტიროსოვი (მარტიროსიანი სახელი მარტიროს (ბერძ.) ნიშნავს მარტვილს, წამებულს. სომხურის გზით შესულა ქართულშიც. შდრ. მარტვილობა წმინდისა შუშანიკის. გვარი **მარტიროზაშვილი** (მარტუილოზაშვილი).

ლი, ამად ფირაპი, ყაზია, მოლა ასანა, თათარი **ალიბეგ**[12], მოლა აჯაი, ამად ყული, აღა ყულისშვილები. **გავერდა**[13], **ნაზარა**[14], ხანყული, **სულთანა**[15], ორუჯი, **ალიხანა**[16], დემურა, ამირაზა, საფარა, მახსუდ, ფირადა, უსუფა, სკანდარა, **ასანა**[17], სეიდი, **ნავროზა**[18], ამირველი, **ბუდახა**[19], ყასუმა, ემინა, მახარებელი, ევანეზა, დათუა, მიტიჩა, ვართანა, ფირაზა, გზირისშვილი, ნადირა, ჯიმშერა, აკოფა, თანდულასშვილი, თევდორე, პატი, ამათოზა, ნიკოლოზ, ზურაბა, ხეჩუა, ვართანაშვილი, ფეტვერა, **ტერტერა**[20], როსტომაშვილი, ავაქა, ივანა, ბაროქა, აბულვართა, ფიჩიაშვილი, ალადა, **ასანბეგა**[21], დევალა, ფეტურა, არღანა, ახოკა, ხუდუმა, კონსტანტა, ხოციკა, ამექუა, ამაშვარა, ზაალა, ოსამანა, ანანა, ბაინდურა, სარიკა, ამირზა, იარაზიზა, ყაზა-

---

[11] **ისმეილა** (ებრ.) იშმაელ, „ღვთის მოსმენა", სიტყვა-სიტყვით „ისმინა ღმერთმა", „ღმერთი ისმენს", საკ. სახ. ისმაილა გავრცელებულია მუსულმანურ სამყაროში. ბიბლიური ლეგენდის თანახმად, ღმერთმა ისმაილი (მუსულმანთა წინასწარმეტყველი, რომელიც არაბების მამამთავრად ითვლება) აჩუქა დედას მისი ლოცვა-ვედრების პასუხად, სწორედ ამიტომ დაერქვა მას ასეთი სახელი (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 347).

[12] **ალიბეგ** (თურქ.) **ალ**-ღმერთი, **ბეგ**-ი. ფეოდალი, მემამულე, შემდგომში ქართველური საკუთარი სახელი ალიბეგ (დოკ., I, 33), ალიბეგა (საქ. სიძვ., II, 50) **ალიბეგაშვილი** (ალიბეგოვი).

[13] **შავერდა**, სავარ. (სპ.) **შაჰვერდი**, ღმერთმა მოგვცა შდრ. ალავერდი, ბოგდან, ასტვაწატური... შემდგომში შავერდა-დან გვარი შავერდაშვილი (შავერდოვი).

[14] **ნაზარ** (უცხ.) ყვავილი (საბა, 244), **ნაზარი** (არაბ.) „მზერა", „გამოხედვა", „ყურადღება", „მოსაზრება", შდრ. **ნაზარაშვილი, ნაზარიშვილი (ნაზაროვი)**.

[15] **სულთან-ი** (სულთნისა) (არაბ.) მონარქი, ხელისუფალი, მეფის ტიტული, ზოგ მაჰმადიანურ ქვეყანაში (ქეგლ, 414) სულთანა, საკ. სახ. (დოკ., 1, 7), აქედან გვარი **სულთანიშვილი** (სულთანაშვილი).

[16] **ალიხანა** (თურქ.) ალაჰ-ღმერთი, ხანი, მებატონე, გინა ერისთავი არს (საბა, 452). აქედან ქართ. საკ. სახ. ალიხან (ქართ. ცხ., II, 517) **ალიხანაშვილი** (ზოგჯერ რუსული დაბოლოებით **ალიხანოვი**).

[17] **ასან** (სპ.) „ადვილი". აქედანაა **ასანაშვილი, ასანიშვილი, ასანიძე** (ასანოვი).

[18] **ნავროზ-ი** სხუათა (სპარსთა) ენაა, ქართულად ბუნიობა ჰქვიან (დღე და ღამის გასწორებასა (საბა, 244), აქედან ქართ. საკ. სახ. **ნავროზ-ი** (ალ. ღლ., 168), **ნავროზა** (საქ. სიძვ., 1, 21) **ნავროზაშვილი** (ზოგჯერ დამახინჯებულად ნაროზაშვილი). სპარსეთში **ნავროზი** ახალი წლის დღეს ნიშნავს.

[19] **ბუდახა** (თურქ.) „ტოტი", „რტო", „შტო". ქართ. საკ. სახ. **ბუდახა** (1536 წ. ბარათაანთ გაყრის წიგნი), აქედან გვარი **ბუდახაშვილი**. მოგვიანებით რუსული გაფორმებით **ბუდაღოვი**.

[20] **ტერტერა**. **ტეერ** (სომხ.) მამა, მამაო, უფალი, პატრონი, მღვდელი, ხუცესი, მოძღვარი, გვარი **ტერტერაშვილი** (გვ. 184), მოგვიანებით **ტერტეროვი**.

[21] **ასანბეგა**. სავარ. (არაბ.) სახელიდან **ასან** „კარგი", „მშვენიერი", თურქ. საკ. სახ. ხასან II ჰასან, ასან-ბეგი-ფეოდალი, მემამულე, აქედან გვარი **ასანბეგიშვილი**.

ნასშვილები, მუსეზასშვილები, ვაქინაშვილები, ნიკოლოზ, წამალაშვილი, გოგოჭასშვილი, იორდანე, გიორგი, გამგებელი, ფარსიღაშვილი, ქამსა, სვიმონა, გოგია, გულისადები, იოვანე, მახარებელი, ამიქუა, სამანა, შამისისმედი, მჭედლისშვილი, ვარქიელაშვილი, ოქრომჭედელი, იონაშვილი, აზართელა, აშეკაშვილი, ამირა, ასაღანა, ალექსა, ნუურა, ხოჯუმაშვილი, ევანეზა, ფირიჯანა, ამირანაშვილი, **ასატურაშვილი**[22], პოლოზა, ლაზახაშვილი, ამალკაშვილი, ტერტერაშვილი, **სარგისისშვილი**[23], ჩარგაზაშვილი, ჭარებაშვილი, როსტევანაშვილი, ფიჩუაშვილი, ერჯასშვილი, ვართეშვილი, მირუა, იარამაშა, ყავლიასშვილი **ამირხანა**[24], ნასყიდა, ვართევანა, სულხანა, ნანუა, მხითარა, ხეჩატურა, მურადა, მამა, გიორგი, გრიგოლა, ევანეზაშვილი, მხითარაშვილი, მამუკა, მარქარაშვილი, პეტროზაშვილი, **დოლმაზა**[25], ამირანა, პაპია, ელისბარა, იოანესშვილი, ბექიასშვილი, ფირაიზასშვილი, მანდოა, მახარა, **მირზა**[26], ხარებასშვილი, ქინძიკასშვილი,

---

[22] **ასატურაშვილი** (სომხ.) ასტვაწატური „ღვთის ბოძებული", მოგვიანებით რუსული დაბოლოებით **ასატუროვი.**

[23] **სარგისაშვილი სარგის** (ასურული) მნიშვ. დაუდგენელია, შემდგომში **სარქისაშვილი**, ხოლო მოგვიანებით, რუსული დაბოლოებით **სარქისოვი**. იგივე სახელი სომხურში შესულია სარქის-ის ფორმით. სარგისის სახელით ცნობილია ბევრი ისტორიული პირი, განსაკუთრებით თმოგველთა და ჯაყელთა საგვარეულოდან.

[24] **ამირხანა. ამირა**, უფროსი (საბა, 11) (არაბ. ისტ.) არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში. (ქეგლ, 25), **ხანი** (თურქ.) მებატონე, გინა ერისთავი არს (საბა, 452); ამირხანაშვილი მოგვიანებით რუსული დაბოლოებით ამირხანოვი. ამირხანაშვილების ადრინდელი გვარი ანდრიაშვილი იყო.

[25] **დოლმაზ-ა** (თურქ.) დაუბრუნებელი, აუვსებელი, **დოლმაზა** საკ. სახელი (საქ. სიძვ., II, 253), ამ სახელის გავრცელებას მოწმობს ჩვენში გვარი დოლმაზაშვილი. მოგვიანებით რუსული გაფორმებით **დოლმაზოვი**.

[26] **მირზა** (არაბულ-სპარს.) სიტყვა. ამირზადე — „ამირის შვილი", **ამირი** შუა აზიაში არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს, ამიროზით დაიწყო თავისი კარიერა თემურ-ლენგმა, რომელმაც შემდგომ თითქმის ნახევარი აზია დაიპყრო, მაგრამ მაინც შეინარჩუნა ამირის ტიტული და არ გაცვალა იგი უფრო საპატიო წოდებაზე-ხანზე (ამ ტიტულს ატარებდნენ მონღოლთა ბელადის ჩინგიზ-ხანის შთამომავლები, თემური კი მათ არ ეკუთვნოდა), ხოლო თემურის შვილებმა მიიღეს წოდება **ამირ** (ემირ)-ზადე. აქედან თავბოლოს მოკვეცით მიღებულია **მირზა**, რომელიც გვხვდება როგორც ტიტულად, ისე საკ. სახელად მაშასადამე, მისი თავდაპირველი მნიშვ. „უფლისწული", „ბატონიშვილი", მოგვიანო ხანებში ასე მიმართავდნენ აგრეთვე მდივან-მწიგნობრებს, მწერლებს, ოღონდ ამ შემთხვევაში მირზა სახელის წინ დაისმის მაშინ, როცა „უფლისწულის" მნიშვნელობით ის სახელს მოსდევს. ჩვენში ამ სახელის გავრცელებას მოწმობს გვარი **მირზაშვილი** და გეოგრ. სახ. **მირზაანი** (ზ. ჭუმბურ., დედაენა ქართ., 357). შდრ. (სომხ.) მირზოიანი (ბერძ.) მირზოევი.

სალუყაზანასშვილი, შალვასშვილი, თევდორა, დათუა, ფერიაშვილი, შირველასშვილი, ქიტია, ოსეფა, იშნაორა, ხიზანა, ლოსიაშვილი, ბერუა, იოკიმა, თანდილაშვილი, დურსუნაშვილი, ლომიასშვილი, ლორაშვილი, შალამბარაშვილი, მამადა, ფირია, **ახვერდა**[27], ალია, შაქარა, მოლა მიხი, შავერდი, ამზა, ყულია, ფარეჯანასშვილი, შოშიტასშვილი, შუამაშვილი, მირიაშვილი, არაქელასშვილი, ყათაშვილი, აზარა, ვათუა, წატურა, ბირინასშვილი, ასლამაზა, მელიქა, ვარდი, მახარებლისშვილი, ამირიძე, მანველისშვილი, ოქროპირიშვილი, ბერუკა, ლომია, გოგია, პეტრესშვილი, პაპანა, როსაბასშვილი, სულხანა, ქიტია, ნავროზა, ასლამაზა, მარქარა, ქრისტესია, შაველა, თამარაშვილი, ყულია, საღირაშვილი, დოვლათა, სურამელაშვილი, ჯარასშვილი, თერაშვილი, გოგანაშვილი, გოგიჩა, ზაქარია, გრუჩა, თეკლიაშვილი, მანდიაშვილი, პარნოშა, ტყაპუნაშვილი, **ჯანიბეგა**[28], მირიჯანა, მატაბაშვილი, ფერისიძე, ზურაბა, ყაზარა, ბეგიჯანა, იარა აზიზასშვილი, მჭედელი, პაპიაშვილი, კავნოშვილი, ბერიძე, ივანაშვილი, გიორგი, ყალაბა, ჯანსაოშა, იარაღა, მათოზა, ნარიმანა, ყულიჯანა, ჯავახისშვილი, მამა, მამულა, აღდგომლისშვილი, აბესალამაშვილი, ბასილიშვილი, ყაზნარასშვილი, მამაცა, ყარამანაშვილი, ბერიკა, გიუა, გულუა, ამზუა, უმეკა, სულინასშვილი, ჯანიაშვილი, როსტევანი, შალუტა, ივანა, მიქელა, მირუაშვილი, ზაქარა, გიორგი, მაზანასშვილი, მელიქასშვილი.

---

27 **ახვერდა, ახ** (თურქ.) ღვთაება, **ვერდი** ბოძება, მოცემა. ე.ი. ღვთის ბოძებული, შდრ. ალავერდა, (სომხ.), ასტვაცატური (რუს.), ბოგდან (ძვ. ირან.) ხოდედან, ბოგდად (ქართ. ბაღდადი) სახ. ბაგრად(ტ). აქედან გვარი ახვერდაშვილი (სომხ.) ახვერდიანი (აზერბ.) ახვერდოვი.

28 **ჯანიბეგა, ჯანი,** (ინდ. სპარს.) სული, **ბეგა, ბეგი** (თურქ.) ფეოდალი, მემამულე, (აზერბ. თურქ.), აქედან გვარი **ჯანიბეგაშვილი**, შდრ. **ჯანიბეკოვი** (აზერბ.).

# დანართი 2

## XVIII-XIX საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული სახელები

აბაზა, აბესალამა, აბუა, აბულა, აბულვართა, ადიბეგა, ადონა, ადუა, აზიზა, ათუა, ალადა, ალიხანა, ალთუნა, ალექსანა, ალუა, ამაშვარა, ამექუა, ამილღანბარ, ამირა, ამითბეგა, ამზა, ამირხანა, ამირასლანა, ამირველი, ამირიზა, ამირზა, ამბალა, ამიქუა, ამირბეგა, ანანა, ანდრიასა, არღან, ასანა, ასაღანა, ასლამაზა, ასლუა, ასატურა, აფუა, ალა, აქელა, აქუა, ბაბა, ბაბულა, ბადუა, ბაინდურა, ბაროქა, ბარზი, ბარძი, ბალია, ბაღუა, ბალდია, ბალდასარა, ბაისილი, ბატატა, ბეკუა, ბერი, ბერუკა, ბეგვარდი, ბესია, ბერუნა, ბირთველი, ბირთვე-ლა, ბიდუა, ბოთიკა, ბუდახა, ბუზია, ბუქია, ბუღუა, გამსახურდა, გასპარა, გაროზა, გეგელა, გელიტა, გელია, გელუა, გიუნა, გიუა, გზირი, გოზალა, გორჯასპი, გრუჩა, გულისა, გულისადები(ა), გულია, გულა, გულისვარდი, გულაიზა, გურჯუა, დათონა, დანუა, დარბაისე-ლი, დევალა, დივანა, დოლმაზა, დონმაზა, ებალა, ებაღა, ედიშბერა, ედია, ევადა, ევანეზა, ელია, ელუა, ელიკა, ემინა, ვათუა, ვერძიელა, ვახუშტა(ი), ვარამა, ვაეყაფარი, ველიჯანა, ვერია, ველიხანა, ვლასა, ვრაზა; ზაზუტა, ზაქუტა, ზებედა, ზურამაზა, ზუბუა, ზუბიტა, თათარა, თანია, თუმანა, თურმანა, ტანვარა, იარამია, იარაზიზა, იასა, იოკიმა, იოსაფათი, იმარინდო, ინდილა, ინდო, იონათამა, იობა, ილალა, ისმეილა, იშნაორა: კაკუტა, კახუა, კაცია, კიკუა, კიწუა, კონსტანტა, კონსტანდილე, კვთელა, კურდღელა, ლალუა, ლამაზა, ლამუა, ლაჩინა, ლიპარი, ლომი, ლომკაცი, ლომიტა, მაზია, მაზანა, მაზიტა, მახარა, მახარებელი, მამა-მამადა, მამუა, მამისიმედი(ა), მამუ-ლა, მანათურა, მანდენა, მანდუა, მარტიროზა, მათარსა, მატუა, მგალობელი, მიტიჩი (ა), მიყლუა, მჟაუნა, მუსეზა, მჭედელი, მღებარი, ნაზარა, ნავროზა, ნაობ, ნაომი(ა), ნავასართა, ნანუა, ნასიბა, ნინუა, ნურალა; ოანა, ოთია, ოთელა, ოსამანა, ოსია, ოსიყმე, ოიკა, ორუჯა, ოქროპირი, ოჰანა: პაპა, პაპალა, პაპია, პაპნა, პატარკაცი,; რევანდა, საამ, სამანა, სამებისა, სამებელი, სამნუა, სალამხანა, სალუქა, სარიკა, სიყმია, სკანდარა, სოლალა, საფია, საქია, სუხა, სულინა, სურმელა; ტატია, ტერტა, ტერმინა, ტერხუგაზა, ტერფერსალა; უანა, უთრუთი, უმეკა, ურასა, ულუხანა, ურქმაზა, ფანოსა, ფასუა, ფარსუა, ფარემუ-

ზა, ფინეზა, ფირია, ფირალა, ფირსო, ფირყულა, ფიბუა, ფარსელა, ფირაიზა, ფეტვერა, ფირაზა, ფირუმა, ფირია, ფოცხვერა, ფრანგისტანი; ქამსა, ქიშვარი, ქოჩა, ქოჩია, ქრისტესია; ღალუა, ღთისია, ღონენა, ყაია, ყაითა, ყაზია, ყაზუა, ყალაბა, ყანდია, ყარახანა, ყაფარი, ყულა (ია), ყუჯია, შავერდა, შაველა, შალუტა, შამშია, შუშუა, შანაზარა, შურუა, შაღუბათა, შინა, შიაუა, შიშნია, შედანა, შემაზა, შიოშ, შოგია; ჩაქუჩა, ჩერქეზა, ჩიტა, ძამა, ძამუა, ძულია, წახიზუა, წერელა; ხაბაზი, ხანყულა, ხარაზი, ხანა, ხეჩინა, ხეჩნეზა, ხეჩუმა, ხიზანა, ხოსია, ხუცია, ხუცესი; ჯანია, ჯანსაოშა, ჯანუა, ჯვარისა, ჯაშიტა, ჯოია, თევდორე (თედო). **თედო ჟორდანიას „ქრონიკებში"** (წიგნ. I, II და III), ვხვდებით ასეთ სახელებს: აბაშაბ, აბუკაჰ, აბულ, აბულეთ, აბუსაკრ, ავგიონ, ავჯაშერ, ათიანა, ამესია, ამილბარა, ამოანი, ანახანუმ (ქალ. სახ.), ანიკა (ქალ. სახ.), ანუკა, ანუსია (ქალ. სახ.) ანჩელი, ასათია, ასთანდარ (ქალ. სახ.) აშოთან, ბაადურ, ბანდურ, ბაინდურ, ბაამან, ბაბილა, ბადა, ბათნია, ბასილ, ბეენა, ბედიან, ბევენა, ბექენ, ბეშქენ, ბელე, ბორენა (ქალ. სახ.), ბოცო, ბრათა, გაბოში, გაჯასპ, გოგანია, გონგლია, გორჯასპ, გულამშარ (ქალ. სახ.), ევაგრე, ევდემოს, ევდემონ, ელბადურ, ელაშერ, ელდიგუზ (იხ. ორბელიანი ელდიგუზ), ელიმირზა, ელმელიქ, არაშაჰრი, (დადიანი ბედანის ძე) ერაჯ (იხ. ბარათაშვილი ერაჯ), ესაბერ, ესფოფოა, ეშიმა, ვართიკა, ველიჯანა, ვირშელ (იხ. ბარათაშვილი ვირშელ), ზებედე, ზევინა, ზუფუარი, თარგამოს, თახო, თემნა, თეონე, თმაგიშერ (ქსნის ერისთავის ვირშელის მეუღლე), იარალ (იხ. ბარათაშვილი იარალ), ინანა, ინდოა, იოაკიმ, იოასაფათ, იობ, კაცია, ისლამირზა (ერეკლე I-ის ძე), კლიმი, ლაპა, (იხ. რაჭის ერისთავი რატი), საიშ (სიაოშ, შიაოშ), სოლაღა, ქაჩიბა (ბარათა დიდის მამა), ქიშვარდი, ქორქი, ღუნია, შაბურ, შოშიტა, ციცი, ძამია, ჯანიბეგ, ჯიმშიტა და სხვ.

**ექვთიმე თაყაიშვილის რედაქციით გამოცემულ „საქართველოს სიძველენი"** (ტ. I, II და III) ვხვდებით ასეთ სახელებს: ათინა, აღალო, აერუმა, ბერი, ბანგიჯასპი, ბაისონღულა, დუშია, ზაქუმა, ზაქუმბეგი, ინახა, თადია, თავლი, კანონა, კაცუა, მაზიტა, მედია, ოქროპირი, ჟეშთელა, როშაქი, სოლა, სოლაღა, ფარვნა, ქუბა, ქუაბული, ხვარაშანი, ხანვერდი, შაველი, შამფურა, შაფურა, ჯავახი, ჯულაბა, შამანდუხა, ჩაღათა, ბაბუჩა, ციხუა, მოშფარი და სხვ.

**ქართლის სამართლის ძეგლებში** (ტ. IV, 1972 წ. ი. დოლიძის

რედაქციით) ვხვდებით ასეთ სახელებს: ბეგა, ვარძულა, ვაძია, კუირიკა, კაკილა, ებია, გულია, სულია, მხთისია, მამუჩა, მახანა, აშოთან, თანია, ყაია, ტატია, გოგიჩა, ოსიყმა, როსტია, მარკოზა, შოშია, ყაიმანი, სოხონა, აშოთან, პაპო, ხახუტა, ხახუა და სხვ.

თავად ციციშვილთა შორის ვხვდებით **მელალიბეგ ციციშვილს, ჩიქავაძეებში** სახელს **საზუარელი** და ა.შ.

## დანართი 3

### სახელები სადაურობის მიხედვით, მათი შინაარსი

ამ გზით გაჩნდა სახელები: მზისავარ, ღვთისო, ვეფხია, ლომიკა, მგელიკა, ქალთა ადგილობრივი სახელები: **დალი**-სვანური ნადირობის ღვთაება, სამძიმარა-ღვთაება მთაში და მისთ.[1] ჯერ ნ. მარმა და შემდეგ **ა. სვანიძემ** გამოიკვლიეს, რომ უძველეს ქართულ ხალხურ სიმღერებში დამოწმებული სახელები (**ალალე, ვარადო, რაშა, ორირამა, ნანა, დელია, ლალე**) წარმოშობით წარმართულ ღვთაებათა სახელები ან ეპითეტები უნდა იყოს. ა. სვანიძე, კერძოდ, ამბობს: „სახელები, როგორიცაა, **ნანა, ნანაია, რანუნი, რანინა, ნანინა, ანინა** და შემდგომ: **დილა, დელია, დელა, ლალე, ლილე, არალე, ალალე, ალათა, ბალათა, ირრია, ია, უა, ეა, ვარადო** აუცილებლად წარმოადგენენ ღმერთების საკუთარ სახელებს“[2]. ამათ შორის, როგორც მკვლევარი ვარაუდობს, ხეთური წარმოშობის ღვთაებათა სახელებიც გვხვდება (მაგ., **ალალე**)[3].

შემდეგი რიგი ესაა **ბიბლიური წარმომავლობის სახელები**, რომლებიც ჩვენში ორი არხით გავრცელებულა. ერთია **ზეპირი**

---

[1] ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ. 39.

[2] ა. სვანიძე, შესავალი ალაროდიელ ტომთა ისტორიისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 303.

[3] ალ. ღლონტი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

**ტრადიცია,** მეორე-**მწიგნობრობა.** ამ მეორის საშუალებით ბიბლიური სახელები, უწინარეს ყოვლისა, დამკვიდრებულა ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა თარგმანებით, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში არსებულა. **უცხოური ელემენტი ქართველურ ანთროპონომიაში ჯერ კიდევ მანამდე დამკვიდრებულა, სანამ ქრისტიანული მწიგნობრობა გაჩნდებოდა.** პირველ რიგში აქ აღსანიშნავია წმინდანთა, მოციქულთა სახელები, რომლებიც ერთობ გამძლენი არიან და დიდი პოპულარობით სარგებლობენ ქრისტიან ხალხებში საერთოდ და მათ შორის ქართველებშიც — **პეტრე, პავლე, ანდრია, იოვანე, მათე, მარკოზ, ლუკა, იაკობ, სვიმონ, ფილიპე, ნათანიელ, ბართლომე** და სხვათა სამოცდაათთა სახელი; წმინდანთა წინასწარმეტყველთა სახელები: **მოსე, არონ, ისუ, გედევან, დავით, სოლომონ, ნათან, ელეა, ელისესა; წმინდანთა მღვდელ-მოძღვართა: ნიკოლოზ, ბასილი, გრიგოლი, იოვანე, ოქროპირი, ამბერკი, ეგნატი, მძლე მოწამეთა ღვაწლის მქონე წმინდათა მხედართა: გიორგი, დიმიტრი, ევსტათი, თევდორე, არტემი, მერკვირი, პროკოპი, პანტელიომონოსი; წმინდათა მამათა: საბა, ანტონი, ათანასე, მაკარი, ეფთვიმი, ილარიონ, პახუმი, სერაპიონი, წმინდან-ქალწულ-მოწამეთა: ნინო, თეკლე, ირინე, მარინე, ბარბარე, ნასიმა, პარასკევა, რიმსიმე, გაიანე** და სხვ.

**ებრაული** და **ძველებრაული სახელები,** რომელთა დიდი ნაწილის წყარო ძველი და ახალი აღქმის წიგნებია: **აბელ-ი** (ძვ. ებრ.) „ნელი ქარის ქროლა". ეს სახელი ერქვა ბიბლიური ადამის ვაჟს, რომელიც ლეგენდის მიხედვით უდანაშაულოდ მოკლა მისმა ძმამ **კაენმა.** ამ სახელისგან ქართულში ნაწარმოებია გვარი **აბელიშვილი. აბესალომ** (ძვ. ებრ.) „მამა მშვიდობისა", „მამა ქვეყნისა", **აბრამ** ძვ. ებრაული სახელია, ნიშნავს „მამა სიმაღლისა" ან „ამაღლებული", **ადამ** (ძვ. ებრ.), „თიხა" (წითელი მიწა), „ადამიანი". **ამბაკო** (ძვ. ებრ.) ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელია, ნიშნავს „მოხვევას", „ჩახუტებას", აქედან კი აძლევდნენ აგრეთვე გადატანით მნიშვნელობას: „ღვთის მოყვარე" ან „სიყვარული ღვთისა". **გაბრიელ** (ძვ. ებრ.) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ჩემი ძალა ღმერთია", მისი შემოკლებული ფორმაა **გაბო. გედევან** (ძვ. ებრ.), „მჭრელი". **დავით** (ძვ. ებრ.) „საყვარელი", სხვაგვარი გააზრებით „წინამძღოლი". **ელდარ** (ძვ. ებრ.) „ღვთის ნაჩუქარი" ან ბერძნ//ირან. „თავადი". **ელია** (ძვ. ებრ.)

„ღმერთი-სიმაგრე ჩემი", ან „ღმერთი ჩემი-იელოვა". ელიაზარ (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა", „ღვთის შემწეობა" (სიტყვასიტყვით: „ღმერთია შემწე"). მისგან მიღებულია დღევანდელი სახელი ლაზარე, რომლის მეშვეობით ნაწარმოებია გვრები: **ლაზარაშვილი, ლაზარეიშვილი, ლაზარეშვილი, ლაზარიაშვილი (ლაზაროვი), ლაზარიშვილი, ლაზარია, ემანუელ, ემანუილ,** (ძვ. ებრ.) „ჩვენთან არს ღმერთი". **ერემია** (ძვ. ებრ.) „მაღალი" (სიტყვასიტყვით: „ღმერთი აღამაღლებს" (ძვ. ფორმაა იერემია, **ესაია** (ძვ. ებრ.) „ხსნა უფლისაგან", „ღვთისაგან მოვლენილი დახმარება". **ზაქარია** (ძვ. ებრ.) „ღვთის მიერ დაუვიწყარი" (სიტყვასიტყვით „ღმერთს ახსოვს"); მეორეგვარი ახსნით „მსახური ღვთისა". **თომა** (ძვ. ებრ.) „მარჩბივი" ანუ „ტყუპის ცალი" („ტყუპთაგან ერთ-ერთი"). **იაკობ** (ძვ. ებრ.) „მომყოლი", „მიმდევარი" (სიტყვასიტყვით: „მოსდევს", „მიჰყვება") თავდაპირველად ნიშნავდა ტყუპთაგან მეორედ დაბადებულს, შემდეგ კი მიეცა მნიშვნელობა ღვთის მიმყოლის ანუ ღვთის კვალზე მავალისა. **ილია** (ძვ. ებრ.) ებრაულად ნიშნავს „სიმაგრე ღვთისა" (სიტყვასიტყვით, „ღმერთი სიმაგრე ჩემი", ან „ღმერთი ჩემი-იელოვა"). ებრაულიდან შესულია ბერძნულში, სადაც მიღებული აქვს მნიშვნელობა „მზიანასა", „მზიურისა" (იხ. ელია); ბერძნულ მითოლოგიაში იგი ამინდისა და ჭექაქუხილის ღმერთად ითვლება. **ილია** საქართველოში ფართოდ გავრცელებული სახელია, ერქვა მრავალ გამოჩენილ პიროვნებას. აქ საკმარისია გავიხსენოთ XIX ს. უდიდესი საზოგადო მოღვაწე **ილია ჭავჭავაძე, ილია**-ს კნინობითი ფორმებია: **ილა, ილო, ილიკო, იობ** (ძვ. ებრ.) ნიშნავს „დევნილს", სხვაგვარი მნიშვნელობით „მომნანიებელს". **იოველ** (ძვ. ებრ.) „უფალი", „ღმერთი" (სიტყვასიტყვით: იელოვა-ღმერთი). **იოთამ** (ძვ. ებრ.) „წმინდა არს ღმერთი". იონა (ძვ. ებრ.) „მტრედი", **იორამ** (ძვ. ებრ.) „ღმერთი მაღალია", **იორდანე** (ძვ. ებრ.) „მდინარე", „მდინარება". ეს სახელი ჰქვია მდინარეს პალესტინაში. **იოსებ** (ძვ. ებრ.) „გამრავლება" „მატება" (სიტყვასიტყვით: ის (ე.ი. ღმერთი) გაამრავლებს" „შეჰმატებს"). **იოსია** (ძვ. ებრ.) „ღმერთი იცავს". „ღმერთი ამაგრებს", **ისაია** (ძვ. ებრ.) „ხსნაუფლისაგან", „ღვთისაგან მოვლენილი დახმარება". **ისაკ** (ძვ. ებრ.) მოცინარი (სიტყვასიტყვით „ის გაიცინებს"), ბიბლიური გადმოცემის მიხედვით, პატრიარქ აბრამის ცოლს სარას, რომელსაც დიდხანს ცოლი არ ჰყავდა, მოხუცებულობის ჟამს უწინასწარმეტყველეს, რომ ვაჟი გაუჩ-

ნდებოდა. მან არ დაიჯერა ეს და გაიცინა. შემდეგ კი, როცა წინასწარმეტყველება აუხდა, ვაჟს **ისაკი** დაარქვა. **ისმაილ** (ძვ. ებრ.) „ღვთის კაცი“, „ღვთის ნაჩუქარი“. **მალაქია** (ძვ. ებრ.) „ჩემი (იგულისხმება ღვთის) გაგზავნილი“, ე.ი. „ღვთის მოციქული“. **მანასე** (ძვ. ებრ.) „დავიწყებული“ (ან „დამვიწყებელი“). **მიქელა** (ძვ. ებრ.) „ღვთის სწორი“, „ღვთაებრივი“ (სიტყვასიტყვით: „ვინც ღმერთივით არის“). **მოსე** (ძვ. ებრ.) „წყლიდან ამოყვანილი“ („გადარჩენილი“). **მოსე** ერქვა ებრაელთა სჯულმდებელს, რომელიც, ბიბლიური გადმოცემის თანახმად, მდინარე ნილოსში მცურავ აკვანში იპოვეს და ეგვიპტის დედოფალმა იშვილა. სხვაგვარი ახსნით, ეს სახელი ძველეგვიპტურია და ნიშნავს „ბავშვს“. მისი აღმოსავლური ფორმაა **მუსა. ნაზარი** (ძვ. ებრ.) „ღვთისადმი შეწირული“ (სიტყვასიტყვით: „მან თავი ღმერთს შესწირა“, „ღმერთს უძღვნა“). ამავე ფუძისაგანაა ნაწარმოები იუდეველთა ქალაქის სახელწოდება **ნაზარეთი. ნაომ, ნაუმ** (ძვ. ებრ.) „ნუგეში“, **ნოე** (ძვ. ებრ.) „ნუგეში“. ბიბლიური ლეგენდის მიხედვით ნოე ერქვა იმ კაცს, რომელიც წარღვნას გადაურჩა, წარღვნის დროს მან თავის მიერ აგებულ კიდობანში შეიყვანა ცოლ-შვილი და თითო წყვილი სულიერი არსება, რომლებიც ამ გზით დაღუპვას გადარჩნენ. **ონანა** (ძვ. ებრ.), აქედანაა გვარი **ონანაშვილი. ოსე** (ძვ. ებრ.) „შველა“, „ხსნა“. **რაფაელ** (ძვ. ებრ.) „ღვთის შემწეობით განკურნებული“ (სიტყვასიტყვით: „ღმერთმა განკურნა“). **რუბენ** (ძვ. ებრ.) „ნახე შვილი“, „შეხედეთ, შვილი!“ **სავლე** (ძვ. ებრ.) „ნათხოვნი“ (ღვთისათვის), „ნავედრები“ (თხოვნა-ვედრებით მიღებული), „სასურველი“, **სამოელ** (ძვ. ებრ.) „ღვთის მიერ შესმენილი“ სიტყვასიტყვით: ღმერთმა შეისმინა (თხოვნა, ვედრება)“, **სამსონ** (ძვ. ებრ.) „შესმენილი“, „გამგონე“ (სიტყვასიტყვით: ღმერთმა გაიგონა“, იგულისხმება, რომ ღმერთმა შეისმინა ლოცვა-ვედრება). ძველი ფორმაა **სვიმონ,** ერქვა ორ მეფეს (XVI–XVII სს.) და მრავალ გამოჩენილ პიროვნებას. **სოლომონ** (ძვ. ებრ.) „წყნარი“, „მშვიდი“, „მშვიდობიანი“. ლეგენდარული ბერძნისა და ებრაელთა მეფის სახელია. შალვა (ებრ.) „მშვიდობა“. **შამშე, შანშე** (ძვ. ებრ.) „მზე“. ქალის სახელები: **ანანა** „გულკეთილი“, „გულმოწყალე“. **ასინეთ,** განმარტავენ, როგორც „ნეითისა“ (ნეითისადმი შეწირული“ ან „ნეითის მსახური“, ნეითი ანუ ნეითა ეგვიპტელთა სიბრძნის ღვთაების სახელწოდება). **ევა** „ცოცხალი“ ბიბლიის მიხედვით, ეს სახელი ერქვა ქვეყნად პირველ

ქალს, პირველი კაცის ადამის მეუღლეს. **ეთერ** ,,ვარსკვლავი''. **ელისაბედ** ,,ღვთის მოფიცარი'' (სიტყვასიტყვით: ,,ღმერთს ვფიცავ'' ,,ღმერთი ფიცია ჩემი''). **ივდით,** ,,იუდეველი'', ,,ებრაელი''. **იზაბელა** ძვ. ებრაული სახელის **ელისაბედის** ვარიანტია, გავრცელებულია ევროპულ ენებში. **ლია** (ძვ. ებრ.) ეტიმოლოგია დაუზუსტებელია: არსებობს რამდენიმე ვარაუდი, რომელთა მიხედვით შეიძლება ნიშნავდეს ,,დეკეულს'' ან ,,ანტილოპას'', ან კიდევ ,,დაქანცულს'', ,,დაღლილს''. **ლილი** (ძვ. ებრ.) მოეპოვება რამდენიმე განმარტება: 1. ,,შეუპოვარი'', ,,დაუმორჩილებელი'', ,,უარმყოფელი''; 2. ,,მწვანე'', 3. ,,ქალბატონი'', 4. ,,საყვარელი უფლისა''. დამაჯერებელი და საბოლოოდ მისაღები არც ერთი არაა, მაგრამ უფრო სავარაუდოდ ითვლება პირველი მნიშვნელობა (იხ. ზ. ჭუმბურ. დედაენა ქართ. 394). **სალომე** ,,მშვიდობა'', **სარა** ,,ქალბატონი'', **სუსანა** ,,შროშანა'' (შეადარეთ ყვავილის სახელწოდება სოსანი)[1].

**ქართველთა შორის გავრცელებული სახელთა დიდი ნაწილი ბერძნულია.**

### მამაკაცის სახელები

**აბიბო** – ,,საყვარელი''.

**ავქსენტი** – ,,ზრდადი''.

**ათანასე** – ,,უკვდავი''.

**აკაკი** – ,,არ – ავი'' (ე.ი. ,,კეთილი'', ,,უბოროტო'').

**ალეკო** – ,,მცველი''.

**ალექსანდრე** – ,,მამაცი მცველი'', ,,მცველი ვაჟკაცი''.

**ალფეს** – ,,ცვლილება''.

**ამბერკი** – ,,დამყნებელი''.

**ამბროსი** – ,,უკვდავთა (ღმერთთა) წილხვედრი'', ,,ღვთაებრივი''.

**ანანია** – (ძვ. ბერძნ.) ,,მადლი უფლისა'', შემწეობა უფლისა''.

**ანდრია, ანდრო** – ,,მამაცი'', ,,ვაჟკაცი'', ,,მხნე''.

**ანდრონიკე** – ანდრო ,,მამაცი''. ნიკე – ,,გამარჯვება'', ,,მამაცის გამარჯვება'', ,,მამაცებზე გამარჯვებული''.

**ანთიმოზ** – ,,ყვავილოვანი''. ,,აყვავებული''.

**ანტონ** – ,,მეომარი, ,,ომში ჩაბმული'', ,,წინამძღოლი''.

**აპოლონ** – მზის, სიბრძნისა და ხელოვნების ღმერთი.

---

[1] ზ. ჭუმბურიძე, დედაენა, ქართ., თბ., 1987, გვ. 319-408.

**არისტო** – „ყველაზე უკეთესი" ან „მთიელი".
**არკადი** – „დათვი".
**არსენ** – „მამაცი", „ვაჟკაცი".
**არტემ** – „ჯანმრთელი", „უვნებელი".
**არქიპო, არქიფო** – „უფროსი მხედარი".
**ბასილ** – „მეფური", „სამეფო".
**ბესარიონ** – „ტყიანი ადგილი", „ტყისა".
**გაიოზ** – „მიწის შვილი".
**გალაკტიონ** – „რძისა", „რძიანი".
**გენადი** – „კეთილშობილი".
**გერასიმე** – „პატივცემული".
**გერვასი** – „ლახვროსანი", „უხუცესი".
**გერონტი** – „მოხუცებული", უხუცესი".
**გიო** – „მიწა".
**გიორგი** – „მხვნელ – მთესველი", „მიწათმოქმედი".
**გრიგოლ** – „მღვიძარე", „ფხიზელი".
**დამიანე** – „დამშვიდებული", „დაშოშმინებული", „დამორჩილებული".
**დემეტრე** – „მიწა", „დედა".
**დიანოზ** – „დიანასი" (დიანა ნადირობის ქალღმერთის სახელი ანტიკურ მითოლოგიაში).
**დიდიმ** – „მარჩბივი", ანუ „ტყუპთაგანი", „ტყუპის ცალი".
**დიმიტრი** – იხ. ზემოთ დემეტრე.
**დიომიდე** – „ზევსის ნაფიქრი", ანუ „ზევსის ნებით უფლებამოსილი" (ზევსი ძველი ბერძ. უზენაესი ღმერთის სახელია).
**დიონისე** – „დიონისესი" (დიონისე, იგივე ბახუსი, ითვლებოდა ღვინისა და მხიარულების ღმერთად).
**დოროთე** – „ღვთის მომნიჭებელი", „ღვთის ნაჩუქარი".
**ევგენი** – „კეთილშობილი".
**ევგრაფი** – „კარგად ნახატი". (გრაფო ბერძნულად ნიშნავს: „ვხატავ", „ვწერ". აქედანვეა სიტყვები გრაფიკა, გრაფიტი, გრაფომანი, ტელეგრაფი, ფოტოგრაფია და სხვ.)
**ევდემონ** – „ღმერთთაგან დაცული", „ბედნიერი".
**ევდოკიმე** – „გამოჩენილი", სახელოვანი".
**ევსევი** – „კეთილმსახური", „ღვთისმოსავი".
**ევსიხი** – „კეთილი სული", „მშვიდი", „წყნარი".
**ევტიხი** – „ბედნიერი".
**ელეფთერ** – „თავისუფალი".
**ელიოზ** – „ბერძნული ფორმაა ძვ. ებრაული სახელისა ელია.
**ექვთიმე** – „კეთილის მზრახველი", „გულკეთილი", „უზაკველი" (უბოროტო).
**ემელიანე, ემელიან** – „ალერსიანი".

**ეპიფანე** — „გამოჩენილი", „სახელგანთქმული".

**ერეკლე** — წარმოქმნილია ბერძენთა საყვარელი მითოლოგიური გმირის ჰერკულესის, ანუ ჰერაკლეს სახელისაგან. თვით ჰერეკლე ნიშნავს „ჰერას (ზევსის მეუღლეს) დიდებას".

**ერემო, ჰერმესი** — იგივ, მერკური, ანტიკურ მითოლოგიაში — მეცხოველეობისა და ვაჭრობის ღმერთი, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველი, ღმერთების მახარობელი.

**ერმალოზ** — „ჰერმესის ხალხი".

**ერმილე** — „ჰერიმესის ტყისა".

**ეროსი** — „გულისთქმა", „ხორციელი ლტოლვა", „სიყვარული".

**ესტატე** — „კარგად (მტკიცედ) მდგომი", „მედგარი".

**ვასილ** — „სამეფო", „მეფისა".

**ვენორ, ვიანორ** — „ძლიერი მამაკაცი".

**ვლასი** — „უხეში", მოუხერხებელი".

**ზენონ** — „ღვთისა" ნაწარმოებია ბერძენთა უზენაესი ღვთაების — ზევსის სახელისგან, რომელსაც უკავშირდება აგრეთვე არაერთი სხვა ბერძნული სახელი — ზენონა, ზინა, ზინაიდა, ზინობი, ზინობია.

**ზოსიმე** — „სიცოცხლისუნარიანი". (ბერძ. **ზოოს** ნიშნავს „ცოცხალს", „ცხოველს", აქედან ზოოპარკი „სპეციალური პარკი ცხოველებისა და ფრინველებისათვის", ზოოლოგია ცხოველთა სამყაროს შემსწავლელი მეცნიერება და სხვ.).

**თევდორე** — „ღვთის მონიჭებული, „ღვთის ნაჩუქარი".

**იაკინთე** — „იაგუნდი (ჰქვია მცენარეს და ძვირფას ქვას).

**იასე, იასონ** — „მკურნალი".

**ილარიონ** — „მხიარული".

**იპოლიტე** — „ცხენის ამხსნელი". (აკაზმულობის მომხდელი)". შდრ. იპოდრომი.

**ირაკლი** — „ჰერას დიდება" (ჰერა ზევსის მეუღლე, ქორწინებისა და ცოლ — ქმრული სიყვარულის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში).

**იროდიონ** — „გმირი".

**ისიდორე** — „ისიდას საჩუქარი".

**კალენიკე** — „ლამაზი გამარჯვება" ან „ბრწყინვალედ გამარჯვებული".

**კარპე, კარპეზ** — „ნაყოფი" (შეადარეთ ეფრემ, პოლიკარპე).

**კვირიკე** — „უფლისა".

**კიაზო** — „მკურნალი".

**კოზმან** — „გალამაზებული".

**ლეონიდე** — „ლომის მსგავსი".

**ლეონტი** — „ლომისა".

**მაკარ** — „ნეტარი", „ბედნიერი".

**მამანტი** – „ძიძა“.
**მარკოზ** – „ფიქრობენ რომ მომდინარეობს ლათინურიდან და ნიშნავს „ჩაქუჩს“, სხვაგვარი ეტიმოლოგიით „ჭკნობადი“ ან კიდევ „მარტისა“ („მარტში დაბადებული“).
**მეთოდე** – „მკვლევარი“, „მაძიებელი“, „მწყობრად მავალი“.
**მელენტი** – „მზრუნველი“.
**მელიტონ** – „თაფლით ამავსებელი“, „თაფლიანი“.
**მინაგო** – „მთვარის მიხედვით ამხსნელი, მოუბარი“.
**მირონ** – „მტირალი“ან „მირონიანი სურნელოვანი ზეთი, რომელსაც ეკლესიაში ხმარობენ).
**მიტროფანე** – „დედის გამომაჩინებელი“ (ე.ი. „დედის დიდება“) ან „დედით გამოჩენილი“ (სახელოვანი დედის შვილი).
**მოქია** – „დამცინავი“.
**ნესტორ** – „შინ (სამშობლოში) დაბრუნებული“.
**ნიანია** – „ჰაბუკი“.
**ნიკოლოზ, ნიკე** – „გამარჯვება“ და ლაოს „ხალხი“.
**ონისე** – „სარგებლობა“.
**პანტელეიმონ** – „ყოვლადმოწყალე“.
**პართენ** – „წმინდა“, „ქალწულებრივი“.
**პარმენ** – „მტკიცედ მდგომი“.
**პახომ** – „სქელბეჭიანი“.
**პეტრე** – „კლდე“, „ლოდი“.
**პიმენ** – „მწყემსი“.
**პლატონ** – „მხრებგანიერი“.
**პოლიკარპე** – „დიდად ნაყოფიერი „უხვნაყოფიანი“, პოლი – „ბევრი“, „მრავალი“ და კარპოს „ნაყოფი“.
**პორფილე** – „მეწამული“, „წითელი“.
**პროკოფი** – ვარაუდ. „ბუდიდან ამოღებული“, გაშიშვლებული („ხმალი“), ან „წარმატებული“ „წარჩინებული“.
**როდიო** – „როდოსელი“ (კუნძულ როდოსის მცხოვრები). როდოს „ვარდი“.
**როდიონ** – „ვარდი“, „ვარდისფერი“.
**რომანოზ** – „მტკიცე“, „მაგარი“.
**სარდიონ** – „მწითური“ (სარდიონი ეწოდება წითელი ფერის მინერალს).
**სევასტი** – „ღირსეული“, „პატივსადები“, „წმინდა“.
**სერაპიონ** – „სერაპისისა (სერაპისი ერქვა ძველ ეგვიპტელთა სიკვდილ – სიცოცხლისა და განკურნების ღვთაებას).
**სისონა** – შემოკლებით „სისონ“.
**სოკრატ** – „ძალაუფლების დამცველი („შემნარჩუნებელი“).
**სოფრომ** – „საღად მოაზროვნე“, „კეთილგონიერი“.
**სტეფანე** – „გვირგვინი“.

**ტარასი** – „მოუსვენარი“.

**ტიმოთე** – „პატივი ღვთისა“, „ღვთის მოსავი“, შდრ. კიმოთე.

**ტრიფონი** – „ნებიერი“, „განებივრებული“.

**ტროფიმე** – „მოზრდილი“, „გამონაკვები“, შდრ. ატროპიალჰიპერტროფია.

**ფილიმონ** – „საყვარელი“.

**ფილიპე** – „ცხენთა მოყვარული“.

**ქრისტეფორე** – „ქრისტეს მტვირთველი“.

**ხარიტონ** – „მადლიანი“, „გულუხვი“.

**ხარლამპი** – „სიხარულით გაბრწყინებული“.

## ქალის სახელები

**ავდოკია** – „წყალობა“, „სათნოყოფა“.

**ანასტასია** – „მკვდრეთით აღმდგარი“, „სიცოცხლეს დაბრუნებული“.

**ანისია, ანუსია** – „დამთავრება“, დასრულება“.

**არიადნა** – „ძლიერ მოსაწონი“.

**ალათი** – „სიყვარული“, „სიკეთე“.

**ბარბარე** – „უცხო“, „უცხოელი“.

**გაიანე** – „მიწიერი“.

**დესპინე** – „ქალბატონი“.

**ევპრაქსია** – „კეთილდღეობა“, „კეთილმოქმედება“.

**ელპიდე** – „სასოება“, „იმედი“.

**ეფემია** – „ღვთისმოსავი“, „ღვთისმოყვარე“.

**ეფროსინე** – „სიხარული“, „მხიარულება“.

**ზინა, ზინაიდა** – „ზევსისა“, „ღვთისა“.

**ზოია** – „სიცოცხლე“.

**თებრონე, თებრონია.**

**თეკლე** – „ღვთის დიდება“.

**თეო** – „ღმერთი“, „ღვთაება“.

**თეონა** – „ღვთის ფიქრი“, „ღვთის მონება“.

**ირინე** – „მშვიდობა“.

**კესარია** – „დედოფალი“.

**ლარისა** – „თოლია“.

**ლიდა, ლიდია** – „ლიდიელი“ (ლიდია მცირე აზიის ერთ – ერთი ქვეყანაა).

**მავრა** – „შავი“, „შავგრემანი“.

**მელანია** – „შავი“.

**მელიტო** – „თაფლიანი“.

**მინადორა** – „თვის საჩუქარი“.

**ნაია** – „ალი“, „წყლის ნიმფა“.

**ნანა** – „პაწაწინა“.

**ნარგიზა** ერქვა თავის თავზე შეყვარებულ ლამაზ ჭაბუკს, რომელიც თავისი სილამაზის საჭვრეტად სულ ერთთავად წყალში იყურებოდა, ღმერთებმა ყვავილებად აქციეს.

**ნია** – „ახალი“.

**ნიკა** – „გამარჯვების ქალღმერ-

თის სახელია ანტიკურ მითოლოგიაში.

**ოლიმპიადა** – „ოლიმპიელი" მოდის მთის სახელიდან ოლიმპი.

**პელაგია** – „ზღვისა".

**პისტი** – „რწმენა", „ერთგულება".

**რაისა** – „მსუბუქი".

**რიმა** – „წინათ კაცის სახელი იყო.

**რიფსიმე** – „მსროლელი", „დამგდები", „ერთის დამტევებელი". შემდეგ კი ქალის სახელად იქცა.

**სოფიო** – „სიბრძნე".

**ტატიანა** – „მომწყობი", „დამფუძნებელი".

**ფედოსია** – „ღვთისადმი შეწირული".

**ფოტინე** – „ნათელი", „ბრწყინვალე".

**ქრისტინე** – „ქრისტესი", „ქრისტიანი".

**ქსენია** – „სტუმართმოყვარე" ან „უცხო", „უცხოელი".

**ქიონია** – „თალი" (საეკლესიო კალენდრის მიხედვით „თოვლიანი").

**იდა ბერძნებში** მამაკაცის სახელია (მარპესას ქმარი, კლეოპატრას მამა; ელენეს ერთი მომტაცებელთაგანი), **ინესა, მაია** (ატლანტისა და პლეიონეს ასული, უფროსი პლეადა), **თეა** (ურანოსისა და გეას ასული), **ელენე, აგათია** (აღათი), **ეთერი(ა)**, ბერძნებში ვაჟის სახელი (ერებასა და ღამის ვაჟი), **დემეტრე**(ა) (მიწათმოქმედების ქალღმერთი, ზევსისა და ეპერსეფინეს დედა), **მედეა** (კოლხეთის მეფის აიეტის ასული), **მელანე**(ა) ბერძენი მარტვილი ქალი (ეკლესიის დამფუძნებელი ეგვიპტეში), **მარინე** (ექიმი და ანატომიურ თხზულებათა ავტორი, (ლათ.) ზღვის ასული, პროკლეს მოწაფე და მემკვიდრე), ტაქსიარქოსი (მეთაური ლეგიონებისა, 249 წ. იმპერატორად გამოცხადებული) **ნანა** (მდინარის ღმერთის ასული).

სახელებმა **ნიკოლოზ** (დამასკელი ბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი), **პავლე** (სილენციარიოსი, ბიზანტიელი პოეტი), **პეტრე** (პეტრა), (პატრიკიოსი მწერალი), **სტეფანე** (ბერძენი გეოგრაფი, გრამატიკოსი, დიონის, თრაკიული გრამატიკის კომენტატორი, მოქანდაკე), საქართველოში ისე მყარად მოიკიდეს ფეხი, რომ ისე, როგორც ზემოაღნიშნულმა სხვა სახელებმა შემდგომში გვარი მოგვცეს, გაჩნდა გვარები: **პავლე**-პავლიაშვილი, **ნიკოლოზ**-ნიკოლოზიშვილი, **პეტრე**-პეტრიაშვილი, **სტეფანე**-სტეფანეშვილი, **ანდრონიკე**-ანდრონიკაშვილი, **ალექსი**-ალექსიშვილი, ალექსიძე, **პაპა**-პაპაშვილი, **რომანა**,

რომანიშვილი, **ანდრია**-ანდრიაშვილი, **თომა**-თომაშვილი, თომაძე, **გიორგი**-გიორგიშვილი, გიორგაძე და სხვ.

**რომაელებისაგან** ქართველებს უსესხებიათ მამაკაცთა და ქალთა შემდეგი სახელები: აგრაფინა, ადრიანე, ალმა, ამბროსი, ამიანე, ამური, ანდრონიკე, ანტონია, არდალიონ, არკადი, არმენ(არმენიუსი), ბაბილინა, ბეატრისა, ბენედიქტე, ბიკენტი, ბიქტორ, გერმანე, დიანა, დომენტი, დომნა, დომინიკა, დომნიკა, ვალენტინა, ვალერი, (ვალერიანე), ვენერა, ვიტალი, ვიქტორი (ვიქტორია), იარალი, ივლიანე, იორდანე, იოსები, იულია, იულონ, იუსტინე, კანდიდ, კაპიტონ, კასიანე, კატალინა, კლავდია, კლარა, კლიმენტი, კონსტანტინე, კორმელი, ლავრენტი, ლეო, ლეონ, ლონგინოზ, ლუკა, ლუნა, მაკრინე, მანია, მარინე, მარტია, მატრონა, მაქსიმე, ნაზიკო, ნატალია, ნარი, პავლე, პროკლე, სევერიან, სერგი, სილიბისტრო, სილოვან, სპარტაკ, ტერენტი, ტიტე, ტრიფონ, ფილიპე, ცეზარი, ცეცილია, ჰელენა (ელენე) და სხვ.[1]

სახელების მთელი რიგი **სპარსულ-არაბული ენობრივი სამყაროდანაა** შემოსული: აზატა, გივი, ვახტანგ, თეიმურაზ, ლეილა, მურთაზ, როსტომ და სხვ.

ცალკე შეიძლება გამოიყოს **ხურიტული, თურქულ-მონღოლური სახელები,** მაგალითად: „ალმასი" ძვირფასი ქვის, ალმასის სახელწოდებას დართული აქვს თურქულ სახელებში გავრცელებული სუფიქსი **ხან** (ამავე სუფიქსით ნაწარმოებია სახელები: დურმიშხან, მურზაყან-მირზახან და სხვ.), **ასლან**-„ლომი", მოგვიანებით მისი მნიშვნელობაა „გმირი", „გოლიათი", „დიდი", ბეგიბეგა-თურქული სიტყვა ბეგი (გვიანდელი გამოთქმით ბეი), რაც ბატონს ნიშნავს, ქართულში საკუთარ სახელად არის ქცეული ბეგლარ „ბატონები". ბუდუ (ხურიტული) „მსახური", ბუდუ საკუთარ სახელად გვხვდება კორიდეთის ოთხთავის (IX ს.) ბერძნულ მინაწერებში (ზ. ჭუმბურ. დედაენა ქართ. 329); **დურმიშხან** („მდგომი", „დამდგარი", იგულისხმება: „კაცად დამდგარი", „დავაჟკაცებული"), **თარხან** (თურქულ-მონღოლური) „რკინა", **თენგიზ,** იგივეა, რაც **ჩინგიზ,** მონღოლურად „დიდს", „ძლიერს" ნიშნავს. **იარალი** (თურქ.)

[1] იხ. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, შედგენილი კონა გიგინეიშვილის მიერ, თბ., 1985.

„შეყვარებული" (პირდაპირ მნიშვნელობით „დაჭრილი"). **კაკი** ხურიტული სახელია, ამჟამად მიჩნეულია **აკაკი**-ს შემოკლებულ ფორმად, მაგრამ მის სხვაგვარ წარმოშობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აკაკი კაცის სახელია, ხოლო **კაკი** გურიასა და სამეგრელოში გვხვდება როგორც კაცის, ისე ქალის სახელად (ზ. ჭუმბურ. იქვე, 348), **მირზა** „ამირზადე"-„ამირის შვილი", **ყაფლან** „ვეფხვი", **ხუტა, ხუტუ** უკავშირდება ხურიტულს, სადაც ხუტუ ღვთაების ეპითეტია და ნიშნავს „მებრძოლს", **ხათუნა** „ქალბატონი", „მანდილოსანი".

**სირიულია** სახელი **ბაბილო**-„აჯანყებული", ქალდეური-**ვარლამ** „ხალხის შვილი", ასურული-**თადეოზი** „ბრძენი", **სარგის**, მნიშვნელობა დაუდგენელია.

**კონა** (გვხვდება სომხურშიც. ზ. ჭუმბურიძის ვარაუდით, ალბათ, ერთ-ერთი ამათგანის მეშვეობით არის შემოსული ქართულში. ბერძნულში კანონ. ეს ფორმა ყოფილა რუსულშიც (შეადარეთ გვარი კონონოვი). ძველ-გერმანულია **კონდრატე**-„მამაცი კონსული"; სკანდინავიურია სახელები: **ოლეგ** „წმინდა". ძველისძველი ნასესხები აქვს რუსულს, ხოლო უკანასკნელისაგან ბოლო დროს შემოვიდა ქართულში, აქედანვეა ქალის სახელი **ოლღა (ოლგა, ოლია, ოლინკა,** (ზ. ჭუმბურ. იქვე, 360-361). ეგვიპტურია **ონოფრე**. ნიშნავს „ღვთაება კუროს კუთვნილს", ითარგმნება როგორც „წმინდა ხარი", **რამზე** „მზის შვილი", ინდურ-ირანულია **რამინ**. ეს სახელი ჰქვია „ვისრამიანის" მთავარ მოქმედ ვაჟს. **აისურია სოსლან,** მომდინარეობს ინგუშურიდან. სომხურია **ძაგან**-"ნაშიერი", ნაშობი", „შვილი" და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული სიტყვა **თარხანი** (თარხან-მოურავი) (მონღოლურად ნიშნავს სიგელს), მონღოლები, ვისაც ასეთ სიგელს მისცემდნენ, ნდობით აღჭურვილი პირი ხდებოდა და იყო ხელუხლებელი (თავისუფალი). აქედან მოდის **თარხნიშვილი (თარხანოვი), თარხან-მოურავი.**

ევროპული ენებიდან შემოვიდა სახელები: **ტრისტან** (მწუხარე), **კარლო** (იტალიური ფორმა ძველი გერმანული სახელისა, რომელიც „მამაკაცს" ნიშნავს), გერმანულად გამოითქმის **კარლ,** ფრანგულად-**შარლ,** ინგლისურად-**ჩარლზ** (მნიშვნელობის მხრივ შეადარეთ ქართული **კაცია,** მეგრული **კოჩა,** ბერძნული-**არსენი**

და სხვ.) **კარლ**-ისაგან ნაწარმოებია ქალის სახელიც: **კაროლინა** (,,კარლისა'', ე.ი. ,,მამაცისა''), **პიერ** (ფრანგ.) ,,ქვა'' (ბერძ.) **პეტრა**, **პიმენ** (ბერძ.) ,,მწყემსი'', **პეტრე** (ბერძ. ,,კლდე'', ,,ლოდი''. შეადარეთ მთისქანების (ქვების) შემსწავლელი მეცნიერების სახელწოდება-**პეტროგრაფია**. სახელი პეტრე ძველთაგანვე ცნობილია ქართულში. საკმარისია გავიხსენოთ V ს. გამოჩენილი ფილოსოფოსი **პეტრე იბერი** (ფსევდოდიონისე არეოპაგელი), **პავლე** (ლათ.)-,,პატარა'', ,,მცირე''. საფუძვლად უძევს ლათინური სიტყვა პაულუს, რომელიც ევროპის ხალხებში სახელადაც გვხვდება და გვარადაც (მისგან წარმოქმნილია ქალის სახელებიც: **პავლა, პოლინე**. მისი ფორმებია სხვადასხვა ხალხში **პაულიოს, პაულის, პოლოს, პაულ, პაოლო, პოლ** და სხვანი. **პლატონ** (ბერძ.)-,,მხრებგანიერი'', **პორფილე** (ბერძ.)-,,მეწამული'', ,,წითელი'', **პარმენ** (ბერძ.)-,,მტკიცედ მდგომი'', **ტარასი** (ბერძ.)-,,მოუსვენარი'', **ტერენტი** (ლათ.)-,,მხნეავი'', ,,გამფშვნეტელი'', ,,გამლესი'', **ტროფიმა** (ბერძ.)-,,გაზრდილი'', ,,გამონაკვები''. შეადარეთ ატროფია-რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის ზრდის შეწყვეტა საკვების უკმარისობის (ან უმოქმედობის) გამო: ჰიპერტროფია-რომელიმე ორგანოს არანორმალური ზრდა-განვითარება. სახელები: **ტიციან, ჰამლეტ, ბენიტო, იზოლდა, მატილდა, ანეტა** და სხვ. შემოდის აგრეთვე სლავური სახელები: **ბორის**, სრული ფორმაა **ბორისლავ**, შედგება ორი სიტყვისაგან, რომელთა მნიშვნელობაა ,,ბრძოლა'' და ,,დიდება''. მეორე მათგანი მონაწილეობს მრავალ სლავურ სახელში, როგორიცაა **ვიაჩესლავ, სტანისლავ** და სხვაგნ. **ვლადიმერი** ძველი სლავური სახელია, ნიშნავს ,,ქვეყნის მფლობელს''. ვლადიმერის შემოკლებული ქართული ფორმა **ლადო**, მოფერებით-**ლადიკო**. **იაროსლავ**, შედგება ორი სიტყვისაგან, რომელთა მნიშვნელობაა ,,ნათელი'' და ,,დიდება''. სლავურ ენებში გვხვდება მისგან ნაწარმოები ქალის სახელიც: **იაროსლავა**. **ვერა** (რუს.)-,,რწმენა'', ბერძნული სახელის **პისტი**-ს თარგმანია. ქართულში გავრცელებული მოფერებითი ფორმაა **ვერიკო**. **ლიუდმილა** (ლუდა)-,,ხალხის საყვარელი'', **ლუბა, ლიუბა** (ლუბოვ). შემოკლებული ფორმისაა **ლიუბოვ** სახელისა, რომელიც ბერძნულის კალკს (პირდაპირ თარგმანს) წარმოადგენს. ლეგენდის მიხედვით, იყვნენ წამებული დები ქარისი, ანუ აგათე (,,სიყვარულის'') **პისტის** (რწმენა'') და **ელპის** ანუ **ელპიდე** (,,იმედი''). მათ

დედას ერქვა **სოფიო** („სიბრძნე"). ეს სახელები (სოფიო, აგათია, პისტი, ელპიდე) უთარგმნელადაც გავრცელდა ქრისტიან ხალხებში, ზოგან კი ითარგმნა კიდეც. ამგვარი თარგმნის ნიმუშია რუსული **ვერა** („რწმენა"), **ლიუბოვ** („სიყვარული"), **ნადეჟდა** („იმედი"), რომლებიც ბოლო დროს შემოვიდა ქართულშიც (ზ. ჭუმბურ., დედაენა., 391-393).

**სპარსული წარმომავლობის პირთა სახელები** შეისწავლა მზია ანდრონიკაშვილმა. მისი ძიება დიდ ინტერესს იწვევს. მრავალი სპარსული სახელი ისე შეეგუა ქართულს, რომ ხშირად გვიჭირს მათზე უარის თქმა და არაქართულად მიჩნევა. ასეთებია: **აბესალომ** (ძვ. ებრ.) „მამა მშვიდობისა", „მამა ქვეყნისა" ან (სპ. „ყვავილნარი", „ვენახი", ქართულ ფოლკლორში ეს სახელი ჰქვია მეფისწულს, რომელსაც შეუყვარდა მწყემსი ქალი **ეთერი**. ეს ლეგენდა საფუძვლად უძევს ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერს" (ზ. ჭუმბურ., დასახ. ნაშრ. 319), **ამირონდო**, „ინდოეთის ამირი", ანდუყაფარი-„შემწყნარებლის (ე.ი. უფლის მონა", აფრასიონ-„შიშისმგვრელი, აფშინა-„სახლის პატრონი", „მმართველი", საკუთარ სახელად გვხვდება მთის კუთხეებში. განსაკუთრებით ცნობილი გახდა ვაჟა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას" წყალობით (ზ. ჭუმბურ., იქვე. 323). **ბადურ**-„გოლიათი", „მამაცი", „რაინდი", **ბაკურ**-„ღვთის შვილი", „ძე ღმერთისა", **გივი**-„მნიშვნელობა გაურკვეველია, **გოდერძი**-„ძლიერი ხარ", **გულბაათ**-„ვარდის ქარი", ე.ი „ქარი", რომელსაც ვარდის სურნელება მოაქვს", **გულდამ, გულდა, გულანდამ**-„ვარდისტანა", „ვარდსახეული", **გურგენ**-„მგლისა", **დარისპან**-„ისპაანის კარი", **ედიშერ**-„ლომის დღესასწაული", **ვარდან**-„გმირი" ან „მოქალაქე", **ვახუშტი, ზაალ, ზაურ, ზურაბ (სურხაბ, სუზრაბ), თამაზ, თეიმურაზ, თურმან, კირილე, ლუარსაბ, მანუჩარ, მირიან, ნარიმან, ნოდარ, ნოშრევან, ომან, რატი, როინ, როსტომ, სარიდან, უშანგი, ფარნაოზ**-„ბრწყინვალე", „დიდებული", „ხელბედნიერი", ან „ბრწყინვალე მოუბარი", „მჭერმეტყველი", ძველი ფორმაა **ფარნავაზ** ასე ერქვა პირველ ქართველ მეფეს, რომლის დროსაც განმტკიცდა ქართლის სამეფო, შეიქმნა ქართული ანბანი (III ს. ძვ, წ. ა.) ფარნაოზის შემოკლებული ფორმაა **ფარნა** (ნიშნავს ღვთაებრივ შუქს, ელვარებას, შარავანდს), **ფირუზ**-„ფირუზი" (ძვირფასი ქვა), **ფრიდონ, ქავთარ**-„აფთარი", **ქაიხოსრო**-„სახელოვანი თავადი", **ჯუანშ-**

ერ-„ახალგაზრდა ლომი“, **შერაზად**-„თავისუფალი ლომი“, **დარეჯან**-„ჩაკეტილი კარი“ და სხვ. მრავ. (იხ. ზ. ჭუმბურ. „დედაენა ქართ. თბ., 1987 წ.).

28. **მირტაშენი:** ბექან **შერმადინაშვილი, (ყაფლანიშვილები).** აზნ. ზურაბ, იესე, ერაჯი, ქაიხოსრო, ნიკოლოზ **ჩაჩიკაშვილები.**
29. **მძოვრეთი:** ამილღაბარ **გოსტაშაბაშვილი,** საამი და ედიშერ **ბარათაშვილები,** როსტომ და გუგუნა **ნამანგლელევიშვილი,** ბექან **ზაზუნაშვილი,** დათუნა **გერმანოზიშვილი,** თომა **კანჭაშვილი.**
30. **ნახიდური:** სვიმონ **ბატონიშვილი,** ვახუშტი **ბატონიშვილი,** ბექან **გილაქიშვილი,** პატარა კაცი **ყარჩიხაშვილი.**
31. **ორთაშუა:** როსტომ და გუგუნა **ნამანგლელევიშვილები.**
32. **რაფაქეთი:** **ზაალიშვილი** პატარა ზურაბი.
33. **სამღერეთი:** ზაალ **ციციშვილი // ბაადურისშვილი,** ნაზირა და ედიშერ **შალიკაშვილი,** დემეტრე და იესე **მუსხელიშვილი,** ზაა-

**ლი** და იოთამ **დოლენჯიშვილი,** მანგლელი, სულხან **ქავთარაშვილი.**

34. **სამღერეთის მონასტერი: ზაალი ციციშვილი // ბაადურისშვილი.**
35. **სამშვილდე: ხოსროხანაშვილი,** ომანი **სულეიმანისშვილი, ბურდიაშვილი.**
36. **ფიტარეთი: ყაფლანიშვილები.**
37. **ქცია:** მანუჩარ, სულხან, გიორგი, იონათამ **ქავთარაშვილი.**
38. **ქცილა: ყაფლანიშვილები.**
39. **წინანაური:** ამილღაბარ **გოსტაშაბაშვილი.**
40. **წობა: ზაალიშვილი** პატარა ზურაბი, როსებ და ვახტანგ **იარალაშვილი,** იგივე **ყაფლანიშვილები.** აზნ. ბაგრატ **ბაგრატისშვილი, ველუაშვილი.**
41. **წრაურთა (წრურთა):** ორბელი და გივი **იოთამიშვილი,** ბექან **შერმადინაშვილი, ყაფლანიშვილები.**
42. **ხორხები:** თამაზა **ყარაბუდახიშვილი.**
43. **ჯვარა-დმანისი: ყაფლანიშვილები,** გიორგი **ყარაბუდახიშვილი,** დათუნა და ოთარი **გერმანოზიშვილი.**
44. **ჯიგრაშენი:** აზნ. სუმბატა და ფარსადანა **ქანანაშვილი,** აზნ. **ქანანაშვილი//სარნოშვილი.**

# ზნენი ჩვეულებანი საქართველოსანი

## ჭყონდიდელისათჳს

შემდგომად კუალად შესძინეს ჭყონდიდელი. და იყო ამისი ჴელისანი ქურივ-ობოლნი, და დავრდომილნი, უსამართლო-ქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთა ყოველსავე მეფესა. ესევე იყო მწიგნობართუხუცესი ყოველთა სამეფოთა მწერალ/თა ზეით თქმულთა. ესე მიცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია-მონასტერთა და ლაშკართა მოწუევად, და მათთა სამჭირნოთა მოჴსენებად მეფისა. ესევე იყო ლაშქრობისა ჟამსა პატიოსნისა ჯუარისა მძღუანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლელი ანუ ჩახთაული, და ახალ წელს მაკვლევი მეფისა.

## ათაბაგისათჳს

კუალად შესძინეს **ათაბაგობა**, რამეთუ არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად.

„გუარი საჩინო არის" (ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, გვ.27-37)

## მეფეთა გუართათჳს

ხოლო გუარნი მეფეთანი იყვნენ: პირველი **ქართლოსიანნი,** და **ნებროთიანნი,** და **არშაკუნიანნი,** და მეფობდნენ ესენი ფ¯დვ წელთა, და მეფენი ისხდნენ კ¯Ⴇ. შემდგომად ამათთა იყო გუარი **ხოსროვანთა,** და მეფობდნენ ესენი უ¯ნდ წელთა, და მეფენი ისხდნენ ი¯ზ და მთავარნი გ¯. შემდგომად ამათთა **ბაგრატიონნი,** რომელნი გამეფდნენ ქრისტესსა ფ¯ოე წელთა და არიან აქამდე. არამედ სიტყუა იყო ივერიასა შინა მეფეთა ამათთჳს, რამეთუ იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა, ხოლო ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემმართებელობითა, ხოლო ბაგრატიონნი მჴნეობითა, სიბრძნე-ქუელობითა და ქუეყნისათჳს თავდადებულობითა.

## მთავართა გუართათჳს

**ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთანი ესენი არიან:** ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუში, რომელი იყო ლიპარიტისძე, მარუშისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მჴარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, ძაგანისძე, ასათისძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი, ფარჯანიანი, ნერსიანი, ადარნასიანი, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქისძე, ჩოლაყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქუენაფლაველი, ჯავახისშვილი, ბურსელი და სხუანი მრავალნი, რომელნი ერისთობით იწერვიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად, ვითარცა იტყჳს ყუთლუღ-არსალისას და ყუბასარისას და ქართლის ერისთავი გრიგოლ, და სურამელი რატი და გრიგოლი. კახეთს ხორნაბუჯის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, და წუნის ერისთავი, ხოლო სომხითს მანკაბერ-სადუნი და არა გუარი მისი. ხოლო იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხუანი, და არა გუარნი მათნი წარწერილნი. არამედ დადიანობა არა არს გუარი, გარნა წესი აელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის მჴარესა ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფის თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად, და იყვნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გუარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ამ ცოტნესაგან ჩამომავლობენ, ვითარცა აღვსწერეთ.

### აწინდელთა მთავართა გუართათჳს

**ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გუარნი ესენი არიან: ბარათაშვილი,** რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა საერისთონი ტფილისის სამჴრით, ვიდრე ლორე-ფანავრამდე, თჳნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყჳან ესენი ჩამომავლობასა **ქაჩიბაძისასა,** რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი. კუალად ყაფლანისშვილი და აბაშისშვილი სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანისშვილი იტყჳს გუარობასა მათსა გინა ორბელიანობასა, გარნა იყო ორბელიანი სხუა და ქაჩიბაძე სხუა გუარი, არამედ ოდეს განიყვნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა აღგ-

ილთა მათ საბარათიანოდ, ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხუანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. გარნა საგონებელ არს ყაფლანიანთაცა მესამესა ძმასა ეწოდა ორბელი, და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ, თვარე წინათქმულნი არა განმართლდებიან. ხოლო ბარათანთ გუჯარსა შინა, რომელ არს ბეთენიას, წერილ არს: მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, გაჰყარნა სამნი ძმანი – აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან. ხოლო სომხითის მელიქი არა არს გუარი, არამედ?სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისათჳს. არღუთაშვილი აწ აზნაური, გარნა მხარგრძელნი არიან. ხოლო ზურაბისშვილს, იარალისშვილს და სოლადაშვილს იტყჳან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა. კუალად დოლენჯისშვილი აწ ჩამოსულნი მესხიდამ. ყარაბუდაღისშვილი მოვიდა მარიამ-ჯუარის კახეთიდამ. ხოლო მცხეთის დასავლით და მტკურის სამჴრით ციციშვილი, რომელი ძუელადვე მოვიდა ფანასკეთიდამ, ჯავახისშვილი; ხოლო მოურავისშვილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთაჯრებული; როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ. ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გუარი, გარნა წესი მეჯინიბეთხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გუარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი. აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი. ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა, და შემდგომად განყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი. ავალისშვილი, რა დაშთა აეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს. მაჩაბელი იტყჳს ანჩაფიძეობას, აფხაზეთიდამ მოსლვას, გარნა ახალი არს. ხერხეულისძე იყო სამცხეს და იტყჳს ოსობას, არამედ არს მოსლვა მისი შემდგომად გაყრილებისა. ფავლენისშვილი იტყჳს მჴარგრძელობასა. ხოლო კუალად მესხი ამილახორისშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ; ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდამ. ხოლო რამაზისშვილი და დავითისშვილი არიან ავგიორგის ძმის დიმიტრისგანა, რომელი არჩინა მეფემან, და არიან მიერითგან აქა. ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენაფლა-

ველისაგან, არამედ იტყჳს ბიბილურობასა. ხოლო არაგჳს ერისთავი – და ალვსწერეთცა, ვითარცა არიან, არამედ გუარს სიდამონობას იტყჳს. ხოლო მუხრანის ბატონი და გოჩაშვილი, აწ მთავარნი, არამედ გუარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილნი არიან.

## წარჩინებულთათჳს

გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგჳს ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციცისშვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი. ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისათჳს დავიდუმეთ, ვიეთნი ძუელის გუარისანი, ვითარცა აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, არღუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნასიძე, ღაზნელი. გააზნაურშვილებულნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთვის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა, ხოლო აწ დამცირებულნი. ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზიშვილი, ამათგან გამთავრებულნი ესრეთ, **რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა.**

## კახთათჳს

ხოლო კახეთს ჩოლაყაშვილი და მაყასშვილი იტყჳან ირუფაქიძობას; ენდრონიკასშვილი იტყჳს ანდრონიკესაგან, რომელი მოვიდა პირველვე კეისართა გუარისა. ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ვახვახისშვილი, რუსისშვილი, ჯანდიერისშვილი, ავალისშვილი და ჩერქეზი. ეს ორნი მოსულნი არიან გაყრილების შემდგომად. გურამისშვილი და ტუსისშვილი – ზედგინიძენი, რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი დღესეც მღჳმეს, და აზნაურნი უფროს მცირედ.

## სამცხისათჳს

ხოლო სამცხეს: ჯაყელი, ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა; შალიკაშვილი, თადგირიძე, დიასამიძე, ქობულისძე, გოგიბაშ-

ვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგორისშვილი, თუხარელი, ღაღანიძე და სხუანი, არღარა იწოდებიან გუარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯაყად, და აზნაურნიცა ეგრეთვე მრავალ, გარნა დავიდუმეთ.

## იმერეთისათჳს

ხოლო იმერეთს: არგუეთსა შინა აბაშიძე, ფხეიძე, წერეთელი და ჩხეიძე (ამავე ჩხეიძის გუარი არს აწინდელი რაჭის ერისთავი და სპასპეტი რაჭისა), ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და ღოღობერიძე, აზნაურნი და მთავრობით პატივცემულნი მეფეთაგან. ხოლო რაჭას წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხისშვილი. ხოლო სუანეთს გელოვანი, და არღარა ეგოდენისა ძალისა და უფლებისა მქონე სუანთა ზედა.

კუალად ვაკესა შინა ჭილაძე და მიქელაძე და ჩიჯავაძე, ხოლო აზნაურნი მრავლნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურთათა (ვითარცა ძუელად სიტყუა იყო ივერიასა შინა: დარბაისლად მესხნი, თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა), არამედ სიგრძისათჳს არღარა აღვწერეთ. **გარნა უწარჩინებულესი და შემძლებელი იყო აწისა ჟამსა შინა რაჭის ერისთავი და აბაშიძე.**

## ოდიშისათჳს

ხოლო ოდიშს დადიანი და თავადი თჳთ-თჳსად მფლობელი ოდიშისა შემდგომად გაყრილებისა. არამედ აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოწყუიდნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად აღწერილებისაებრ. არამედ კუალადცა არიან მთავარნი ესენი: გოშაძე, ფალავა, ჯაიანი, ჩიჩუა და სხუანიცა, და აზნაურნიცა მრავალნი.

## აფხაზეთისათჳს

ხოლო აფხაზეთს იგივე შარვაშიძე, მფლობელი აფხაზთა თჳთ, და უმდაბლესი ანჩაფაძე.

## ზნენი და ჩუეულებანი საქართველოსანი

### გ უ რ ი ი ს ა თ ჳ ს

ხოლო გურიას გურიელი, იგიცა თჳთ ჰფლობს და იტყჳს ვარდანის ძეობასა, და სხუანი მის ქუეშენი არიან ესენი: თადგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდამ, შარვაშისძე მოვიდა აფხაზეთი-დამ, ბერიძე, კვერღელისძე, ბერექიანი, ნაკაშიძე და სხუანი, ეგრეთვე აზნაურნიცა.

## დანართი 8

### გეორგიევსკის ტრაქტატზე (1783). დართული ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია

### ქართლის თავადების რიცხვი

| | |
|---|---|
| თავადი მუხრანის ბატონი ბაგრატოანი | თავადი ჩხეიძე |
| თავადი აბაშიძე | თავადი თაქთაქისშვილი |
| თავადი იოთამისშვილი | თავადი ბებუთოვი |
| თავადი ფალავანდისშვილი | |

ერეკლე
*ივნისის კჱ წელსა ჩღპგ*

### ქართლის თავადების რიცხვი

| | |
|---|---|
| თავადი ჯამ/ბ/აკურიან-ორბელიანი | თავადი ბეგთაბეგისშვილი |
| თავადი მელიქისშვილი | თავადი გურჯი-რევაზისშვილი |
| თავადი ავალისშვილი | თავადი დოლენჯისშვილი |
| თავადი იარალისშვილი | თავადი ვეზირისშვილი |

ერეკლე
*ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ*

## ქართლის თავადების რიცხვი

თავადი ერისთვისშვილი
ერისთოვი
თავადი ბარათაშვილი
თავადი მაჩაბელი
თავადი დიასამიძე
თავადი სოლაღაშვილი
თავადი არღუთასშვილი
თავადი სუმბატისშვილი

ერეკლე
*ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ*

## ქართლის თავადების რიცხვი

თავადი ამილახორი
თავადი დავითისშვილი-ბაგრატოანი
თავადი ჯავახისშვილი
თავადი ფავლენისშვილი
თავადი თუმანისშვილი
თავადი ხიდირბეგისშვილი
თავადი რატისშვილი
თავადი მაღალასშვილი

ერეკლე
*ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ*

## ქართლის თავადების რიცხვი

თავადი ციციშვილი
თავადი აბაშიშვილი
თავადი თარხნისშვილი-მოურაოვი
თავადი ზურაბისშვილი
თავადი ამირეჯიბი
თავადი შალიკაშვილი
თავადი შარვაშიძე

ერეკლე
*ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ*

## კახეთის

თავადი ჩოლაყაშვილი
თავადი ჯორჯაძე
თავადი ტუსიშვილი
თავადი გურგენიძე

თავადი მაყაშვილი
თავადი სიდამონიძე
თავადი საგინაშვილი
თავადი ხიმშიაშვილი

ერეკლე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

კახეთის

თავადი აბაშიძე
თავადი ჭავჭავაძე
თავადი ვახვახაშვილი
თავადი ჯანდიერიშვილი
თავადი ავალისშვილი
თავადი ყარალაშვილი
თავადი ბაბადიშიშვილი
თავადი ლიონიძე

ერეკლე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

კახეთის

თავადი ენდრონიკაშვილი
თავადი ვაჩნაძე
თავადი რუსისშვილი
თავადი ჩერქეზისშვილი
თავადი გურამისშვილი
თავადი ქობულოვი
თავადი აფხაზისშვილი
თავადი რობიტაშვილი

ერეკლე
ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ

სახასო აზნაურნი ამის ქუეით დაიწერებიან

აზნაური შაბურისშვილი
აზნაური თურქისტანიშვილი
აზნაური საცაძე
აზნაური საგინაშვილი
აზნაური არეშიშვილი
აზნაური თურმანისძე
აზნაური ჯომარდიძე
აზნაური ქურული

აზნაური გაბასშვილი
აზნაური მურვანისშვილი
აზნაური აბაზაძე
აზნაური ყორღანაშვილი
აზნაური ფიცხელაური
აზნაური ენაკოლოფასშვილი
აზნაური შანშიასშვილი
აზნაური გლურჯიძე
აზნაური კობიასშვილი
აზნაური გარაყანიძე
აზნაური კორინთელი
აზნაური ჩერქეზისშვილი
აზნაური ჭილასშვილი
აზნაური იეგულასშვილი
აზნაური მუსხელაშვილი
აზნაური მელვინეთხუცისშვილი
აზნაური სავარსამიძე
აზნაური ფურცელაძე
აზნაური ტერისშვილი
აზნაური ჩრდილელი
აზნაური გარსევანასშვილი
აზნაური კალატოზისშვილი
აზნაური როსტევანასშვილი
აზნაური მანუჩაროვი
აზნაური უთნელისშვილი
აზნაური მახატელი
აზნაური ყარაგოზისშვილი
აზნაური მირზაშვილი
აზნაური ზარდიასშვილი
აზნაური ზანდუკელი
აზნაური ლორის-მელიქისშვილი
აზნაური ქალანთრისშვილი
აზნაური გილდასშვილი
აზნაური ბაზლიძე
აზნაური ფატრელისშვილი

აზნაური ოქრომჭედლისშვილი
აზნაური ბერძნისშვილი
აზნაური ალექსისშვილი
აზნაური მარკოზისშვილი
აზნაური ლარაძე
აზნაური ნახუცრისშვილი
აზნაური ფასიტაშვილი
აზნაური ჭარუაშვილი
აზნაური მახვილაძე
აზნაური ზავარაშვილი
აზნაური ჯავარაშვილი
აზნაური რჩეულაშვილი
აზნაური ქუმსიაშვილი
აზნაური დავითისშვილი
აზნაური ურქმაზასშვილი
აზნაური ხეროდინასშვილი
აზნაური თავყულისშვილი
აზნაური წითელაშვილი
აზნაური იშხნელისშვილი
აზნაური ელარასშვილი
აზნაური მიქელისშვილი
აზნაური ფარიამანისშვილი
აზნაური შახოვი
აზნაური დიდებულიძე
აზნაური ფანიასშვილი
აზნაური ორჯონიკიძე
აზნაური საყვარელიძე
აზნაური ცალქალამანისძე
აზნაური მადათაშვილი
აზნაური ფირადასშვილი
აზნაური უზნაძე
აზნაური ოთონასშვილი
აზნაური კოტეტისშვილი
აზნაური გრიგოლაშვილი
აზნაური ფარესასშვილი

აზნაური შავერდასშვილი
აზნაური ბათისშვილი

აზნაური გოგიბედაშვილი
აზნაური ელიოზისძე

## საკათალიკოსო აზნაურნი.

აზნაური მაღალაშვილი
აზნაური ელიოზისშვილი
აზნაური თუხარელი
აზნაური ქარსიძე
აზნაური თაზისშვილი
აზნაური ქადაგისშვილი
აზნაური კვალიასშვილი

აზნაური ზუმბულიძე
აზნაური ყოვარიშვილი
აზნაური ბოჭორაძე
აზნაური ეგაძე
აზნაური ალსაბაძე
აზნაური ბადაშვილი

ერეკლე
*ივნისის კვ წელსა ჩოჲგ*

## თავადის ერისთვისშვილის აზნაურნი

აზნაური კორინთელი
აზნაური ლოლაძე
აზნაური თულაშვილი
აზნაური ხმალაძე
აზნაური უთნელისშვილი
აზნაური სრესელი
აზნაური ფავლენიშვილი
აზნაური მრულისშვილი
აზნაური მაჭავარიანი

აზნაური ალექსიშვილი
აზნაური ბასილისშვილი
აზნაური ჩუბინიშვილი
აზნაური ტატისშვილი
აზნაური მანურისშვილი
აზნაური ძამელაშვილი
აზნაური კობახიძე
აზნაური განძიელი
აზნაური ჯაფარიძე

## თავადის ბარათაშვილის აზნაურნი

აზნაური არეშიშვილი
აზნაური ბერძნისშვილი

აზნაური გოსტამისშვილი
აზნაური ბლორძელი

აზნაური სადუნაშვილი
აზნაური ნამორაძე
აზნაური ლამაზასშვილი
აზნაური გეთასანაშვილი
აზნაური ყიფიანი

### თავადის მაჩაბლის აზნაურნი

აზნაური რჩეულაშვილი
აზნაური ნაბიჭვრისშვილი

### თავადის დიასამიძის აზნაურნი

აზნაური მახვილაძე
აზნაური გობირეხვასშვილი
აზნაური ხუცისშვილი

ერეკლე
*ივნისის კჱ, წელსა ჩღპგ*

### თავადის ციცისშვილის აზნაურნი

აზნაური მელვინეთ-ხუცისშვილი
აზნაური კლიმიასშვილი
აზნაური ორჯონიკიძე
აზნაური უთრუთისშვილი
აზნაური ალიბეგისშვილი
აზნაური დანდლისშვილი
აზნაური სტელისშვილი
აზნაური დაფქვიასშვილი
აზნაური ქართველისშვილი
აზნაური აბრამისშვილი
აზნაური ობლიძე
აზნაური მალრაძე
აზნაური ალექსიძე
აზნაური ბუნიათისშვილი
აზნაური დეკანოზისშვილი
აზნაური წინამძღვრისშვილი
აზნაური ფურცელაძე
აზნაური ჩინჩალაძე
აზნაური ქურდევანიძე
აზნაური ჩაკაშვილი
აზნაური იოთანამისშვილი
აზნაური მწყრაძე
აზნაური საყვარელიძე
აზნაური ალიყულაშვილი
აზნაური საფარაშვილი
აზნაური გვარამაძე
აზნაური საამისშვილი
აზნაური ავლადასშვილი

აზნაური მუჩიძე
აზნაური გულბადისშვილი
აზნაური ბუდეტაური
აზნაური ხუცისშვილი
აზნაური ხაზარაძე
აზნაური რევაზისშვილი

თავადის თარხნისშვილის მოურაოვის აზნაურნი

აზნაური ცალქალამიძე
აზნაური ჩიგაძე
აზნაური ჯაჯანაშვილი
აზნაური ჯავარაშვილი
აზნაური კარგარეთელი

თავადის ამირეჯიბის აზნაურნი

აზნაური ბაქრაძე
აზნაური მონავარაშვილი
აზნაური ბადრიასშვილი

ერეკლე
*ივნისის კზ, წელსა ჩოპგ*

თავადის ამილახორისშვილის აზნაურნი

აზნაური ზედგინიძე
აზნაური ქარუმიძე
აზნაური ბასილაშვილი
აზნაური ლიპარიტისშვილი
აზნაური ტარსაიჭასშვილი
აზნაური ზაალისშვილი
აზნაური ყანჩიელი
აზნაური ჩიკოიძე
აზნაური თუხარელი
აზნაური ალექსისშვილი
აზნაური მურაჩასშვილი

სამთავრო და სამროვლო და საოთახეო აზნაურნი

აზნაური ანანიაშვილი
აზნაური მამაცაშვილი
აზნაური შატბერასშვილი
აზნაური დეკანოზისშვილი

## თავადის ბაგრატონის-დავითისშვილის აზნაურნი

აზნაური ტატისშვილი
აზნაური რიკაძე
აზნაური რამინისშვილი

## თავადის ჯავახისშვილის აზნაურნი

აზნაური აბულვარდისშვილი
აზნაური მახვილაძე
აზნაური ზაალისშვილი
აზნაური ბექანისშვილი
აზნაური გამყრელიძე
აზნაური ნინიაშვილი

## თავადის ფავლენიშვილის აზნაურნი

აზნაური ნამორიძე
აზნაური წვიმეტიძე

## თავადის ფავლენიშვილის აზნაურნი

აზნაური ნათისშვილი
აზნაური ოლძაელი

ერეკლე
*ივნისის კბ, წელსა ჩღპვ*

## თავადის მუხრანის ბატონის ბაგრატოვანის აზნაურნი

აზნაური რატისშვილი
აზნაური ზედგინიძე
აზნაური მუსხელაშვილი
აზნაური ვაჩიანიძე
აზნაური ქავთარაძე
აზნაური ელიოზისშვილი
აზნაური ბაქრაძე
აზნაური მესხიშვილი
აზნაური ნათისშვილი
აზნაური ნასიძე
აზნაური წიწინაძე
აზნაური შალიღაშვილი
აზნაური ნანაშვილი

## თავადის აბაშიძის აზნაურნი

აზნაური ყიფიანი
აზნაური სავანელი (აბაშიძე)
აზნაური ჩხეიძე
აზნაური რუსისშვილი
აზნაური ორჯონიკიძე
აზნაური გოდაბრელიძე
აზნაური ნაცვლისშვილი
აზნაური ავალიანი
აზნაური ალექსიძე
აზნაური ჩიკოიძე
აზნაური ალხაზისშვილი
აზნაური ნემსაძე
აზნაური რაბადასშვილი
აზნაური მაჭავარიანი
აზნაური ჭაშიტაშვილი
აზნაური კორძაია
აზნაური ჭაშიაშვილი
აზნაური დუშიაშვილი
აზნაური ხაშარაძე

## თავადის ფალავანდისშვილის აზნაურნი

აზნაური გოგიბაშვილი
აზნაური შალბელიჩქისშვილი
აზნაური შალიბასშვილი
აზნაური სამარღანისშვილი
აზნაური ხუციშვილი
აზნაური ლაშხი
აზნაური ნაგლაძე

## თავადის ჩხეიძის აზნაურნი

აზნაური მაჭავარიანი
აზნაური ქართველისშვილი
აზნაური რამინისშვილი

## თავადის თაქთაქისშვილის აზნაურნი

აზნაური ციმაკურიძე
აზნაური ღონენაშვილი

ერეკლე
*ივნისის კდ, წელსა ჩღპგ*

## თავადის ჯამბაკურიან-ორბელიანის აზნაურნი

აზნაური ჩაჩიკასშვილი
აზნაური კობახასშვილი

აზნაური ყაითმაზაშვილი
აზნაური დოვრათასშვილი
აზნაური ბაგრატისშვილი
აზანაურშვილი გარაყანიძე
აზანაურშვილი მიწობლიძე
აზანაურშვილი გველესიანი
აზანაურშვილი მაჭავარიანი
აზანაურშვილი აზაურაშვილი
აზანაურშვილი ბახუტაშვილი
აზანაურშვილი თუშმალიშვილი
აზანაურშვილი გოგნიაშვილი
აზანაურშვილი სულხანისშვილი
აზანაურშვილი მელვინეთხუცისშვილი
აზანაურშვილი მგალობლისშვილი
აზნაური ტარიელისშვილი
აზნაური ყოინიძე
აზნაური ხანდამასშვილი
აზანაურშვილი ზალდასტანიშვილი
აზანაურშვილი ხირსელაშვილი
აზანაურშვილი ბოსტაშვილი
აზანაურშვილი პოპიაშვილი
აზანაურშვილი გომელაური
აზანაურშვილი ესიტაშვილი
აზანაურშვილი ოზაშვილი
აზანაურშვილი ალაშვილი
აზანაურშვილი ყავრიშვილი
აზანაურშვილი მიქელაშვილი
აზანაურშვილი ტარიელაშვილი

ერეკლე
*ივნისის კზ, წელსა ჩღპგ*

## ქვემო ქართლის – ეთნო-ისტორიული მიმოხილვა

მრავალტანჯულ, მშრომელ, მამაც, თავისუფლებისმოყვარე, ავკარგიან ქართველი ხალხის თავზე თვით წისქვილის ქვაც კი დატრიალდა. უდავოდ მართალია ცნობილი მწერალი და ისტორიკოსი ლევან სანიკიძე როცა ამბობს, რომ **დედასაქართველომ ასიათასზე მეტი ბრძოლა გადაიტანაო.** ბუნებრივად იბადება კითხვა: რამ გადაარჩინა ურიცხვი მტრების შემოსევებისგან? ურჯულოებმა ხომ არაერთხელ სცადეს აღეგავათ ქვეყანა პირისაგან მიწისა და დავიწყებისთვის მიეცათ ყოველივე ქართული.

სამმა ძალამ დაგვიცვა აღმოფხვრისგან – **სარწმუნოებამ, მამულის ტრფობამ** და **ჩვენი წარსულის სიამაყემ**.

ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა ყოველთვის იცოდნენ მეზობლის ყადრი. მეგობრებისადმი დიდ ერთგულებას იჩენდა. მრავლისმეტყველია პოეტის სიტყვები, – „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. იგივე აზრია გატარებული ქართულ ანდაზებში: „ძმა ძმისთვისო – შავი დღისთვისო“, **ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი** – ეს სიტყვები ყოველი ქართველის გულისთქმას გამოხატავს. ამის ნათელი დადასტურებაა ქართველი და სომეხი ხალხის ურთიერთობის მაგალითი. ოდითგანვე ერთმანეთის ჭირ-ვარამის მოზიარენი იყვნენ. რამდენჯერ განსაცდელის დროს მხარში ამოსდგომია ქართველი სომეხს და ბევრჯერ სომხებისაკენ გამოსროლილი ტყვიისთვის ქართველს მიუშვერია მკერდი, ულმობელი მტრისგან შევიწროებული და დევნილ სომეხს ქართველი მუდამ მფარველობდა. ყოველთვის მხარში ედგნენ, ქომაგობდნენ, იცავდნენ, მატერიალურადაც ეხმარებოდნენ. სჩუქნიდნენ ტაძრებს, ციხეებს, მამულებს, ტყეებს, სოფლებს; გვარიშვილობითაც აწინაურებდნენ, ზოგს აზნაურობასა და თავადიშვილობას უბოძებდნენ. შეძლებულნი ქართველ ყმებს მამულიანადაც ყიდულობდნენ. ზღვარი ორ მოძმე ქვეყანას შორის თითქმის წაიშალა. ამ ხალხების ეთნიკურ-მორალური სახე სომხურ წყაროებში გამოიკვეთა გამოთქმებში: **„ქართველ-სომეხთა მეფე“, „ქართველ-სომეხთა მხედართმთავარი“, „ქართველ-სომეხთა ლაშქარი“, „ქართველ-სომეხთა ათაბაგი“**...

ქართველთა სტუმართმოყვარეობით მოხიბლული ჰოჰანესი 1436 წლით დათარიღებულ ჰიშატაკარნაში „სახსოვარი“ წერდა: „...კწანელ

ყოველ ერს, კაცსა და ქალს, მოხუცსა და ყრმას, მებაღესა და ყველა მშრომელს, ვისაც ჩვენთვის ლუკმაპური და ქვის ჭურჭლით წვნიანი მოჰქონდა, ან დოქით წყალს გვაწვდიდა, ქრისტე ღმერთმა ასკეცად მიუზღოს თითოეულს ამ ქვეყნად, ხოლო საიქიოს – ათასწილად და უწყალობოს სასუფეველი ცათა".[1] ამ საბუთის გადამწერი კარაპეტა, თავის მხრივ, მადლიერებით იხსენიებს მუხრანის სოფელ ვარდისუბნის მცხოვრებლებს რომლებსაც მის მიმართ თანაგრძნობა და ყურადღება გამოუჩენიათ. იგი აღნიშნავს: **„სხვა ყველა ჩვენს გამომკვებს, რომლებიც ამ სოფელში გვაჭმევენ, ვინ ბევრსა და ვინ ცოტას, მიეზღოს ქრისტესაგან, ჩვენი ღმერთისგან, ამინ!"**.[2]

**გრიგორ დარანაღცი** ერთგვარად აჯამებს მეფე სიმონ I-ის სიცოცხლის ბოლო დღეებს, გვაწვდის ცნობას იმაზე თუ რარიგ მზრუნველობას იჩენდა სომეხი ხალხის მიმართ. „ის უბედური სომხების დიდი მოსიყვარულე და განსაკუთრებით ვარდაპეტების დიდი პატივისმცემელი იყო, იმდენად, რომ როდესაც დიდი ვარდაპეტი იაკობი ეახლა სანუგეშებლად, საპყრობილეში მყოფმაც კი (იმყოფებოდა სტამბოლის ტყვეობაში), თავისი პატივისცემის მრავალი ნიშანი უჩვენა მას. გაგვიგონია რომ თავის ქვეყანაში ასევე იქცეოდა. ჩვენც ვიხილეთ იგი, როდესაც კარიდან შევიხედეთ მის საკანში, მაგრამ თურქმა მცველებმა ახლოს მისვლისა და საუბრის ნება არ დაგვრთეს".[3]

სომეხი ხალხის ისტორიული უბედობა და ქართველთა სტუმართმოყვარეობა განაპირობებდა ქართულ მიწაზე სომეხთა მომძლავრებას. მიგრაცია განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნიდან. აქ ისინი „ხარაბა ადგილებზე" სახლდებოდნენ. ცხადია, რომ გაუთავებელ ომებში აოხრებულ სოფლებსა და ქალაქებს, დანგრეულ სარეწებს აღდგენა სჭირდებოდათ, საჭირო იყო ცხოვრების გამოცოცხლება. „...საჭირო ცოცხალი ძალის სიმცირის გამო, ამ ადგილებში ქრისტიანი სომხების ჩასახლებას დიდად დაზიანებული ქართული ფეოდალური ეკონომიკისათვის სისხლის გადასხმას უდრიდა".[4]

ამ პერიოდში გადმოსახლებულები დიდად ემადლიერებიან ქართველებს სრულიად სომხეთის კათალიკოსი ჰაკობ ჯუ – ღაეცი (1667 წ.) სიგელში ქებით იხსენიებს როსტომ მეფის სომეხთა შეფასებისა და მათდამი კეთილი განწყობისათვის.[5] ესაი ჰასან ჯალალაიანის თქმით, ვახტანგ VI-ს განზრახული ჰქონია სომეხთა მოზიდვა თბი-

ლისში საცხოვრებლად.[6] ზემო წალკისკენ მიმავალ გზის პირას მდებარე პატარა ეკლესიის ტრაპეზის კამარის თავზე სომხურ წარწერაში, ვკითხულობთ: **„აშენებული იქნა მარიამ ქართველთა დედოფლის მიერ სომეხ ტომთაგანის მოსახლეობისათვის 1617“.**[7]

607 წელს მოხდა ქართული და სომხური ეკლესიების გათიშვა. სომეხთა მამამთავრები ამბობდნენ: ქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში ერთი მქადაგებლის გრიგოლ განმანათლებლის დაარსებულია, ამიტომ ორივე ქვეყანას ერთი და იგივე სარწმუნოება უნდა ჰქონდესო. ამავე აზრს იზიარებდნენ ცურტაველი სომხებიც, სმბატ გურგანის მარზპანი და გიგი დაშტის მთავარი. „რაკი ჩვენ ერთი მოძღვრის მოწაფენი და ხვედრი ვართ, ამიტომ ჩვენც იმავე სარწმუნოებით უნდა ვცხონდებოდეთ, რომლითაც მამანი ჩვენნი-ო“.[8]

საბერძნეთიდან მიღებულ ქრისტეს მაღალ მოძღვრებაზე აღზრდილ ქართველ სამღვდელოებას საკუთარი შეხედულებები ჰქონდათ სომხური ეკლესიის დოგმატებზე.

ჩვენი ეკლესიების მწყემს-მთავრებს შეგნებული ჰქონდათ თუ რაოდენ საჭირო ძალას წარმოადგენდა ორი მოძმე ერის-ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობა, კიდეც სცადეს დავით აღმაშენებლის დროს (1089-11-25წ.წ.), სომეხ-გრიგორიანთა შემოერთება, მაგრამ წმინდა სურვილი, რომელსაც სიკეთის მეტი არა მოყვებოდა რა შეუსრულებელი დარჩა.

XVII ს-ში (1636 წ.) ოსმალეთმა და სპარსეთმა შუაზე გაიყვეს საქართველო. დაიმორჩილა ორივე კათალიკოსის სამწყსო. ქართველი მეფეები მთელი ორი საუკუნის მანძილზე იღებენ მაჰმადიანობას, კათოლიკობა დიდ განსაცდელში ჩავარდა. დამცირება, შევიწროება, ფიზიკური განადგურება, - კათალიკოსთა წილხვედრი გახდა. მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე მოქცეულმა **როსტომ** მეფემ მეტეხის ციხიდან გადმოაგდებინა ძმათმოყვარე კათალიკოსი **ევდომოსი,** სპარსთა და ოსმალთა მხრიდან დევნა არ ასცდა ვახტანგ მეფის ძმას, - დომენტის. სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ტერიტორიის მთლიანი დაპყრობის (XVI ს.) შემდეგ ამ მხარეში ძალდატანებით გავრცელდა ისლამი. ირანის შაჰები ადგილობრივი ძალის შექმნისა და ეროვნულ-ტერიტორიული ერთიანობის მოშლის მიზნით ქვეყნის შუაგულ ტერიტორიაზე ასახლებდნენ მუსლიმან ტომებს. მმართველი წრის წარმომადგენლები, ქართლისა და კახეთის მეფეებს ძალდატანებით

ამაჰმადიანებდნენ, ურჩებს სიკვდილით სჯიდნენ (ლუარსაბ II, 1622 წ., ქეთევან დედოფალი, 1624 წ.); ქართლსა და კახეთში XVI-XVII ს-ის 40-იან წლებამდე შაჰები სამეფო ტახტზე, როგორც წესი, გამაჰმადიანებულ ქართველებს სვამდნენ.

ქრისტიანობის სამი მიმართულებიდან — კათოლიკობა, მართლმადიდებლობა, პროტესტანტიზმი და მრავალი სექტიდან 1054 წელს უპირატესობა ორმა მიმდინარეობამ — კათოლიციზმმა და მართლმადიდებლობამ მოიპოვა. XVI საუკუნიდან ქართველ ღვთისმსახურ კათოლიკეთა გვერდით თანდათონობით ფეხი მოიკიდა ვატიკანის მიურ კავკასიის კათოლიკებისთვის დამტკიცებულმა სომხურენოვანმა რიტმა (ტიბიკონმა). სწორედ ამ დროიდან აიმღვრა წყალი. სომხურენოვანი რიტის დანერგვას თან მოჰყვა რიგი გაუგებრობა, რასაც ჩვენი წინაპრები სათანადო შეფასებას ვერ აძლევდნენ. უცხოეთში გადახვეწილმა ზოგიერთმა ვაი მეცნიერმა მსოფლიოს ამცნო და მოჰყვა იმის მტკიცებას, თითქოს არსებობდა **დიდი არმენია,** რომელშიც ქართლის ტერიტორიის ნაწილიც შედიოდა. მათ სპარსელებიც და თურქებიც კვერს უკრავდნენ. მიზეზი გასაგებია. **ოღონდ „გურჯის" სახსენებელი არ ყოფილიყო და ყველაფერზე თანახმა იყვნენ. ცარიზმსაც გულზე არ ეხატებოდა ქართველობა.** რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მოლოდინს გადააჭარბა. ქართველი კათოლიკეს, გრიგორიანსა თუ მართლმადიდებელს არ არჩევდა, მისი აზრით მთავარი ის იყო, რომ ყველანი ქრისტიანნი იყვნენ, ამისდამიხედვით ცრუ წარმოდგენა ექმნებოდათ ეროვნულობაზე. **სარწმუნოებასა და ეროვნულობას (ტომობრიობას) აიგივებდნენ.** ბედკრული სომეხი იძულებული ხდებოდა დაევიწყებინა საკუთარი ენა, რჯულს კი არ იცვლიდა, ეროვნებას არ ღალატობდა.

ერთმორწმუნე, ისტორიულად მეგობარ ხალხში აღმოჩნდნენ უმადურებიც, **მიხეილ თამარაშვილის** გამოთქმით ვაი მწერალ-მეცნიერთა „გუნდი", რომლებიც შეეცადნენ შეთითხნილი ნაწერებით ჟურნალ „მშაკის" „მწერლები" **თამაზოვი; პატკანოვი, სარუხანი, ნახაპეტიანი, ემინი, ხუდაბაშოვი, ერიცოვი** და სხვანი, რომლებმაც თავიანთი წერილებით ჩირქი მოსცხეს ქართველი ხალხის ეთნოისტორიას, ერისას, სტრაბონი ჯერ კიდევ პირველი საუკუნის დასაწყისში აყვავებულ მდგომარეობაში რომ გვიხატავდა, რომელმაც ხელოვნებით შემკული ეკლესია-მონასტრებით, სამკაულებითა და

მანუსკრიპტებით მოჰფინა როგორც საკუთრივ საქართველო, ისე საბერძნეთი და პალესტინა... ქვეყანა, რომელმაც ძველადვე თარგმნა ფაჰაურ ენაზე შედგენილი სანსკრატული მოთხრობა „ქილილა-დამანა“, „ვისრამიანი“, შექმნა დიდებული პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“. იმ ხალხს რომელთა შესახებ დიდ საქმეებში სახელდებულნი სწავლულნი ჟან-სენ-მარტენი, ვივიან და სენ-მარტენი, დუბუა დე-მონპერე ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ **ქართველნი ისტორიულნი მოთხრობანი ღირსშესანიშნავნი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისთვისო.** ამასთან დუ-ბუა დე-მონპერე იხსენიებს ქართველებს, ვითარცა ძველის-ძველ ერს, რომელიც უხსოვარი დროთაგანვე ამიერკავკასიას დარაჯად სდგომია და ყველა სხვა ცნობილთა ერთა თანა ურთიერთობა ჰქონია“.[9]

**1918 წ. სტამბოლში დაბეჭდილი გახმაურებული ფანტასტიკური რუკის კონტურებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი. როგორც სომხეთში, ისე ევროპაში სამხრეთ საქართველო და კახეთი არმენიის ნაწილად გამოცხადდა.** ასევე აისახა საზღვარგარეთ გამოცემულ რუკებზეც. ძირითადი სიმძიმე ქართველთა ხელოვნურად გასომხებისა და გამაჰმადიანებისა ქვემო ქართლის რიგ სოფლებთან ერთად ამ რეგიონებზე მოდის. ასეთ ქმედებას სხვათაშორის ადრეულ საუკუნეებიდან ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ მასობრივი ხასიათი XIX ს-ის მეორე ნახევარში მიიღო, როცა ქართულ მიწაზე უხვად გაჩნდა სომხური ეკლესიები და დაბადების წიგნთა წარმოება რუსულ ენაზე ტერტერების მონაწილეობით დაიწყო.

**მრავალ მიზეზთა გამო ქართველი სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას ღებულობს, ბავშვს ტერტერა ნათლავს და ურჩევს სახელს.** ჯერ კალენდარულ სახელებს არქმევდნენ. ამან ხელი არ შეუშალა „მამაოუფლებს“ სომხურისთვის მიესადაგებინათ. მაგალითად, **არტემამ** (ბერძ.) „ჯანმრთელი“, „უვნებელი“, მოგვცა **არტაშა, გიორგიმ** (ბერძ.) „მიწის მუშა“, „მიწათმოქმედი“, **გეო, გევო, გევუა, გეურქა, გრიგოლ-იმ** (ბერძ.) „მღვიძარე“, „ფხიზელი“, **გრიქულა, მათემ** (ძვ. ებრ.) „ღვთის კაცი“, „ღვთის ნაჩუქარი“, **მატია, მანასემ** (ებრ.) „დავიწყებული“ (ან: „დამვიწყებელი“) **მინასა, მოსემ** (ებრ.) „წყლიდან ამოყვანილი“ (გადარჩენილი), **მოვსესა, მოსიკა, სარგისმა** (ასურული) **სარქისა, არუთენა, არუფინამ** (**არუთინა,** თურქ-სპარსული), **იაკობიმ** (ებრ.) „მიმყოლი“, „მიმდევარი“, **აკოფა; ვარდენა,**

**ვარდო, ვარდიამ, ვართანა, ედუარდიმ** (გერმ.) „საკუთრებაზე მზრუნველი“, **ედიკა, ვანომ, – ვანიკა, ვლადიმერმა** (ძველი სლავური სახელია) **ვლადიკა, თადეოზმა** (ასურული) „ბრძენი“, **თათეოზა, ივანე, იოანემ, – ოჰანეზა, ლევანმა** (ლეო, ლეონ ლათ. „ლომი“) **ლიოვა**,... სახელები **მალხაზ-ი** (ქართ.) „ცქვიტი“; „კოხტა“; „ლამაზი“; **მამუკა** (ქართ.) გვხვდებოდა მამუკელა, მანუჩარ (ირან.) „ციური (სამოთხისებური სახის მქონე“; **მიქელა** (ძვ.ებრ.) „ღვთის სწორი“, „ღვთაებრივი“ (სიტყვასიტყვით: „ვინც ღმერთივით არის“), **მურად** (არაბ.) „სასურველი“, **ნაზარი** (ძვ.ებრ.) „ღვთისადმი შეწირული“ (სიტყვასიტყვით: „მან თავი ღმერთს შესწირა“, „ღმერთს უძღვნა“), **ოთარი** (არაბ.) „სურნელოვანი“, „ნელსაცხებელი“, „წამალი“, **პავლე** (ლათ.) „პატარა“, „მცირე“ (სპარ.) „მოხუცი“, **რევაზ** (არაბ.სპ.), „კმაყოფილი“, **როსტომ** (სპ.) „ლომი“, „გმირი“, **სტეფანე** (ბერძ.) „გვირგვინი“, **ფარსადან** (სპ.) „ბრძენი“, „სწავლული“, „მეცნიერი“, **ქობულ** (ქართ.) ვარიანტია ქვაბული, **ჯავახ** (ქართ.) და სხვ.[10] სომხურ საშენ მასალად იქნა გამოყენებული და მათგან ნაწარმოები ქართველთა გვარები სომხურ ეთნოსს მიაკუთვნა. **მალხაზიშვილი** (გახდა **მალხაზოვი**, შდრ. ქართ. **რჩეულიშვილი**, სომხური მალხასიანი ძირი სპარსულია), მა**მუკაშვილი** (მამუკოვი, მამუკიანი), **მურადაშვილი** (მურადოვი, მურადიანი), **ნაზარაშვილი** (ნაზაროვი, ნაზარიანი), **ოთარაშვილი** (ოთაროვი), **პავლიაშვილი** (პალიანცი, კუმისი), **ზაალიშვილი** (ზალიანცი, კუმისი), **რევაზიშვილი** (რევაზოვი), **როსტომაშვილი** (როსტომოვი), **სტეფანეშვილი** (სტეფანოვი, სტეპანიანი), **ფარსადანაშვილი** (ფარსადანოვი), **ქობულაშვილი** (ქობულოვი), **ჯავახიშვილი** (ჯავახიანი);

სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნების პროცესი XVII საუკუნიდან გააქტიურდა. წმ. ბასილის კრეპის არქიმანდრიტი ნიკიფორე ირბახი (ჩოლოყაშვილი), რომელმაც კარგად იცოდა ევროპული და აზიური ენები (კათოლიკობა მიიღო რომის პაპის თანდასწრებით), რამდენჯერმე მოახსენა და შესჩივლა „კონგრეგაციას“ (კათოლიკურ ეკლესიაში ერთგვარი წესდების მქონე მინისტრების გაერთიანება), რომ საქართველოში ქართველებს არათუ ათათრებენ, არამედ ასომხებენ კიდეცო. **სომხები ქართველ თავადებისგან ყიდულობენ მიწებს ყმაგლეხებითურთ და შემდგომ თავიანთ რჯულზე გადაჰყავთო.** 1640 წელს ავგუსტიანელების ორდენის ძმას ამბროზიოს „კონგრეგაცი-

ისთვის" საქართველოდან ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია: ,,ჩვენი მონოზნები ე.ი. ლათინის) ამ ქრისტიან ქართველებში დიდი სიკეთის ქმნას შეიძლებდნენ, მათ შეძლება რომ ჰქონდეთ ქართველთ სოფლების იმგვარად შესყიდვისა, როგორც ამას სომხები სჩადიან. თუმცა ქართველებს სომხების დიდი სიმძულვარე აქვთ სარწმუნოების მხრივ, გარდა როდესაც სომხების ყმები ხდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზედ. ქართველები უეჭველია დიდის სიამოვნებით მიიღებენ ლათინის წესს, თუ ჩვენი ყმები გახდნენ".[11]

კათოლიკობის წინააღმდეგ ბრძოლაში სომხეთის სამღვდელოებას მხარს უბამდნენ ქართველი მეფეებიც. კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დოკუმენტი (1750 წ.) გვაუწყებს, რომ მეფემ დევნა დაუწყო თბილისელ კათოლიკებს, და იმავე წელს თათრის ყაენმა **არღუნმა** გააზნაურა. არღუთას შთამომავალი იმავე სახელით საქართველოში 1410 წელს მოვიდა, განაახლა მონასტერი სანაინი და იქ დასახლდა. ძენი მისნი **არღუთაშვილად** იწოდნენ. ერეკლე მეორემ მათ სანაინთან მიმდებარე მიწები და ხრამის ახლოს მდებარე სოფელი ავლარი (ავრალო) აჩუქა. ეკატერინესთან დადებული ხელშეკრულებით არღუთაშვილებს თავადობაც ებოძათ და იოსებ არღუთაშვილის თხოვნით **არღუთაშვილ-მხარგრძელები არღუთაშვილ-დოლგორუკოვად გაფორმდნენ.**

საინტერესო მაგალითი აქვს აღწერილი აკაკი წერეთელს წერილში **,,ჩემი აღსარება"**. იგი მიგვანიშნებს ქცევაზე რომელიც წესად იყო ნაქცევი. **სომეხი ქართველ ქალს, რომ შეირთავდა, არა მარტო შვილი ინათლებოდა სომხად, არამედ ცოლიც სომხდებოდა.** შემდეგ ქართველი კაცი სომეხ ქალს თუ შეირთავდა იგი პირობას ჩამოართმევდა საქმროს, რომ შვილთა ნაწილი მის რჯულზე მოენათლა. წესი კანონადაც გაფორმებულა. ,,საქართველოს კალენდარში" (1889 წ.) აღნიშნულია: **,,მართლმადიდებელნი ვერ შეუღლდებიან სხვა რჯულის პირებთან თუ სარწმუნოებას არ გამოიცვლიანო"**.

აკაკი წერს: ,,ერეკლე მეორეს ერთი იმერელი, **შანშე გამყრელიძე** ახლდა, რომელიც ძალიან უყვარდა ვაჟკაცობისათვის. ერთხელ უბრძანა მეფემ: შანშე მოწყენილი რადა ხარო?

– ქალი მიყვარს! – მიუგო დარცხვენით.

– მერე რატომ არ შეირთავ?

– ქალი არ შვრება!

– როგორ? რა დაგიწუნა, რომ არ უყვარხარ. თვალტანადობა თუ ვაჟკაცობა?

– არც ერთი, შენი ჭირიმე! მაგრამ სომხის ქალია და ჩემ რჯულს ერიდება.

– მეტი არაფერი? არ იცი რომ ისინი ქრისტიანები არიან? **თუ ის არ გადმოდის, შენ გადადი იმის წესზე და დაიწერე ჯვარიო.** მეფის ბრძანება ასრულდა. დღეს მათი ნაშიერები **შანშიაშვილები** არიან. სომხებად აღიარებენ თავს არათუ მარტო რჯულით ტომობითაც კი. ამგვარივე არიან სხვა გვარებიც. **დუჩიძე, მუჩაიძე, გველესიანი, ხატისაშვილი** და სხვანი და ეს ყველა რას გვეუბნება, თუ არა იმას, რომ 60-იან წლებამდე განსხვავება არ ყოფილა სომხებსა და ქართველებს შუა?!...

– 60-იან წლებში, კავკასიონი რომ დაიმორჩილეს და ბატონყმობაც გადავარდა, ხმალს ფასი აღარ ჰქონდა. ხმალთან ერთად დაეცა ქართველობაც. ხმლის ადგილი ფულმა დაიჭირა. ქართველებს აღარ დაურჩათ და რომ ჰქონებოდათ მაინც მოხმარება არ იცოდნენ. მაშინ ჩამოშორდნენ ერთმანეთს ხმალ-დაკარგული, გაღარიბებული ქართველები და ფულიანი სომხები. იმათ ერთმანეთის აღარა გაეგებოდათ რა!... ტყუილად კი არ გვიხატავს გ.ერისთავი ერთს თავის კომედიაში შემდეგს: უფულო, უცბად გაკოტრებული ქართველი მიდის ერთ ფულიან სომეხთან და ხმალს უგირავებს. სომეხი თვალს დააჭყეტს და ამბობს თავისთვის: ვა, გიჟია?! რკინაში ოქრო-ვერცხლს თხოულობსო!... ქართველსაც უკვირს; ეს ხმალი პაპაჩემის ნაქონია... ერთ სოფლადა ჰღირს და ამას კი რამდენიმე გროშის მოცემა ეზარებაო. ორივე თავისაზე დგას და ერთი მეორის ვეღარა გაუგიათ რა. სწორედ ამისთანა დროს 60-იან წლებში გაჩნდნენ საქართველოში უცხო ქვეყნებიდან სომხები და თან შემოიტანეს თავისი პროგრამაც: **იმათ უნდოდათ, რომ სასომხეთის აღსადგენად აღთქმითი ქვეყანა მოენახათ და ამნაირი ქვეყნად კიდეც შიიჩნიეს საქართველო.** ცხადია, რომ, რაც მალე აუსრულდებოდა მათი თანაზრახვა, ისა სჯობდა. ოღონდ კი ხელში ჩაეგდოთ საქართველო მოსყიდვით, დაგირავებით, ქალაქებში გამრავლებით, თუ სხვაგვარ როგორმე არაფერს საშუალებას არ ერიდებოდნენ. მაშინ იყო, რომ მათმა ყველა წოდებამ იერიში მიიტანა გაოცებულ და პირდაღებულ ქართველებზე. როგორც ცხოვრებაში ვაჭრობაში გამოცდილმა ხალხმა, საქმეს შო-

რიდან მოუარა: **იწყეს მისი დამტკიცება, რომ საქართველო ისტორიულად არასოდეს არ არსებულაო და, რასაც საქართველოს ეძახდენ, ის სულ სასომხეთი იყოო.** ამ მოსაზრებით სიმართლე გათელეს. მათი ისტორიკოსები ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ისტორიაც არა აქვს და „ქართლის ცხოვრება" შეთხზული ზღაპარია და ისიც ტერტერებისაგანო (პროფესორი პატკანოვი). მეცნიერები პოლიტიკას უკიჟინებდნენ (ეზოვი და სხვანი) და რომ მეტი გასავალი ჰქონოდათ მათ სიტყვას, უცხო ენაზე წერდნენ. უპირველესმა მათმა პოეტმა რაფაილ პატკანიანცმა, რომელიც კამარ-ქათობის ფსევდონიმით გამოდიოდა, დაწერა ქართველებისადმი ზიზღით სავსე ლექსი. ის ლექსი აბგარ იონისიანმა „არძაგანკ"ში" დაბეჭდა. იქ პირდაპირ იყო ნათქვამი: **„წყეული იყოს ის სომეხი, რომელსაც ქართველი ძიძა ჰყოლოდეს და ქართველის ძუძუ ეწოვოსო"**. იმავ დროს სამღვდელოება ამბიონიდან ჰქადაგებდა: სომხებს ქართველებთან ერთობა ნუ გექნებათ და შეჩვენებული იყოს ის სომეხი, რომელმაც ქართულის ოჯახში ან შეიტანოს და ან გამოიტანოს მირონიო!... აქ რაც ჩამოვთვალეთ, ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ გადაფიცვა აღარ მოხერხდება და აბა ერთი, კეთილი ინებონ და გვიჩვენონ სომხებშიც რომ რომელიმე წოდების, ანუ წრის ქართველს ამგვარი რამე სომხების საწყენი და საკადრისი წასცდენოდეს, არა თუ წერილობით სიტყვაც კი?!... ასეთ ვითარებაში იყვნენ ისეთი ქართველები, რომლებიც ყურს იყრუებდნენ, თვალს ხუჭავდნენ, პირში წყალს იგუბებდნენ, ზოგჯერ ბანს აძლევენ. სიმართლე მანამდე უნდა ითქვას ვიდრე ყველაში როგორც ერთში არ ამოიძირკვება „სომხი ყლაპიას" უცნაური გამოხდომები. ჩვენი სურვილია ჩვენს შორის ისეთივე განწყობა იყოს როგორც ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ.

ჩვენ „ქილილა და დამანას" ზღაპრისა არ უნდა მოგვივიდეს; იგი ერთ ზღაპარში გვეუბნება: „ორი შავარდენი ერთ მტრედზე ჩხუბობდნენ და მტრედი კი ორივეს ქორმა გამოსტაცა".[14]

წერილის სტილი და პირდაპირობა მიგვანიშნებს, რომ საქმე ისეთ სერიოზულობამდე მისულა, რომ აკაკიც ალაპარაკებულა, საქმეში ჩარეულა და სომეხთა შემარცხვენელი პირების საქციელი სააშკარაოზე გამოუტანია. მოთმინების ფიალა აუვსია იმ გარემოებას, რომ კონფესიურ საკითხებში დაწყებული უთანხმოებანი სამოქალაქო საქმეებშიც გადაზრდილა.

XX ს-ის დასაწყისში თბილისი მთელი კავკასიის მხარის სატახტო ქალაქად და სხვა ერთა ბინად იქცა. XX საუკუნიდან დაწყებული თურქეთიდან დევნილი სომხებისა და ბერძნების მოსახლეობის დიდი ტალღა აქეთკენ დაიძრა, სადაც კარგად მოეწყნენ, ქონება შეიძინეს და ვაჭრობა გააჩაღეს. ზოგიერთი ქართველიც გადაიბირეს, ამფსონათ გაიხადეს და სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოაქციეს. უნდობლობა და შუღლი გაჩნდა მოსულ სომხებსა და აქ დამხვდურთა შორის.

-ხშირად ასეთნაირად იყვნენ ერთმანეთის წინააღმდეგ ატეხილნი არამარტო ქართველი და სომეხი, არამედ მოსული სომხის წინააღმდეგ თვით ადგილობრივი სომეხიცო, - წერდა 1911 წელს გაზეთი „თემი" (?7, 24 იანვარი).

საქალაქო საქმეებში ბრძოლას, მმართველობაში თანამდებობრივი სავარძლებისთვის დაწყებული შუღლი გასცდა ეროვნულ საკითხს და ეკონომიური ხასიათი მიიღო. აქ უკვე როგორც იტყვიან აივსო ქართველი კაცის მოთმინების ფიალა. როგორ შეურიგდებოდა კაცი იმას, რომ მოსული ელემენტი მის მიწაწყალზე, მის ხარჯზე გამდიდრებულიყო და ადგილობრივი მკვიდრი შეეზღუდა, საკუთარი სახლიდან გაეგდო.

**გავიხსენოთ ისტორია.** ვიდრე საქართველო რუსეთის იმპერიაში შევიდოდა მართვა-გამგეობა ქართველების ხელში იყო, ბურჟუაზია როგორც ყოველთვის მთავრობას უმაგრებდა ზურგს და ქართველი ერის უერთგულესი კლასი იყო. ქართული სახელმწიფოებრივი ძალა მაინცდამაინც ძლიერი ხელებით არ ბოჭავდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერების ხალხს, რის გამოც მეზობელი ერის ბურჟუაზიას ეროვნული ელფერი თუ სრულებით დაკარგული არა, ძალიან გამქრალი მაინც არ ჰქონდა. ის ასიმილაციის კანონს სრულებით ჰყავდა დამორჩილებული.

მოვიდა სხვა დრო. ბინადარი ხალხის მთავრობა, სხვა ნივთიერად მძლავრი ერის მთავრობით შეიცვალა. ეროვნულ იდეამ გაიღვიძა. მან აქაური სომხური ბურჟუაზიის წრეებშიც შეაღწია. იგი განსაკუთრებით მგრძნობიარე გახდა მას შემდეგ რაც ოსმალეთში სომხების ჟლეტა დაიწყეს. პირველი მსოფლიო ომამდე თურქეთის ტერიტორიაზე (უპირატესად დასავლეთ სომხეთში) 2,5 მილიონამდე სომეხი ცხოვრობდა. 1916 წელს 1 მილიონზე მეტი მხეცურად ჟაჟლ-

იტეს, ხოლო ცოცხლად გადარჩენილთა უმრავლესობა ქვეყნიდან გააძევეს.[15]

კონფესიური დავა განსაკუთრებით გამწვავდა 1900-იან წლებ-ში. ამის საბაბი გახდა დედით ქართველისა და მამით სომეხი მღვდ-ლის **არარატიანის** საჩივარი, რომელმაც იქადაგა, რომ **ქვეყანაზედ ქართველი კათოლიკეები არ არიანო და ის კათოლიკეები თავიანთ თავს ქართველებად რომ აღიარებენ სომხები არინო.** ამ ამბავმა მთავრობამდე მიაღწია. მთავრობამ ამ საჩივრის გამოძიება დაავალა ვინმე იგნატიევს. შემოწმების ობიექტად აიღეს ახალციხე და მისი მხარე. „კვლევა-ძიებას" შედეგად ის მოყვა, რომ 1886 წლის 16 იანვარს გამოვიდა მისი უდიდებულესობის ბრძანება, რომლითაც აიკრძალა ქართული ენის ხმარება სომეხ-კათოლიკეთა (ამაში მოათ-ავსეს ქართველი კათოლიკეებიც) და ლათინთა ეკლესიებში, და კათო-ლიკეთა ორად სომხებად და ქართველებად განაწილება (როგორც ეტყობა მთავრობამ გაიზიარა მომჩივარის აზრი და მიიჩნია, რომ მხოლოდ სომეხი კათოლიკენი არსებობდნენ).

საქმეს ბრძანებამ ვერ უშველა. ქართველ კათოლიკეთა ეკ-ლესიებში ისევ ქართული ენა იხმარებოდა. ამჟამად საჩივრით მიუ-მართავთ შინგან საქმეთა მინისტრისათვის. საჩივარი გადაუგზავნიათ ტირასპოლის ეპისკოპოსისათვის (რადგანაც სარატოვის ეპარქიაზე იყვნენ მიწერილი კავკასიის კათოლიკეები, 1892 წლის 5 სექტემბრის №491 განკარგულებაზე, იქიდან სომეხ-კათოლიკეთა სამმართველო ღებულობს ასეთი შინაარსის შეტყობინებას: „შინაგან საქმეთა მინ-ისტრი მატყობინებს მე, რომ სამინისტროში მოსულა ცნობები, ვითომც ტფილისის საიმის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, 1886 წ. 16 იანვრის უმაღლესი ბრძანების წინააღმდეგ ღვთის-მსახურებას აღასრულებდნენ ქართულს ენაზედ, რადგანაც უმაღლესი ბრძანება შეეხება არა მარტო ზოგიერთ ნაწილს ღვთის-მსახურებისას, არამედ მთელს ღვთის-მსახურებას, ამისათვის მინისტრი მთხოვს მივიღო ღონისძიებანი, რომ ჩემდა რწმუნებულს ეკლესიებში ქართული ენა არ იხმარებოდეს. ძველადგანვე დასავლეთის ეკლესიაში ჩვეულებადაა, — წერს ტირასპოლის ეპისკოპოსი, — რომ ღვთის-მსახურება ლათ-ინურ ენაზედ წარმოებდეს, მხოლოდ აღმოსავლეთის სომხის ეკლე-სიაში — მარტო სომხურ — საეკლესიო ენაზედ. ამისდამიუხედავად კავკასიაში, როგორც ლათინთა, ისე სომეხთ ეკლესიებში შემოვიდა

ჩვეულებად, საეკლესიო ენის გარდა სამშობლო ენის ხმარება. ეს კი ეწინააღმდეგება ტრიენტის კრების (1545-47, 1551-52, 1562-1563 წ.წ.) და პაპების კლემენტოს XI და პიოს XI დადგენილებებს. ამისათვის ვთხოვ სასულიერო სამმართველოს, დაავალოს სამღვდელოებას, რომ ამგვარი ბოროტ-მოქმედება აღარ იქმნას შეტანილი ეკლესიებში" (ე.ი. მშობლიურ ენაზე არ უნდა შესრულებულიყო ღვთის-მსახურება). ამ საკითხზე წამოწყებულ დავას ცუდი სუნი ასდიოდა. დაწყებული მოძრაობა აბათილებდა როგორც საქართველოში ქართველ-კათოლიკეთა არსებობას, ისე რომის მისიონერთა მრავალსაუკუნოვან მოღვაწეობას, რომლებმაც ბევრი იღვაწეს და ნათელი კვალიც დატოვეს. მათ XVII საუკუნიდან ბევრზებევრი გააკათოლიკეს როგორც ქართველები ისე სომხები არა მარტო თბილისში, არამედ გურიაშიც, ქუთაისში, სამეგრელოში და ყველაზე მეტად ახალციხეში.

წამოჭრილ დავას აქტიურად გამოხმაურებია იმდროინდელი პრესა. **ვ.შილდელი** „ივერიაში" გამოქვეყნებულ სტატიაში (1897 წ.) „ორიოდე სიტყვა ქართველ-კათოლიკეთა შესახებ" აყენებდა კითხვას „მაშ რატომ ეხლა არ უნდა არსებობდნენ ის ქართველები, რომლების შესახებ ისტორია გვეუბნება, რომ იმათ კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღესო? მაშ, თუ სომხებმა კათოლიკობა მიიღეს და ისევ სომხებად დარჩნენ ეროვნებით, რატომ ის ქართველები კი ისევ ქართველებად არ უნდა დარჩენილიყვნენ, რომელთაც კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღეს? თუ ამის თქმა შეიძლება: „სომეხ-კათოლიკენი" (სომხები, რომელთაც კათოლიკობა მიუღიათ), „ქართველ-მაჰმადიანნი" (ქართველები, რომელთაც მაჰმადიანობა მიუღიათ), რატომ „ქართველი კათოლიკეები"-ის თქმა კი არ შეიძლება იმ ქართველების შესახებ, რომელთაც კათოლიკობა მიუღიათ? მაშ, სომხებმა, რომ მართლ-მადიდებლობა მიიღოს, იგი რუსად გადაიქცევა? ან ქართველად? ან ბერძნად? თუ ისევ სომხად დარჩება, მხოლოდ სარწმუნოება ექნება შეცვლილი, ე.ი. გახდება მართლ-მადიდებელ სომხად. ისეა ქართველ კათოლიკეთა საქმეც: იმათ მხოლოდ სარწმუნოება აქვთ შეცვლილი, დანარჩენი საერო ნიშნები კი ისევ ეტყობათ. შთამომავლობა-გვაროვნობა, ენა, ხასიათი, ზნე-ჩვეულება, გარეგანი შეხედულება, ყოველივე ქართული აქვთ, მხოლოდ სარწმუნოება კი შეიცვალეს.

ავტორი მოგვიწოდებს რათა სომხური ტიბიკონის ქართველი

არ აურიოთ სომეხ-კათოლიკეებში. პირველნი, — ამბობს იგი, — ეროვნებით ქართველები, ხოლო მეორენი სომხები არიან. მათ ეროვნულ თვისებებში სრული განსხვავებაა და თუ ორივენი ერთსა და იმავე საეკლესიო წესებს მისდევენ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, **გვარამაძე, მეფისაშვილი, გოკიელი, ბეზირგნიშვილი** და სხვანი ქართველები არ არიან? ვის გაუგონია, რომ „ძე"-ზედ და „შვილ"-ზედ სომხური გვარი ბოლოვდებოდეს და არა ქართული? სარწმუნოებისა და ეროვნების არევა შეუძლებელია. **მართლმადიდებლობა** ერთ-ერთი საერთო ნიშანთაგანი იყო ქართველი ერისა. ამ ნიშნის გარდა, მასვე აქვს სხვა ეროვნული ნიშნები: **ენა, ზნე-ჩვეულება, განსაკუთრებული ეროვნული თავისებურებანი, გარეგანი შეხედულება.** ქართველების ერთმა ნაწილმა შეიცვალა ერთ-ერთი თავისი საეროვნო ნიშანი — სარწმუნოება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მან შეიცვალა სხვა ეროვნული ნიშნებიც, რომ სრულიად დაკარგა თავისი ეროვნული სახე.[16]

იმ ხანებში შექმნილ ვითარებას კარგად გვიხატავს ქართველი-კათოლიკე **ი. დათებაშვილი.** სტატიაში „კიდევ რამდენიმე სიტყვა ქართველ-კათოლიკეთა შესახებ („ივერია", 1897 წ.) წერს: „იყო დრო, როდესაც ჩვენს ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვა გაისმოდა. და ჩვენი მამა-პაპანი სტკბებოდნენ ქართულის გალობითა და ლოცვით... იქ, სადაც გაისმოდა ქართული გალობა, იქ, სადაც ჩვენი მამანი ალტაცებით ისმენდნენ და ავედრებდნენ ღმერთს სამშობლოს ენაზედ, იქ დღეს ისმის სომხური ალილუია. რისთვის? რატომ არ გვაქვს საკუთარ ენაზედ წირვა-ლოცვა? რად უნდა იყოს ჩვენს ეკლესიაში სომხური ენა, როდესაც საკუთარი ენა ჩვენცა გვაქვს".

აი, ამის შესახებ რას ამბობენ სომხები: თქვენ სომხის შთამომავლობისა და სომხები ხართო! ქართველებს ძალით გვასომხებენ! ქართველის შვილი, ქართველად დაბადებული, სომეხიაო, გაიძახიან. გვიპასუხონ ერთი:

რა მიგვიგავს სომხებს? ან რა გვცხია იმათი? ტუჩი, თუ ცხვირი? ზნე, თუ ჩვეულება? ენა, თუ წესი?

ვისურვებ... სადაც ჯერ არს, იშუამდგომლოს ჩვენმა სამღვდელოებამ, რათა ჩვენც მოგვცენ ნება, დავტკბეთ საკუთარს სამშობლოს ენაზედ გარდახდილის წირვა-ლოცვით".

დიდ ილიასა და აკაკისთან ერთად ვაჟა-ფშაველამ დიდი როლი

შესრულა ქართული კულტურის ისტორიის დარგში დაწყებული მეცნიერული კვლევა-ძიების სწორად წარმართვის საქმეში.

ამ პერიოდში ისტორიკოსთა ერთ ნაწილში თავი იჩინა ძველი ქართული კულტურისადმი არასწორმა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ. ისტორიკოსთა ეს ნაწილი იდგა რა მცდარ გზაზე, უგულებელჰყოფდა ძველი ქართული კულტურის ორიგინალურ ხასიათს და ეროვნულ თავისთავადობას, ცდილობდა, ხელოვნური, უსაფუძვლოდ აკვიატებული აზრით, მიუსადაგი მაგალითებით დაესაბუთებინათ ყოვლად გაუმართლებული თეზისი იმის თაობაზე, თითქოს ქართული ენა და არქიტექტურა სომხური ენისა და არქიტექტურის უბრალო განშტოება იყო. „ამ ახალმოდის „მკვლევართ რომ ავყვეთ, წერდა ვაჟა, – შეიძლება მთელს ჩვენს ისტორიულ წარსულზე ხელი აგვაღებინონ, რადგან ცდილობენ მთელი ჩვენი ისტორია, კულტურა ქარსა და წყალს წააღებინონ. ამის ნიშნები ნელ-ნელა ჩნდება: ჯერ ხანად ჩვენმა ისტორიკოსებმა ჩვენი არქიტექტურა დაუკავშირეს სომხურს და ორივე ერთსულ და ერთხორც ჰყვეს, ტყუპებად აღიარეს, რომელი სამეცნიერო მეთოდის ძალით, - არ ვიცი!... ბოლოს, არაფერი გასაკვირი არ არის, ჩვენი არქიტექტურა სომხურს დაუქვემდებარონ, როგორც ჩვენი ლექსიკონი დაუქვემდებარეს, დაუმორჩილეს სომხურს, საქმე იქამდის მიდის, პურის და წყლის სახელიც სომხური ენიდან ნასესხებად აღიარონ“.[17]

ვაჟას არაერთგზის გამოუთქვამს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ე.წ. „**მჟავე პატრიოტიზმისადმი**“, ე.ი. უსაფუძვლო ეროვნული ქედმაღლობისადმი, მისი აზრით, ჭეშმარიტი ობიექტურობა ისტორიკოსისათვის ერთადერთი სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს, მაგრამ ამ ობიექტურობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ჯანსაღ, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს, სიმართლის თქმას, საკუთარი ერის, ღირსეული წარსულის ღირსეულად დაფასებას. ამიტომ ის მკაცრად აკრიტიკებდა იმ ქართველ ისტორიკოსებს, რომლებიც „მჟავე პატრიოტიზმის“ ბრალდების შიშით, საკუთარი ერის წარსულის სიდიადეს, სათანადო გულმოდგინებითა და აქტიურობით ვერ იცავდნენ, ხოლო ხშირად ამ მხრივ საქართველოს ისტორიის საკითხებზე მომუშავე უცხოელ ისტორიკოსებსაც კი ჩამორჩებოდნენ. „**საკვირველია ღმერთმანი** – წერდა ვაჟა, – **უცხოელმა ორიენტალისტებმა აწამებინეს ჩვენებური ორიენტალისტებს, რომ ქართველები მემკვიდ-**

**რენი ვართ ძველი ურარტელებისა, რომელნიც კულტურით მაღლა იდგნენ ასურეთ-ბაბილონელებზე. თუ უცხოელები არა, ჩვენები ვერ გაჰბედავდნენ ამის თქმას, რადგან პრინციპი „ობიექტურობისა“ არ მისცემდა ნებას თავის ერის ქებისას, დიაღ, სცხვენიათ კარგის თქმა საქართველოზე, მქავე პატრიოტი არავინ დაგვიძახოსო. ეს ვაჟკაცობად მიაჩნიათ, იმას როდილა ფიქრობენ, რომ სირცხვილი ის კი არ არი თავისი დიდება ადიდო, თაყვანი სცე,- არამედ ისაა სირცხვილი ეს დიდება მაღლიდან დაბლა ჩამოაგდო ლაფში და ფეხით გასთელო, - ვერ გაჰბედო სთქვა სიმართლე“.**[18]

სიტყვამ მოიტანა და კვლავ დავესესხოთ აკაკის, რადგანაც იგი თითქოსდა აგრძელებს ვაჟას აზრს. **„ზოგიერთები „სომხიყლაპიას“ მეძახიან და ეს უსამართლობა, რომ შევიფერო შეუძლებელია!...** მწამს ქრისტეს მოძღვრება და არავინ მიმაჩნია სამარიტელად; თანასწორად ვუყურებ ელინსა და იუდიანს, როგორც ადამიანებს. ყოველი ერი, რა ტომისაც უნდა იყოს, მიყვარს და თანამგრძობი ვარ, თუ ის თავის ქერქში ეტევა და საკუთარი ეროვნული სწორი გზით მიდის!... მაგრამ როცა რომელიმე ერი მარტო თავისას აღარ სჯერდება და მოინდომებს სხვა ერების დაჩაგვრით ამაღლებას, სხვების უბედურებით საკუთარ ბედნიერებას და სხვების ჩაყლაპვით გასუქებას, მე იმ ტომის თანაგრძნობა აღარ შემიძლია. ამ შეგნებით გამოვედი მე იმთავით ცხოვრების სარბიელზე და ამ ბარგითვე მივდივარ სამარისკენ. და რაღა გასაკვირველია, რომ სომხებიც, ეს ჩვენი ქრისტიანი მეზობლებიც ჩვენგან ერთად ერთი ისტორიულ ტაფაში ნაწვავ-ნადაგი, მიყვარდეს და თანავუგრძნობდე? - და მაშ რაღა უფლება, ან სიმართლე აქვს ვისმეს, რომ მე „სომხიყლაპია“ დამიძახოს? ნათქვამია „კვამლი უცეცხლოდ არ იქნებაო“. მაგრამ კვამლიც არის და კვამლიც. სახლს რომ ბოროტ-განზრახვით ცეცხლს წაუკიდებენ, ბოლი ავარდება... კვამლი ადის!.. საცეცხურში, რომ საკმეველს ჩაჰყრიან და უკმევენ, ან ხატს რომ წმინდა სანთელს აუნთებენ, კვამლი მაშინაც ადის, მაგრამ უფრო დიდი...“

## წყაროები და ლიტერატურა


1. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, რიშატაკარანი №54.

2. იქვე, ჰიშატაკარანი №62.

3. ლაიოშ ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ. 1980 წ.- გვ.170.

4. გ.მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ.- 1982 წ.- გვ.165-16.

5. იქვე, გვ.16.

6. იქვე, გვ.16.

7. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, სომხური წარწერები არქიტექტურისა და მონუმენტური სკულპტურის ძეგლებზე საქართველოში უძველესი დროიდან XIX ს-მდე, თბ.- 1947, გვ.103 (ხელნაწერი ინახება მეცნიერის პირად არქივში).

8. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.1, თბ,. 1941, გვ.381.

9. იხ. ილია ჭავჭავაძე, სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი, თბ., 1941, ტ.II, გვ.427.

10. იხ. ზურაბ ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ.- 1987 წ. გვ319-379.

11. ზ.ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანები, თბ.- 1906, გვ.38.

12. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 1926, გვ.224.

13. გაზ. „ივერია“, 1884 წ. №5.

14. აკაკი წერეთელი, გაზ. „თემი“, 1911 წ.

15. 1962 წლის მონაცემებით სომხები უმთავრესად ცხოვრობენ სტამბოლში, კაისერიში, ბრუსეში, სმირნესა და სივასეში. მრავალი მათგანი შურისგებასა და დევნას, რომ აცდეს იძულებულია დამალოს თავისი ეროვნება და თავი ჩათვალოს თურქათ ან ქურთათ. ამიტომაც ოფიციალური სტატისტიკით თურქეთში მცხოვრები სომხები შეადგენენ 56 ათას კაცს. იხ. Народы Кавказа, т. II, Тб., 1962, стр.439.

16. „ივერია“, 1897 წ. ...

17. ვაჟა ფშაველა, თხზ., ტ. IX, გვ. 305.

18. იქვე, გვ.305-306.

# თანამდებობრივი პირები, ტიტულები და წოდებები ფეოდალურ საქართველოში

**„ხოლო წესნი აქუნდათ:** რამეთუ კერპთა მღუდელთა პატივნი და რიგნი იყვნენ ცალკერძად, ვითარცა სულიერთა. ხოლო სოფლიერნი: *პირველი ერისთავნი, ბ.მთავარნი, გ.აზნაურნი, დ. ვაჭარნი, ე. მსახურნი, ვ. მუშაკნი-გლეხნი* (ვახუშტი, გვ.17).

**აბდარი** (სპ.აბდარ) „წყლის მქონებელი“, ა.მეფეს, დიდკაცს წყალს მიართმევდა. ხელთ ატარებდა მეფის, დიდკაცის წამოსასხამს, სამზეურს (**პეტრე უმიკაშვილი**); სურსათ-სანოვაგისა და სასმელების გამგე, მებუფეტე (**ივ.სურგულაძე,** საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ.,..., გვ.202-203).

**აზნაური** *თავისუფალი. აზნაურიშვილი, მემამულე,* პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი, თავადზე დაბლა მდგომი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ,. 1986, შემდგომში ქეგლ.).

1. **„დიდი აზნაური“** ანუ **„გადიდებული აზნაური“**, 2. **„შუა აზნაური“**, 3. **„ცალმოგვი აზნაური“** ანუ **„მესამე აზნაური“**. უფრო საპატიოდ იყო მიჩნეული მეფის აზნაურობა, რადგანაც მეფე უფრო დიდი ფეოდალი იყო, ვიდრე თავადი. იყვნენ უყმო აზნაურებიც.

აზნაურები შედგებოდნენ „ნაწყალობევისგან“, „ნასყიდისგან“ და „მკვიდრი“ აზნაურებისგან. „მკვიდრად იწოდებოდა **ა.** რომელიც „ძველიდანვე“ ამათ მამულზე იჯდა. „ნაწყალევი“ იყო **ა.** მეფისგან დამსახურებისთვის საჯილდოოთ მიცემული.

**ათაბაგი,** ათაბეგი (თურქ. ათა-მამა, ბეგ-ბატონი). პირველი ათაბაგი იყო მალიქშაჰის ალმზრდელი ნიზამ-ალ-მულქი (XI საუკუნე).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **„ათაბაგობის“** განმარტებისას, ივ.ჯავახიშვილის დამოწმებით აღნიშნულია, რომ **„საქართველოში ათაბაგობა სამცხის მმართველთა საგვარეულო სამკაულად იქცა** (ნ.ქეგლ., ტ.I, 1950 წ.).

**თ.ი. ცანკერის** განმარტებით **ათაბაგი** თურქული სიტყვაა და ნიშნავს მეფის, მთავრის მამას (ვატერფუსტ) პრემიერმინისტრს, მაიორდომს, თურქების ტომის უფროსს, სასახლის დაცვის უფროსს, ხოლო **ათალიქი ცენკერის** ლექსიკონით ნიშნავს მეურვეს, ალმზრდელს.

„დიდი ენციკლოპედია“ ათაბაგს ასე განმარტავს:

1) **ათაბაგი** არის სელჯუკიანების სულთნის მემკვიდრის მეურვე;

2) ფეოდალური სამთავროს მეთაური აზერბაიჯანში;

3) სამხედრო დარგის ხელმძღვანელი, მხედართმთავარი საშუალო საუკუნეების ეგვიპტეში.

**ათაბაგობა** საქართველოში თამარ მეფის დროს შემოუღიათ. პირველი ვაზირის, — მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ ვაზირებს შორის პირველი ადგილი **ათაბაგს** ეჭირა. ასეთად პირველი იყო თამარ მეფის მსახურთუხუცესი **ივანე მხარგრძელი**.

**ათაბაგი** ვაზირთა პირველი სამეულის წევრი იყო. „ჴელმწიფის კარის გარიგებაში", სადაც კი ათაბაგი იხსენიება, ყველგან მისი სახელი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს მოსდევს.

**ამილახორი-ამირახორი-ამილახვარი** (არაბ-სპ. **ამირ-ახურ-საჯინიბოს** ამირა); **„ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გუარი, გარნა წესი მეჯინიბეთუხუცესობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი"** (ვახუშტი, 34).

**ამილახორი** გვიანფეოდალურ საქართველოში ქართლის ერთ-ერთი დიდებული, მეჯინიბეთუხუცესი, გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის სამხედრო უწყების მოხელე-ამირსპასალარის თანაშემწე, სავაზიროს წევრი სათათბიროს ხმით. მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნენ მეაბჯრეთუხუცესები. დარბაზობის დროს ამილახორები პატივით მეჭურჭლეთუხუცესთან და მსახურთუხუცესთან იყო გათანაბრებული.

XV ს-ის 40-იანი წლებიდან **ამილახორობა ზევდგენიძეთა** გვარმა დაიმკვიდრა. ამილახვრად სათავადო სახლის უფროსი იწოდებოდა, მისი სახლის შვილებს კი ამილახვრის შვილებს უწოდებდნენ. ამილახვრები სხვადასხვა დროს თანამდებობებზე სხედან: გორის მოურავი, ეზოს ჩუხჩარეხი, მოლარეთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, XVII ს-ში ყორჩიბაში, ეშიკაღასიბაში და სხვ. XVII ს-დან გორის მოურაობა, ზემო ქართლის სარდლობა და ამილახვრობა ეძლეოდა გვარში უფროსს, რომელიც საგვარეულო ქონებისა და მამულის გამგებელი იყო.

**ამილახვარი (ამილახვრის შვილი) შემდეგში გვარად იქცა.**

**ამილბარი-ამირბარი,** *სპასპეტი, სპასალარი, ტრიბონი, სტრატილატი, მჴედართმყანებელი, მჴედართ-მოძღვარი, მჴედართ-მთავარი,* ესე ყოველნი ლაშქარით თავნი არიან, რომელიმე უმაღლესი (+და)

რომელიმე შემდგომი. რომელიმე დიდ ფრიად, ხოლო რომელიმე შემდეგ (საბა, 51). შდრ., გვარი **ამირ(ლ)ბარაშვილი.**

**ამირეჯიბი** (არაბ. **ამირ-ჰაჯიბ**-კარისკაცთა ამირა). გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის მოხელე-მანდატურთუხუცესის თანაშემწე და ეჯიბთა უფროსი. სათათბიროს ხმით სავაზიროს წევრი. ევალებოდა სამეფოში წესრიგის დაცვა, შეთქმულებათა აღკვეთა და სხვ. **სამეფო კარზე ამირეჯიბი განაგებდა დარბაზობასა და პურობის ცერემონიალს.**

**ამირეჯიბის თანამდებობისაგან წარმოდგა გვარი ამირეჯიბი-ამირაჯიბი.**

**ამირსპასალარი** (არაბ.-სპ. **ამირ**-უფროსი, სპ. სეფაჰსალარი-სარდალი), გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ვეზირი, მთავარსარდალი, განაგებდა მუდმივ ჯარს, მეფის მონა-სპას, სახასო მამულებიდან და სამფლობელოებიდან გამოწვეულ ლაშქარს და სხვა ქვეყნებში დაქირავებულ რაზმებს.

**ბაზიერთუხუცესი** „ბაზიერთუხუცესი, ამისა კელისა იყო: სრულიად ბაზნი, ბაზიერნი, მეძაღლენი, ძაღლნი, ტყეთა და ველთა მცველნი, სანადიროთა" (ვახუშტი, 22).

შდრ. **ბაზიერი** მექორე, მეშავერდნე(ნი). **ბაზიერი** (სპ.) (ძვ.) **ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველი** (ქეგლ.).

**ბატონი** პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ბატონყმობის დროს. მიწისა და ყმების პატრონი, მემამულე. თავაზიანი ხსენება ან მიმართვა ვისამე.

**ბოქაულთუხუცესი** მათი უფროსი. საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის მაღალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში, მეფის განკარგულებათა შემსრულებელი.

**ბოქაული** იასაული (თურქ.) მეფის რუსეთში-პოლიციის მოხელე, რომელსაც ებარა უბანი (ქალაქში) ან მაზრის ნაწილი (სოფლად). სასამართლოს ბოქაული. სასამართლოს აღმასრულებელი.

**დარბაზი** სამეფო დიდი სახლი (საბა). - ერთიან ქართულ სამეფოში სახელმწიფო საბჭო, მთავრობა, შედგებოდა ხუთი კაცისგან: მწიგნობართ უხუცესი - ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატართუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი.

**დიდებული** პირი რომელიც ეკუთვნოდა უმაღლესი ფეოდალური კლასის ფენას, რომლებმაც უკვე VII-IX საუკუნეებში შექმნეს

დიდ-დიდ აზნაურები. როცა XV საუკუნეში ფეოდალური არისტოკრატია დაიყო ცალკეულ თავადთა წოდებად, მათ შორის დიდებული თავადები ანუ უბრალოდ დიდებულები იყვნენ შედარებით ვრცელი ტერიტორიების მფლობელები და ეკავათ მაღალი თანამდებობები: XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლში დიდებულებად ითვლებოდნენ ხუთი-ექვსი შედარებით მსხვილ ფეოდალთა ოჯახის უფროსები.

**ერისთავი** (ძვ.ქართ. „ერი“ ხალხი, ჯარი და „თავი“ უფროსი, გამგებელი). ისტორიულად საფეოდალო ერთეულის მმართველი, თემის გამგებელი და მპყრობელი. ჯარის თავი, ჯარის უფროსი.

**ეშიკაღაბაში – ეშიკ-აღას-ბაში** (თურქ.) - მეფე როსტომის დროს მან შეცვალა მანდატართუხუცესი, აღმასრულებელი აპარატის უფროსი, ყურადღებას აქცევდა სამეფო კარზე წესრიგს, ობერცერემონმაისტერი. XVIII-XIX საუკუნეში ეს თანამდებობა ითარგმნება რუსულად და უდრის გენერალ-ადიუტანტს.

**ვეზირი-ვაზირი** (არაბ.ვაზირუნ) მინისტრი, მინისტრებისა და დიდმოხელეთა ტიტული მრავალ მუსლიმანურ სახელმწიფოში. საქართველოში სულ ექვსი ვეზირი იყო: **მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი** და **მსახურთუხუცესი.**

**თავადი** „ხოლო წესი მთავართა იყო გუარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი, ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივ-იცემოდა. არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გუარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე, ხეობანი, და თვნიერი ამისა არა ისახელებოდა მთავრად“ (ვახუშტი, 17).

**თავად-ი**(ძვ.) დიდგვარიანი ფეოდალური წრის, უმაღლესი წოდების წარმომადგენელი. ქართლში თავადი სამი ხარისხისა ჩანს (იხ.ვახტანგ VI-ის სამართლის კანონთა კრებული).

**კათალიკოსი** (ბერძ. *საყოველთაო, მთავარი*) – უმაღლესი სასულიერო პირის (პატრიარქის) წოდებულება. ქართულ (აგრეთვე სომხურ) ეკლესიაში საკათალიკოსო – კათალიკოსის საგამგებლო.

**ლაშქარნივისი** – მეფის ჯარის მომარაგების უფროსი, ობერპროვიანტმაისტერი.

**მანდატური** (იხ.იასაული)

**მანდატურთუხუცესი** „ხოლო როსტომ აელისუფალთა უწო-და - მანდატურთუხუცესსა-უშიყალასი“. „მანდატურთუხუცესის აელისა იყო: მანდატურნი, ბოქაულთუხუცესნი, ბოქაულნი, მებჭენი, მეკრე-ნი, ქონდაქარნი, სარანკანი (სარანგი არის რაოდენთა კეთილთა უფროსი, რათა მათ მიერ ბოროტნი კაცნი შეშინდნენ (დავით) და ნადიმობის წესი, და წინამძღოლა მეფისა, მოასენება ნადიმსა და ამაედრებულისა ამის მიერ იყო მეფისა (იქვე, 21).

**მ.** - XI-XV საუკუნეებში ერთიან ქართულ სამეფოში შინაგარ საქმეთა მინისტრი.

**იასაული** — XVII საუკუნის შუახანებში იგივე იყო რაც ბოქაული და მანდატური, აღმასრულებელი და სასამართლო აპარა-ტის უმცროსი ჩინი, პოლიციელი.

**იუზბაში** (თურქ.) — მეასეულე.

**მდივანი** — (სპარ.) XV საუკუნიდან უსტართა მწერალი, წიგ-ნის მწერალი, მწიგნობარი, მდივანი.

**მდივანბეგი** (არაბ-თურქ-სპარს.), ტერმინი ნასესხებია სპარ-სულიდან (ირანიდან), სადაც აღნიშნავდა უზენაეს მოსამართლეს; უკვე XVII საუკუნის დასაწყისში შეცვლა მსაჯულთუხუცესმა; საქართველოში მუდმივი სამეფო მოსამართლე, დასაწყისში ასეთი მოსამართლე იყო ცოტა, ხოლო XVIII საუკუნიდან მათმა რიცხვმა სამ ათეულს გადააჭარბა; მრჩეველი, მსაჯული (არაბ-თურქ.) „სასა-მართლოს ბატონი“.

**მდივანბეგთუხუცესი-მდივანბეგების უფროსი.**

**მდივან-ნაზირი** — კანცელარიის დამცველი.

მეაბჯრეთუხუცესი, სამხედრო უწყების მოხელე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. **მ.აბჯარ** — საჭურვლის მთავარი გამგე. სამოხელეო ნიშნად მას „ჯრმალი“ ეკუთვნოდა. მეფის კურთხევის დროს **მ.** „ჯრმალ-შემორტყმული“ იყო და მეფის აბჯრის მტვირთვე-ლის მოვალეობას ასრულებდა (ეჭირა სამეფო ფარი, ლახტი და ქარქაში).

**მელიქი** — (არაბ.) სოფლის ან ქალაქის მმართველი. ქალაქის მელიქის თანამდებობა საქართველოში XVI საუკუნის 70-იან წლებში ჩნდება. ამ ტიტულს ადარებდნენ თბილისის, ზოგი სხვა ქალაქისა და სომხეთის პროვინციის გამგებლები.

**მეითარი** - (სპ.) **მეჰთარ** სასახლის ხელშინაური მოხელე.

**მემანდარი** – მეჰმანდარაი „ხოლო როსტომ ხელისუფალთა უწოდა-მესტუმრეთუხუცესსა-მაჰმანდარი“. მ(სპ.) კარის მოხელე, მესტუმრე.

**მერიგე** – მოხელე, რომელიც სამეფო მაგიდაზე სტუმრების განლაგებას ხელმძღვანელობდა.

**მესტუმრე** – სტუმრის მიმღები მოხელე.

**მესტუმრეთუხუცესი** – მაგიდებზე მიმაგრებულ პირების უფროსი.

**მეღვინეთუხუცესი** (ისტ.) ძველ საქართველოში, – ღვინის გადასახადის უმაღლესი მეთვალყურე.

**მეჭურჭლეთუხუცესი** (ისტ.) ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი ძველ საქართველოში – სახელმწიფო საჭურჭლის (სალაროს, საგანძურის) მთავარი გამგე )ქეგლი).

**მ.** ამისა ჴელისა იყო ყოველნი საჭურჭლენი და საუნჯენი მეფისანი, და მას შინა დაწესებულნი“ (ვახუშტი, 21).

**მეჯინიბეთუხუცესი,** საჯინიბოს გამგე, მეჯინიბეთა უფროსი ძველ საქართველოში. მ.შემდგომად იწოდა ამილახორი. ამის ჴელისანი იყვნენ: ყოველნი მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიჴნი, ჯინიბნი, ჰუნენი, ჯოგნი, რემანი მეფისანი (ვახუშტი, 21).

**მთავარი** (მთავრისა) (ისტ.) შუა საუკუნეებში უმაღლესი საერო ხელისუფლების მქონე პირი; მმართველი (ქვეყნისა, კუთხისა). შდრ.: **მ.** მწერალთა მთავარი, მღვდელმთავარი, მამათმთავარი, წარჩინებული, დიდებული, ერისთავი, მემამულე, ფეოდალი, მბრძანებელი (სამთავროსი), ძლიერი ვასალი...

**მინბაში – „მინ“** (აზერბ.) ათასი, ბაში (თურქ. თავი, უფროსი) ათასეულის უფროსი, ათასისთავი. ეს თანამდებობა ქართლში XVI საუკუნეში გაჩნდა. ზოგჯერ ქალაქის კომენდანტი.

**მისკარბაში** (მირშეკარბაში) – სამეფო ნადირობის უფროსი, ობერ-ეგერმაისტერი (XI-XV საუკუნეებში მონადირეთუხუცესი ერქვა).

**მოლარე** – აღმრიცხველი, მოანგარიშე.

**მოლარეთუხუცესი** – სამეფო ხაზინის აღმრიცხელ-მოანგარიშეთა უფროსი, ფინანსთა მინისტრი.

**მონადირეთუხუცესი** (იხ. მისკარბაში).

**მორდალი** (სპ.) მოჰრდარი ბეჭდის მცველი, სამეფო ბეჭდის შემნახველი.

**მოურავი** (ძვ.) მემამულის ქონების გამგებელი. ისტორიულად რომელიმე პროვინციის, ქალაქის, თემის და მისთ. გამგე.

**მოურავთუხუცესი** – მოურავების უფროსი.

**მსახური** – უფლის შინაყმა. მონაზონთა მოსამსახურებლად დაქირავებული საერო პირი (შდრ.ერისკაცი).

**მსახურთუხუცესი** – სასახლის კარისა და სამეფო დომენის უფროსი. დარბაზის წევრი.

**მსაჯულუხუცესი** – (სიტყვასიტყვით „მოსამართლეების უფროსი“ – მთავარი მოსამართლე, XVII საუკუნიდან მდივანბეგად იწოდებოდა.

**მწიგნობარ-ი** (მწიგნობრისა) წიგნის მოყვარული, წიგნებით გატაცებული.

**მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი** ქართული სამართლის მიხედვით მეფის მამად ითვლებოდა, ის მეფის მოადგილეობას ეწეოდა და სავაზიროს თავმჯდომარე იყო.

**მხედართმთავარი** (მხედართმთავრისა) ჯარის უფროსი, ჯარის წინამძღოლი-სარდალი. მ. ესე არს ლაშქართა შინა შემდგომი მეფისა, რომლისა ბრძანებასა ერჩიან (მორჩილობს) ყოველი მაედრობაი.

**ნაზირი** – (არაბ.) (ძვ.) სამეფო კარის ერთ-ერთი დიდი მოხელე აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში (ჩვეულებრივ გამოთქმაში: **ნაზირები** და **ვეზირები**). ნ. სხვათა (თათართა) ენაა, ქართულად სალაროს ნაზირის აბრამადი და ქარიხ(ა)ნის ნაზირს ეზოს-მოძღვარი ჰქვიან.

**ნაიბი** – (არაბ.) - მამასახლისი, მმართველის მოადგილე - სხვა თანამდებობასთან მიმართებაში-თანაშემწე, მოადგილე.

**ნასახჩიბაში** – სამეფოდამსჯელ პირთა მთავარი უფროსი.

**სადროშო** – (სიტყვიდან „დროშა“) სამხედრო ოკრუგის ფეოდალური რაზმი; ეს ოკრუგები შეიქმნა XV საუკუნეში; მასში შედიოდნენ ის თავადები რომელთა მფლობელობაშიც შედიოდა ეს სამხედრო ორკუგები. ქართლში არსებობდა ოთხი სადროშო, რომლებსაც მემკვიდრეობით ხელმძღვანელობდნენ სარდლები. სადროშოს სათავეში იდგნენ შედარებით გავლენიანი ოთხი საგვარეულოს წევრები.

**სათავდო** – ფეოდალური მფლობელობა, რომელსაც მართავდა თავადი. თავადობა, სათავადო სახლი.

**სამთავრო** – მთავრის სამფლობელო.

**სარდალი** (სარდლისა) (სპ. **სარდარ.**) ჯარების უფროსი, მხედართმთავარი, სადროშოს უფროსი.

**სახლთუხუცესი** – (ისტორიულად) სამეფო კარზე ან თავადის მფლობელობაში – სახლის გამგე, მმართველი. ერთი ვეზირთაგანი, შუასაუკუნეების საქართველოში განაგებდა სამეფო სახლის საქმეებს, მართავდა სამეფო სახლსა და დომენს, სასახლის მინისტრი, ობერ-გოფმარშალი; მის უფლებაში შედიოდა სამეფო სიგელების განმტკიცება. სახლთუხუცესებს ჰყავდათ დიდი ფეოდალები, როგორც საერო ისე სასულიერო.

**სპასალარი** - (სპ.) (ისტ.) ჯარის უფროსი, მხედართმთავარი, სარდალი XI-XV საუკუნეებში ერთიან ქართულ სამეფოში იყვნენ ცალკეული პროვინციის სპასალარები და ამირსპასალარები; ტერმინი ცნობილია მოგვიანებითაც, როგორც ირანში ისე საქართველოში.

**სუფრაჯი** – საფარეშოს მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. სუფრაჯის ძირითადი მოვალეობა მეფის პირადი სამსახურის გამგებლობა იყო. სუფრაჯები იყვნენ მებატონეები საბარათიანოში. XVIII საუკუნის დოკუმენტებში ის ითარგმნება, როგორც გოფმარშალი.

**ჩუხჩარეხი** – მეფის პირადი დაცვის უფროსი.

**ციხისთავი** – ციხესიმაგრის დაცვის უფროსი, გარნიზონის კომენდანტი.

**ხევისთავი** – ხევის თავი, ხევის (საზოგადოების, სოფლის, უღელტეხილის) მმართველი.

**ხევისუფალი** – ხევის მმართველი, ემორჩილებოდა ერისთავს.

## უცხოური სიტყვები, წოდებები და თანამდებობები

### ა

**აბაზი** — ოთხი შაური, ორმოცი ფოლი.

**აბდარბაში,** აბდრების უფროსი (ბაში) (თურქ.) თავი, უფროსი.

**აბდემელიქ,** მონა მეფისა.

**აბიათარი,** მამა ამაღლებული (ებრ.)

**აბესალომ,** მამა მშვიდობისა (ებრ.)

**აზატი** სომხურია, თავისუფალს ჰქვია (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ. 1991, გვ.41, შემდგომში „საბა)".

**აზმა** მეორე სახელი არს და ქებათაც ითქმის (საბა).

**აკაკი** (ხე) ბრინჯის-ხის ხილი

**ალამი** სპარსულად დროშა, ქართულად - სამარე ზორტი, გინა ნიშანი რამე შუბთა და მისთანათა (საბა).

**ალანდარი,** ალამდარი (არაბ-სპ. ალამდარ) მედროშე (ქეგლ.)

**ალაფი** საფენელი და ჭურჭელი (+ნატყვენავი) (საბა).

**ამბარი** სუნ(ნ)ლია, ზღვისაგან გამოიღებენ, რომელნიმე ფუტკართა დიდსა იტყვიან (საბა).

**ამბოკარი** კაცი უმამულო და უქონელი (საბა).

**ამბული** უკანა უღლეული ხარი (საბა).

**ამბონი** საქადაქო, საფსალმუნე. საფსალმუნე საქადაგებელი (საბა).

**ანდერძი** მოკვდავთაგან დარიგება.

**ანთროპონიმიკა** (*ანთროპონიმი*). **ანთროპონიმიკა** (ბერძნ. „ანთროპოს" — ადამიანი) ლექსიკოლოგიის (ზუსტად: ონომატოლოგიის) ნაწილია, რომელიც ადამიანების საკუთარ სახელთა სისტემას სწავლობს. ანთროპონიმი — ადამიანის საკუთარი სახელია (ალ.ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986, გვ.7).

**არაყი** არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინადგან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად **იყო** ეწოდების (საბა).

**არდი** შინაური ვარდკაჭაჭა (საბა).

**არონა** ყვრის ჯარის სახვნელი (საბა).

**ასლან** (თურქ.) „ლომი", მოგვიანებით მისი მნიშვნელობაა „გმირი", „გოლიათი", „დიდი" (ზ.ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ.323).

**ასლანლუ** (თურქ.) „**ასლანუც** ოთხასი მარჩილი ერთს ყურსად ჩავა ცეცხლში", ასლანი ორმოც ფარიანი თეთრი, მონეტა (ც.ჰ.); **ასლანუ**-? (ასლანლუ-სპარსეთში შემნახველია და დამკვრელია ბეჭდისა ან შტამპელისა, რომელზედაც გამოსახულია ლომი, ასლანი).

**ასული** – შვილი (ქალი).

**აუშტარი** – ორდიგანი, სასმელ-საჭმელთ გან. **აღალარი** (თურქ. აღ· – „ბატონი", აღალარ. მრავლობითში „ბატონები"), მემამულე ამა თუ იმ მხარის ბატონ-პატრონი, ფეოდალი (მაჰმადიანებში).

**აღაპ-ი** (ბერძ.) (ისტ.) წიგნი, სადაც აღნიშნულია ეკლესიის ან მონასტრის შემომწირველთა სახელები. მაგ., ჯვრის მონასტრის აღაპები; აღაპი მკვდრისათვის ჭამა, მკვდართათვის ნადიმი (საბა).

**აღდგომა-ზე** აღმართვა (საბა1.

**ახოსალარი** – მეჯორე (საბა).

# ბ

**ბადიში** შვილის-შვილი.

**ბაზი** შევარდენი, გავაზი, ქორი და მიმინო და ყოველივე მისთანანი არიან ბაზნი, რომელთა ნემესიოს ორბად სახელ-სდებს.

**ბანოვანი** დედათ-თავადი.

**ბარაპი** სხვათა ენაა, მცირე ნაწერსა ჰქვიან, ქართულად აღორათი ეწოდება (საბა).

**ბატონიშვილი** (ისტ.) მეფის შვილი, უფლისწული (ძვ.) ბატონის (მნიშვ.), შვილი (ქეგლ.).

**ბალვა** გლეჯა, ღაწვთ ხოკა

**ბალვივაში** სახლი გამამწარებელთა, სახლი სულმწარისა.

**ბებერი** ბერი დიაცი

**ბეგ, ბეგ**-ი ბატონი

**ბეგარ** (ბეგარა) გლეხთ გამოსაღები

**ბეგლარიბეგი** (ნ.ნოინი) (თურქ.) საქვეყნოდ გამრიგე დიდი

მოხელე ირანში, მის ხელთ იყო სამხედრო-ადმინისტრაციული ხელისუფლება.

**ბერი** ხანმრავალი კაცი, **ბერი** ხუცესი.

**ბივრიტი** ბივრილი ეს თვალი ზღვისა და ცის ფერია, იპოების ტავროს, ევფრატის განსავალსა.

**ბიძა** მამის ძმა, დედ-მამათ ძმა.

**ბლუ** ენა - მძიმედ, მაყენებლად მოლაპარაკე.

**ბოგანო** უაგარაკო გლეხი, აგარაკ-მცირე გლეხი. ბოგანო რაიმე ვენახი არა ქონდეს, თითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების...ვენახისა მქონე გლეხს ბოგანო არა ჰქვიან (ვახტანგ VI).

**ბროლი** ბუნებით თეთრი ქვაი არს და ჰიჰისაგანაც შეიმზადება.

**ბრძენი** დიდად ჭკვიანი.

**ბუკი** საყვირი დიდი.

## გ

**გალატოზი** (კალატოზი) კედლის მდგმელი, კედელთ მგებელი.

**გამგებელი,** ძველად გამგე, მმართველი, ქვეყნის განმგებელი

**განაყოფი** მოძმენი გაყრილნი

**გარემთავარი** მამათ-მთავარი

**გელა** თორნის სარეველა კეტი (ჯოხი).

**გზირი** სხვათა ენაა, ქართულად შულტა ჰქვიან. გზირი არის ქალაქთა და დაბათა გამგეთა უდარესი და სახლითი-სახლად მავალი, რომელსა ეწოდების შულტა (საბა).

**გინგინა** დიაკვნის ოლარი.

**გლეხი** მოსახლე მდაბიო

**გმირი** კაცი არის დიდი და საზარელი ტანითა და საქმითაცა მეტი და გარდარეული ძალითა და ბუმბერაზი-უმცირეს მათსა, უდიდეს და უმხნეს ჩვენსა (საბა).

**გოდოლი** კოშკი მაღალი.

**გომური** სახლი გლეხური.

**გუჯარი** დიდი სიგელი.

## დ

**დაბალი** (გლეხი), დაბალ საფეხურზე მდგომი, ღარიბი გლეხი.

**დაბაღი** (არაბ. დაბაღი), ტყავის გამომყვანი, ტყავის დამმუშავებელი.

**დალალი** რომელი ატარებს სავაჭროთა, სხვათა ენათა, ქართულად ფერეზიკი ჰქვიან.

**დალაქი** ვარსამი, თავის მპარსველი, თავის მომპარსავი.

**დარბაისელი** წარმოიქმნა **დარბაზიდან** თავდაპირველად დარბაზის წევრის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ხოლო შემდეგ დინჯი ადამიანის მნიშვნელობაც მიენიჭა.

**დარბაზობა** საალერსოდ სხვის სახლად მისვლა.

**დასტურლამალი** (დასტური სპარს.) ნებართვა, თანხმობა, არაბ. სახელმძღვანელო, ინსტრუქცია.

**დედინაცვალი** მეორე დედა.

**დედობილი** დედათ ხმობილი.

**დედოფალი** ქალი მეფე.

**დეკანოზი**, ხუცესთ-ხუცესი, უხუცესი.

**დესპანი** მოციქული, ელჩი, „ესე დესპანი არს მეფის მოციქული სხვას მეფესთან."

**დიაკონი** მღვდელს მოსამსახურე.

**დიამბეგი** უფროსი მოსამართლე (ძვ.) მოსამართლე, მსაჯული.

**დიდკაცობა** უფროსობა.

**დივანბირი** მწერალთუხუცესი.

**დიოფალი** უმცროსი დედოფალი.

**დრაჰკანი** ფლური, ესე არს ოთხი გრამას წონა ოქრო (საბა).

**დომენი** (ფრანგ.) სამფლობელო, მამული. შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში ფეოდალის (მეფის, ჰერცოგის, გრაფის) პირადი საკუთრება მიწაზე.

**დროშა** მწყობრთ ნიშანი ფერად-ფერადი გუნდთა და გუნდთა საცნობელი (საბა).

## ე

**ეგვტერი** (ბერძ.) ეკლესიის მოშორებით ცალკე აგებული ან ეკლესიას მიშენებული მცირე ნაგებობა; სამლოცველო. ეკლესიას მიდგმული საგვარეულო სასაფლაო, საძვალე.

**ეზოსმოძღვარი** „ეზოს მოძღუარი, ამისა აელისა იყო: ყოველნი საგანგიონი, მეფისახარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნის დარბაზისა, მეფის ტაბლისა და სანოვაგისა, ანუ სხუათა" (ვახუშტი, 22).

**ეკლესია** (ბერძ. შესაკრებელი), ქრისტიანული ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი შენობა. მორწმუნეთა კრებული, საერთო სამლოცველო, საყდარი, ტაძარი.

**ელიაღაჯი** „ბოქაული. „ხოლო როსტომ აელისუფალთა უწოდა...ელაღაჯი - ბოქაული (ვახუშტი, 32).

**ერისთვისშვილი,** ერისთავის შვილი,

**ერისკაცი** ხალხი ორი მთავარი ნაწილად იყოფებოდა... მეორე და უმთავრეს ნაწილს „ერისკაცნი" შეადგენდნენ. საერო პირი. ერისკაცი ძველად, საერო, არასასულიერო წოდების პირი, სამოქალაქო პირი.

**ერობა,** რაიმე სახალხო გართობა-დღესასწაული, დღეობა (სოფლად). ხალხის კრება. სათემო ყრილობა (ხევში და საქართველოს ზოგ სხვა კუთხეში).

**ეროვნება** გამაერთიანებელი სახელი ერისა, ხალხისა, ტომისა.

**ეშიკაღასბაში** „ხოლო როსტომ ჴელისუფალთა უწოდა... მანდატურთუხუცესსა-ეშიკაღასი" (ვახუშტი, 32). **ეშიქ** (თურქ.) ზღურბლი, **აღა**-ბატონი, **ბაშ**-თავი. საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში.

**ეჯიბი** მეფის მიერ მოლაპარკე, წინამდეგი მეფეთა, ჴელჯოხიანი უფროსი. **ე.** ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი ქართველი მეფის (დიდებულის) სასახლეში. ძველად ქორწილში მეფის პირველი მაყარი, მეფის მეჯვარე. „ხოლო როსტომ ხელისუფალთა უწოდა... ხუროთმოძღუარისა სარაიდარი, და ეჯიბი არღარა, არამედ მსგავსი მისი მეითარი... ეჯიბსათვს: ეჯიბი, ამისი ჴელისა იყვნენ ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი და ნადიმსა იგივე მიუგებდა მეფისა წილ, და მას ეტყოდნენ დარბაზის ურნი რად ენებათ მეფისა მოჴსენებად, და თავისწინაობასა შინა ვერვინ შევიდის მეფისა, თვნიერ მისსა" (ვახუშტი, 22,32).

## ვ

**ვაზირი** (ძვ.) იხ. ვეზირი

**ვარგი,** კარგი, გამოსადეგი, სავარგინი, ვარგებული. ვარგი

სვანეთში შდრ, აზნაური, გამოჩინებული.

**ვარსამი** დალაქი

**ვასალი** ფრანგ.) შუა საუკუნეებში მემამულე, ფეოდალი, რომელიც დამოკიდებული იყო სხვა, უფრო მსხვილ ფეოდალზე — სიუზერენზე (გადატანით ვისიმე ხელქვეითი, დამოკიდებული პირი).

## ზ

**ზარაფი,** საფასურით ფულის დამხურდავებელი, ზარაფ (არაბ.) ბანკირი.

**ზედამდგომელი** ზედამარდგომელი, მოსამსახურე, თავზემდგომელი.

**ზინდარი** (სპ. ზინდარი), ცხენის შემკაზმელი მსახური.

**ზინდართუხუცესი** ზინდანი, პატარა გრდემლი, ოქრომჭედლის პატარა კვერი, ოქრომჭედლების უფროსი.

## თ

**თავადიშვილ-ი** (ძვ.) იგივეა, რაც თავადი.

**თავილდარ-ი** (სპ. თაჰლიდარ) საანგარიშო დარგის მოხელე.

**თარხან-ი** (თარხნისა (არაბ.) (ისტ.) განთავისუფლებული ყმა, თავისუფალი რაიმე ვალდებულებისგან, გადასახადისგან.

**თაჯი** (არაბ.) (ძვ.) სამეფო გვირგვინი.

**თბილელი, თფილელი,** თბილისის ეპისკოპოსი (შემდგომში გვარი).

**თემ-ი** (ისტ.) ქვეყნის ნაწილი, მხარე, კუთხე. გურიის თემი - ერთად მცხოვრები მოსახლეობა-სოფელი, საზოგადოება.

**თულ-ი** იგივეა, რაც ყაჩაღი.

**თუმანი** (თუმნისა) (სპ.) ათი მანეთი.

**თუშებ-ი** ქართველ მთიელთა ერთ-ერთი ტომი.

**იერბლაყი** მეფეთაგან შეწყალების უსტარი. ესე არს მეფეთა-

გან შესაწყალებელი წიგნი.

**ილეკრო** ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბაშად.

**ისტორია** ქვეყნის ამბავი ლათინურად, ქვეყნის ამბავი.

## კ

**კაეტი** დასის თავი.

**კათედრა** (ბერძ.) მაღლა დადგმული მაგიდის მსგავსი ვიწრო დგამი (სიტყვის წარმოსათქმელად, ლექციის წასაკითხად).

**კათოლიკე** (კათოლიკისა) (ბერძ.) ვინც კათოლიციზმს აღიარებს. კათოლიკე-მისიონერები, კათოლიკე-მღვდელი.

**კათოლიციზმი** ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, რომელსაც მეთაურობს რომის პაპი.

**კალიგრაფია** (ბერძ.) ლამაზად წერის ხელოვნება; ლამაზად წერა.

**კალმასობა** (ისტ.) პურის (სურსათ-სანოვაგის) მოგროვება კალოებზე ჩამოთხოვით ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ (შდრ.: როჭიკი).

**კანდელაკ-ი** მნათე ანუ კანდლების მწმენდელი (კანდელი-სანათი).

**კანკელ-ი** ეკლესიაში - ჩარჩოებიანი ტიხარი.

**კაპანი** (კაპნისა) მთის კლდიანი ფერდის ფხა.

**კაპიტანი** (კაპიტნისა) (ფრ.) ოფიცრის ერთ-ერთი წოდებულება. გემის მეთაური, სპორტული გუნდის ხელმძღვანელი-გუნდისთავი.

**კარისკაცი** კარის (მნიშვ.) მსახური, თანამდებობის პირი მეფის კარზე.

**კახი** იგივეა რაც კახელი.

**კლარჯები** საქართველოს ისტორიული პროვინციის-კლარჯეთის მკვიდრი ქართველები.

**კლიენტ-ი** (ლათ.) მუდმივი მუშტარი, დამკვეთი.

**კნეინა** (რუს-დან) (ძვ.საუბ.) თავადის ცოლი ან ქვრივი.

**კნიაზ-ი** (რუს.) (ძვ.საუბ.) თავადი.

**კნიაჟნა** (რუს.) (ძვ.საუბ.) თავადის ქალი.

**კოდექსი** კანონთა კრებული.

**კოლხებ-ი** ძველი კოლხეთის მკვიდრი მოსახლეობა, იბერიელთა მონათესავე ხალხი.

**კონსისტორია** (ლათ.შეკრების ადგილი), კათოლიკურ ეკლესიაში: კარდინალთა თათბირი რომის პაპის მეთაურობით; რევოლუციამდელ რუსეთში: საეპარქიო ორგანო, რომელსაც ჰქონდა ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები.

# ლ

**ლავრა** (ბერძ.) ზოგიერთი დიდი მამათა მონასტრის სახელწოდება, - მთავარი მონასტერი.

**ლაზები** იგივეა რაც ჭანები.

**ლარი** საქონლის ნაწლავი, ან მჯსისგან გაკეთებული სიმი (ჩონგურისა, ფანდურისა...). გაჭიმული ბაწარი (თოკი, ძაფი). **ლარ-ი** ძვირფასი განძეულობა — ნივთი, საუნჯე, **ქართული ფულის ერთეული.**

**ლაშქარ-ი** (ლაშქრისა) იგივეა რაც ჯარი.

**ლეგიონი** (ლათ.) იგივეა, რაც პოლკი.

**ლოცვაი,** დალოცვა, ღვთისადმი ვედრება, ღვთისმსახურება.

**ლუტი** კაცი უსახლკარო (+და) უქონელი, ცალიერი.

# მ

**მამა** არის ღმერთი დამბადებლობითა. მამა არის შემქმნელი; მამად იქმიან (ითქმის) მოძღვარი, მღვდელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი. მამა არის შემქმნელი, მამა არს მოძღვარი.

**მამა-მთავარი** (მამად-მთავარი) ესენი არიან ადამ, აბელ, ნოე, აბრახამ და მისთანანი.

**მამამთილი** ქმრის მამა.

**მამამძუძე** კაცი გამზრდელი.

**მამასახლისი** სახლთ უფროსი, წინამძღუარი. არჩეული პირი, რომელიც უძღვება რაიმე მცირერიცხოვანი კოლექტივის საქმეებს.

**მანგლელი** მანგლისის ეპისკოპოსი.

**მარზაპანი,** მონაცვალე, „მარზაპანი არს გამგებელი, გინა სპათ-მთვარი. მეფეთ მონაცვლე". (მარზ-საზღვარი, პან-მცველი, მონაპირე).

**მართლმადიდებელი** მართალი შჯული.

**მადიანე** ეწოდება საღვთო წერილთა ძველის სჯულისათა; მატიანედ ითქმის ცხოვრება მსოფლიოთა კაცთა.

**მახვილი** არს მსწრაფლ განმკვეთილი რკინა; მახვილად ითქმის მსწრაფლ მხედველი თვალიცა და გონება.

**მეაბჯრე** – აბჯრის მნე.

**მებალახე,** სახელმწიფო გადასახადის, საბალახეს ამკრეფი მოხ-ელე.

**მებაჟე** ბაჟის ამკრეფი მოხელე.

**მებატონე** (მებატონისა) (ძვ.) მამულისა და ყმების პატრონი, მფლობელი - ბატონი.

**მეგოდრე** სუფრაზე გამომცხვარი პურის მომტანი.

**მეთუნე** (მეთუნისა) თიხის ჭურჭლის მკეთებელი.

**მეითარი** (სპ.) მეჰთარი სასახლის ხელშინაური მოხელე.

**მემამულე** (მემამულისა) თავად-აზნაურთა წრიდან გამოსული მიწის მესაკუთრე, მსხვილი მიწათმფლობელი.

**მემანდარი, მეჰმანდარ-ი** „ხოლო როსტომ აელისუფალთა უწოდა – მესტუმრეთუხუცესსა „მეჰმანდარი". მ. (სპარს.) კარის მოხელე, მესტუმრე.

**მეფე** გვირგვინოსანი. მეფე ეწოდების კაცსა აელმწიფესა, მაღ-ალსა და გვირგვინოსანსა, ხოლო *მეფა*, ქალსა, რომელ დედუფალი.

**მეფისწული** (ისტ.) მეფის შვილი, - უფლისწული.

**მეფსალმუნე** ფსალმუნის მთქმელი.

**მეხამლეობა** ძველად, ფეხსაცმლის. წაღის მკერავი.

**მეჯინიბე** ჯინიბის მატარებელი, მეცხენე.

**მინბაში** „მინ-(აზერბ.) ათასი, ბაში (თურქ.უფროსი) ათასეულის უფროსი, ათასისთავი. ეს თანამდებობა ქართლში XVI ს-ში გაჩნდა.

**მირონი** ესე არის კურთხეული ზეთი, მირონად ითქმის სუნ-ნელი ზეთი.

**მიტრაპოლიტი** დედაქალაქი მთავარი. მ. (ბერძ.) მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის, ეპისკოპოსთა უმაღლესი წოდებულება. ამ წოდებულების მქონე პირი.

**მკერვალი** კერვის მოქმედი, შემკერავი.

**მკერავთუხუცესი** მკერავების უფროსი, ხელმძღვანელი.

**მნათე** კანდელაკი, **მ.** ეკლესიის მსახური, რომლის მოვალეობას შეადგენს სანთლების ანთება, ზარების რეკვა და მისთ.

**მნათლავი** მღრდელი ნათლვის მოქმედი. ნათვლის მოქმედი მღვდელი.

**მონაზონი** ქალი მოწესე, ვაჟი მოწესე - ქალი რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღქმა აქვს დადებული.

**მონასპა** – (ისტ.) სასახლის მცველი მეომარი. სასახლის მსახური.

**მონასტერი** – (მონასტრისა) (ბერძ.) ბერ-მონაზონთა საეკლესიო და საადგილმამულო ორგანიზაცია, თემი, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა. ასეთი თემის ეკლესია და საცხოვრებელი ნაგებობანი, მონაზონთა სავანე, დედათა მონასტერი.

**მოქალაქე** – ((მოქალაქისა) ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომი, მისი სრულუფლებიანი წევრი (ძვ.) ქალაქის მცხოვრები - ქალაქელი, სოფლელი და მოქალაქეები (ისტ.) ქალაქის (კერძოდ, თბილისის) მკვიდრთა საშუალო ფენის წარმომადგენელი.

**მოურავი** მემამულის ქონების გამგებელი.

**მოძღუარი** – მოძღვარი უფროსი წინამძღვარი.

**მოძღვარი** მასწავლებელი, დამრიგებელი, სულიერი მამა.

**მოხელე** თანამდებობის პირი.

**მუშრიბი** (არაბ.) მწერალი, ანგარიშის დამჳერი.

**მუხრანის** ბატონი, მუხრანის მემამულე, დიდებული.

**მუჯირი** სამეურნეო ხასიათის ფუნქციების მქონე მოხელე, ხვარბლის მნე.

**მფლობელი** მესაკუთრე.

**მღებართუხუცესი,** მღებრების უფროსი.

**მღვდელი** ხუცესი, მწირველი, მწყემსი სულიერი. სასულიერო პირი - ქრისტიანული ეკლესიის მსახური, რომელიც საეკლესიო წესს ასრულებს - ხუცესი.

**მღვდელმთავარი** (მღვდელმთავრისა) უმაღლესი სასულიერო პირი (ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი).

**მღვდელმონაზონი** (ძვ.) მღვდლად ნაკურთხი მონაზონი (ბერი).

**მღვდელმსახური** ეკლესიის მსახური სასულიერო პირი.

## ნ

**ნამაზ-ი** (არაბ.) მაჰმადიანთა ლოცვა, ტილის ნამაზი.

**ნაცვალ-ი** (ნაცვლისა) სამაგირო, მაგიერი, მონაცვლე. მეფის ნაცვალი – მეფის რუსეთში – განაპირა პროვინციის მმართველი (ძვ.) სოფლის მოხელე-მამასახლისის მოადგილე, თანაშემწე.

**ნობილები** (ლათ.) დიდებული, კეთილშობილი, წარჩინებული ძველ რომში. დიდებულები, რომლებიც ნობილეტეტს ეკუთვნოდნენ; ვენეციის რესპუბლიკაში VIII-XVIII საუკუნეებში უმაღლესი წოდებ-ის პირნი. **ნობილების პარტია** - რომის პაპის საპატიო გვარდია.

## ო

**ობოლი** (ობლისა) უდედმამო, ანდა მხოლოდ უდედო ან უმამო ბავშვი.

**ოლარი** (ბერძ-დან) მღვდლის სამოსლის ნაწილი, - ყელზე ჩამოსაცმელი გრძელი და ვიწრო, ოქრო-მკერდით ნაქარგი ქსოვილი.

**ოსმალები, ოსმალოები** (ძვ.) იგივეა, რაც თურქები.

**ოჯახ-ი** (თურქ.) ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფი (ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები...).

## პ

**პატრიარქ-ი** (ბერძ.) რომელიმე ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, უმაღლესი სასულიერო პირი.

**პატრიკი** (პატრიკიოსი) (მოძვ.) იგივეა, რაც პატრიცი. ძველ რომში. პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი.

**პატრი** (ფრანგ.) საფრანგეთში: მოძღვარი, მღვდელი.

**პატრონ-ი** (ლათ.) რისამე მქონე, მესაკუთრე, მფლობელი, მფარველი, მზრუნველი, მომვლელი. (ისტ.) პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი პატრონყმობის დროს.

**პიტიახში** (სპ. (ისტ.) სახელმწიფოს განაპირა კუთხის მმართველი, მეფის მოადგილე, მთავარი.

## ჟ

**ჟამთააღმწერელ-ი** (ჟამთააღმწერლისა) (ძვ.) ისტორიული ამბების აღმწერი, - მემატიანე.

## რ

**რაიონ-ი** (ფრ.) რაიმე ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ადგილი. მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

**რელიგია** (ლათ.) მეცნიერულ მსოფლგაგებასთან შეუთავსებელი რწმენა ზებუნებრივი ძალებისა (ღმერთისა, სულებისა...) (ყოფილ კომუნისტურ საზოგადოებაში).

## ს

**სალარო** ფულის შესანახი ყუთი, კარადა. ცეცხლგამძლე სალარო.

**სარაჯ-ი** (არაბ.) უნაგირისა და ცხენის სხვა საკაზმის მკეთებელი, — მეუნაგირე.

**სარქარი** (სპ. სარქარი), სამეურნეო დარგის მოხელე.

**სასახლე** (სასახლისა), დიდი ლამაზი შენობა, რომელიც გამოირჩევა თავისი არქიტექტურით. ... წარმოადგენს მეფისა და მისი ოჯახის ადგილსამყოფელს.

**სახასო,** სამეფო ან საბატონო (გლეხი...)

**სახელო** თანამდებობა.

**სენიორ-ი**[1] (ლათ. უფროსი)

**სენიორ-ი**[2] (ესპ. ბატონი).

**სენიორია** (ისტ.) სენიორის სამფლობელო.

**სეფე** სამეფო, საუფლე.

**სიგელ-გუჯარ-ი** (სიგელ.გუჯრისა) სიგელ-ი (ლათ.) (ისტ.) მეფის ან კერძო პირის მიერ ბოძებული საბუთი. მეფის საბუთი.

**სიუზერენ-ი** (ფრანგ.) შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: მსხვილი ფეოდალი, რომელსაც მეფის უფლებები ჰქონდა მასზე დამოკიდებულები ვასალების მიმართ.

**სპასპეტ-ი** (სპ. სეფაჰბად) (ისტ.) სარდალი, ჯარების ხელმძღვანელი.

## Ⴒ

**ტაბარუკ-ი** (ძვ.) უქონელი, ღარიბი, ღატაკი.

**ტარულა** (დარულა) მოურავი.

**ტაშირ-ი** (ღია გაშლილი ადგილი მთებს შორის.

**ტერტერა** (ტერტერასი) (საუბ.) სომეხთა მღვდელი.

**ტიპიკონ-ი** (ბერძ.) საეკლესიო წესების კრებული.

**ტოგუნი** „ტოგუნის რიგი". „მაღალი მოვლებული საჯდომი", „მაღალი საჯდომი გარემოვლებით" (შდრ.: ტოგუნისძე-ტოგონიძე).

**ტომ-ი** მოდგმა, შთამომავლობა.

**ტოპონიმი** რაიმე გეოგრაფიული ადგილის (სოფლის, მთის, ტყის, მინდვრის და ა.შ.) სახელწოდება.

## Ⴓ

**უზბაში** (თურქ. იუზბაშ), ასისთავი, ასეულის მეთაური (ძვ. მამასახლისი).

**უზენაეს-ი** (ძვ.) ყველაზე დიდი, ყველაზე უფროსი, - უმაღლე-

სი. უმაღლესი მსაჯული, იხმარებოდა ღვთის ეპითეტად.

**უფალ-ი** (უფლისა) (ძვ.) იგივეა, რაც ღმერთი (წიგნ.) ბატონი, პატრონი, მბრძანებელი.

**უხუცეს-ი** ხნით, ასაკით ყველაზე უფროსი, უხნესი.

## ფ

**ფაეტონ-ი** (ბერძ.) გადასახსნელსახურავიანი მსუბუქი ეტლი.

**ფარეშ-ი** (არაბ.) (ძვ.) თავადაზნაურთა შინამოსამსახურე, ხელზე მოსამსახურე.

**ფარეშთუხუცეს-ი** (ისტ.) ფარეშების უფროსი.

**ფაშა** (თურქ.) უმაღლესი სამხედრო პირი ან სამოქალაქო წოდებულება ძველად ოსმალეთში, ეგვიპტესა და ზოგ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში.

**ფეოდალ-ი** (ლათ.) ფეოდალიზმის ხანაში - მიწისა და ყმის მფლობელი მსხვილი მემამულე.

## ქ

**ქარვასლა** (სპ.) (ძვ.) ქარავნის, ვაჭრების გასაჩერებელი, ღამის გასათევი ადგილი - ფუნდუკი; სავაჭრო სახლი, სადაც გამართული იყო საქონლის საწყობები და მაღაზიები.

**ქეშიკი** (თურქ.) მცველი, გუშაგი, წარჩინებული პირის მცველი, კარის მცველი.

**ქილიფთარ-ი**

## ღ

**ღარიბ-ი** (არაბ.) მცირე ქონების პატრონი, მცირე შემოსავლის მქონე, ხელმოკლე, უქონელი (საპირისპირო მდიდარი).

**ღატაკ-ი** მეტისმეტად ღარიბი.

**ღმერთ-ი** (ღვთისა) რელიგიური რწმენით უზენაესი ძალის

მქონე ზებუნებრივი არსება, რომელსაც მიაწერდნენ სამყაროს შექმნასა და განგებას.

## ყ

**ყმა** (ისტ.) ბატონყმობის დროს მემამულის (ბატონის) მიწაზე მცხოვრები გლეხი, რომელსაც არ გააჩნდა წარმოების საშუალებანი, ამუშავებდა მემამულის მიწას და აძლევდა მას ღალას. ყმა-გლეხი იგივეა, რაც ყმა.

**ყორჩი** (თურქ. კურჩი) მსახური, მცველი.

**ყორჩიბაშ-ი** (თურქ.) (ისტ.) მეფის შეიარაღებულ მცველთა უფროსი.

**ყულარაღასი,** მეფის მცველ მეთოფეთა უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ყ მეფეს თავს ადგა და ყ-თან ერთად მის პირად სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამასთანავე, იგი სასახლის დიდი მოხელე იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამეფოს მართვაში.

**ყული** მსახური, მცველი, მტვირთავი, ბარგის წამღები.

## ც

**ციხე** (ციხისა) სამხედრო-თავდაცვითი ნაგებობა - მაღალი გალავანი კოშკებით, შიდაციხით და სხვ.

**ციხისთავ-ი** (ისტ.) ციხესიმაგრის (ან პატარა გამაგრებული ქალაქის) უფროსი.

**ციხოვანი** (ციხოვნისა) (ისტ.) ციხის მქონე, ციხოვანი აზნაური.

## წ

**წინამძღვარ-ი** იგივეა რაც წინამძღოლი (ძვ.) აღმზრდელი, მასწავლებელი; მამათა მონასტრის უფროსი, გამგებელი — მართლმადიდებელი ეკლესიის უფროსი მღვდელი.

**წინაპარ-ი** (წინაპრისა) ძველ დროს მცხოვრები ნათესავი – ძველ დროს მცხოვრები თანამემამულე. ჩვენი დიდი წინაპრები.

**წმინდან-ი** (რელიგ.) მორწმუნეებში – ღვთისმოსავი, ღვთის მსახური (ადამიანი), რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიიჩნევენ მფარველად.

## ხ

**ხათუნ-ი** (მონღ.) (ძვ.) ცოლი; ქალბატონი.

**ხან-ი** (თურქ.) (ისტ.) მეფე, მთავარი ზოგიერთი თურქი და მონღოლი ხალხისა.

**ხევისბერ-ი** (ხევისბრისა) (ძვ.) ხევის მოთავე, წინამძღოლი როგორც საერო, ისე რელიგიურ საქმეებში (ხევში, საქართველოს ერთ-ერთ მთიან კუთხეში), მთავარი მღვდელმსახური. ხატში, - ხუცესი, დეკანოზი (ფშავ-ხევსურეთში) (ქეგლ. 577).

**ხევისთავ-ი** (ისტ.) სოფლის (ხევის) მიერ არსებული მოხელე.

**ხელისუფალ-ი**, დიდი თანამდებობის პირი.

**ხელმწიფე** მეფე.

**ხიზან-ი** (ხიზნისა) (სპ.) ძველად დროებით სხვაგან შეკედლებული პირი (მტრის შემოსევის ან ავადმყოფობის გავრცელების დროს და სხვ. (ისტ.) მემამულის მიწაზე მოსახლე თავისუფალი გლეხი, რომელიც გადასახადს ყმის თანაბრად იხდიდა (ქეგლ. 580).

**ხონთქარ-ი** (ხონთქრისა) (სპ.) (ძვ.) ოსმალეთის მეფე, სულთანი.

**ხოჯა** (სპ.) ძველად, საპატიო პირი, წარჩინებული, თავი კაცი (სპარსეთის შაჰის კარზე). ხოჯა სხუათა ენაა, ყუერულს ჰქვიან და დიდვაჭარსაცა (საბა). სასულიერო პირი - მღვდელი მასწავლებელი.

## ჯ

**ჯაბადარი** (არაბ.-სპ- ჯაბადარი) მნე საჭურჭლეთა, ზედამხედველი არსენალისა; ჯავშან-საჭურვლის მნე, ჯაბახანის გამგე.

**ჯანიშინი** (სპ. ჯანეშინ) მოადგილე, ნაცვალი. ნაიბი გამგებელი.

# ჰ

**ჰერცოგ-ი** (გერმ.) დასავლეთ ევროპაში: თავად-აზნაურთა ერთ-ერთი უმაღლესი ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

*შენიშვნა:*

... როგორც ითქვა, ციციშვილების შესახებ დარხეულია ხმა, რომ ისინი **„ურიასტანიდან არიან მოსულიო“**. დღემდე არავინ დაინტერესდა დაეყენებინა რამდენიმე კითხვა. ვინ და რა გვარისანი იყვნენ ციციშვილთა წინაპრები. ცნობილია, რომ ციციშვილთა ადრინდელი გვარი ასპანისძე ყოფილა. ასპანისძენი (ამ უძველესი ხალხის მოგვარეები) კვლავაც ცხოვრობენ მესხეთში) ცნობილ მიზეზთა გამო აყრილან და ფანასკერტში გადასულან. ზაზა ფანასკერტელის შვილმა ციცამ დაუდო სათავე დღევანდელ ციციშვილების საგვარეულოს. შიდა ქართლის გარდა ციციშვილებს უცხოვრიათ და ყმა-გლეხები ჰყოლიათ ქვემო ქართლის სოფლებში. ქვემო ქართლში მცხოვრებ ციციშვილებს ჰქონდათ შემდეგი შტო-გვარები: **ამილბარასშვილი, ბაადურისშვილი, სარდლიშვილი, ნოდარისშვილი, მერაბისშვილი, პაპუნაშვილი, ზაალიშვილი, მოურავისშვილი, გლახასშვილი, პაატასშვილი, გიორგისშვილი, ზაქარიაშვილი, ბეგიშვილი, ზაზაშვილი...** და არც თქმულა, რომ ასპანისძენი, ფანასკერტელები ან ციციშვილთა ქვემოთ ჩამოთვლილი შტო-გვარები ებრაელები არიანო. სიტყვა ციცი (მით უმეტეს საკუთარი სახელი) ებრაელებში არ არსებობს. **„ციცი“ ქართული სიტყვაა და სულხან საბა ორბელიანის განმარტებით „ოთხფეხა კატას“ ნიშნავს.**

# იმერეთის თავადთა და აზნაურთა საგვარეულოების სია

## თავადები

აბაშიძეები
აგიაშვილები
ბაგრატიონები
ერისთავები
იაშვილები
ლიონიძეები
ლორთქიფანიძეები
მაჩაბლები
მიქელაძეები
მხეიძეები
ნიჟარაძეები
ყიფიანები
ჩიჯავაძეები
ჩხეიძეები
წერეთლები
წულუკიძეები
ჯაფარიძეები

## აზნაურები

აბაშიძეები
აბულაძეები
ადამიები
ავალიანები
ავალიშვილები
ალავიძეები
ალხაზიშვილები
ამაღლობლები
ამაშუკელები
ამილახვრები
ამირანიშვილები
არდიშვილები
არეშიძეები
ასათიანები
ახვლედიანები
ბაგრატიონები
ბაინდურაშვილები
ბარათაშვილები
გოგიჯანაშვილები
გოგოლაშვილები
გოგოძეები
გოდაბრელიძეები
გოცირიძეები
გრიგორაშვილები
გუგუაშვილები
გუნცაძეები
გურგენიძეები
დალაქიშვილები
დაშნიანები
დარახველიძეები
დევდარიანები
დვალები
ელიაშვილები
ერგემლიძეები
ერისთავები
ზუბოვები (ზუბაშვილები)

ბაქრაძეები
ბეჟუაშვილები
ბერძნები
ბოლქვაძეები
გამყრელიძეები
გამცემლიძეები
გეგელაშვილები
გელოვანები
გიორგობიანები
გოგიჩიძეები
კახიძეები
კეჟერაძეები
კვინიხიძეები
კიკიანები
კიკნაძეები
კიკოშვილები
კლდიაშვილები
კოპაძეები
კროჭები
კურცხალიები
კუჭუხიძეები
ლარაძეები
ლასხიშვილები
ლაღიძეები
ლეჟავები
ლიპარიშვილები
ლოლაძეები
ლომინაძეები
ლომიძეები
ლორთქიფანიძეები
მარგველაშვილები
მაჭავარიანები
მდივნები
მდივნიშვილები

თავზარაშვილები
თინიკოვი
(თინიკაშვილები)
თოფურიძეები
იაშვილები
ინაკავაძეები
იოსელიანები
ისარლიშვილები
იშხნელები
კალოიანები
კანდელაკები
კარგარეთელები
ჭოლოშვილები
ჭუმბურიძეები
ხამაშურიძეები
ხელთუფლიშვილები
ხეცურიანები
ხვადაძეები
ხუციშვილები
ჯაფარიძეები
ჯაიანები
ჯღერიები
ქავთარაძეები
ქაჯაიები
ქელბაქიანები
ქვარიანები
ქორქაშვილები
ქოჩეჩაშვილები
ქუთათელაძეები
ქურდევანიძეები
ქურდიანები
ღვინეფაძეები
ღოღობერიძეები
ყიფიანები
ღულაძეები

მეიფარიანები
მესხები
მეძმარიაშვილები
მიქელაძეები
მომცემლიძეები
მოსიძეები
მხეიძეები
ნანეიშვილები
ნემსაძეები
ნიჟარაძეები
ნიშნიანიძეები
ნუკიფიშვილები
ორჯონიკიძეები
პაპუაშვილები
პაიჭაძეები
ჟღენტები
რატიანები
სანიკიძეები
